საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie

ეროვნული ბიბლიოთეკა

832/2
1990

# ჩვენი დროშა

## "NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ

Nr.4(118)

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."
„მესამე დასი", *1893* წელი.

პარიზი  მაისი - 1990 - MAI  *PARIS*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## საქართველოს დამოუკიდებლობის 72 წლისთავი

26 მაისი და ჩვენ....................................1

## მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

ნოე ჟორდანია არჩევნების ბოიკოტის შესახებ..............4.
ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მაგალითი და საქართველო..........7
მეგობრული შენიშვნები.................................12

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა

სსდპ V ყრილობა.......................................19
სსდპ ცეკას 1990 წლის 25 თებერვლის სხდომა..............22
პროფესორ ზურაბ მუჩაიძის წერილი.......................23
პრესის გამოძახილი....................................25

## "მესამე დასი" "მესამე გზა?" - თეორია და პრაქტიკა

ქართველი ერი ისტორიის პირისპირ.......................29
დემოკრატია უმრავლესობის ბატონობაა....................42
ბოლშევიზმის ალტერნატივა სოციალდემოკრატიაა.............46
რა ხდება რუსეთში?....................................51
პირველი მაისი:თამარობა და სა-ერთა-შორისო შრომის დღე....55
მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შედეგები................57

## პ ა რ ტ ი უ ლ ი   ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ნოე რამიშვილის მკვლელობის 60 წლისთავი.................64
სსდპ ხელმძღვანელი ორგანოები...........................68
სსდპ საზღვარგარეთის ბიუროს წევრები....................69
"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია.....................68

## ლიტერატურა და ხელოვნება

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი.................69
ლექსი:აკაკი წერეთლის ხსოვნას..........................71

პრესის მიმოხილვა.....................................72

"ჩვენი დროშა", პარიზი, 1990 წლის მაისი, ნომერი 4(118)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი და ჩვენ

## საქართველოს დამოუკიდებლობის 72 წლისთავი

I.

26 მაისი, 1918 წელსა, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგომის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის დღე, ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულია. და რომ ჩვენ 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ შევძელით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა, ეს განაპირობა არა მარტო მაშინდელმა საერთაშორისო მდგომარეობამ, არამედ ამასთანავე საქართველოს მაშინდელმა შინაგანმა მდგომარეობამ: საქართველოში მაშინ არსებობდა პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაცია-გაერთიანებები, რომლებიც მზად იყვნენ მიეცათ თავიანთი ცოდნა-გამოცდილება, თვით სიცოცხლეც კი საქართველოს, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის შეეწირათ, რასაც მოყვა 1918 წლის 26 მაისი.

II.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ 26 მაისის იდეის შექმნა-განხორციელებაში -"პირველდასელებს","მეორედასელებმა" და სხვა პარტია-დაჯგუფებებთან ერთად - გადამწყვეტი როლი ითამაშა "მესამედასელებმა", რომლებმაც "მესამე დასის" დაარსებისა და მისი პირველი სამოქმედო პროგრამის დედაზრად აქციეს, თითქმის ამ 100-ი წლის წინათ, 1893 წლის 7 თებერვალს, - **მრწამსი:** "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც ცალ-ცალკე ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

III.

"მესამე დასს", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას - მიუხედავად მისი ტაქტიკური, დროს შესაფერისი მოქმედებისა - არასოდეს არ უღალატია ამ მრწამსისათვის, და უმოკლეს ხანში, 1918 წლის 26 მაისს, მთელს კაცობრიობას - "მესამე დასის" თეორეტიკოსისა და დამაარსებლის ნოე ჟორდანიას პირით - აცნო, რომ "ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა", და რომ საქართველო დემოკრატიული **რესპუბლიკაა.** და როცა ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით, რომლის თავმჯდომარეც ის იყო, - "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს" კითხულობდა, ტფილისში, მთავრობის სასახლეში, 1918 წლის 26 მაისს, 5 საათსა და 10 წუთზე, - როგორც ეს შემდეგ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა - რაჟდენ არსენიძემ განაცხადა, - მისი პირით ლაპარაკობდა მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, წარსული და აწმყო ქართველი ერისა.

IV.

და რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იცნო მსოფლიოს ოც-ზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის თვით საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, - ამგვარ ისტორიულ მოვლენებში დიდი როლი მიუძღვის, სხვა პარტიებთან ერთად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის შესანიშნავ

22049

ხელმძღვანელობას, რომელთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი და სპეტაკი ადამიანები, როგორც, მაგალითად, ნოე ჟორდანია, ხილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ნოე ჟორდანია მის მახწავლებლად თვლიდა, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, და სხვა ბრავალი, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს 26 მაისის იდეის ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლაში, სხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებთან ერთად.

V.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, თავისი თითქმის 100-ი წლის მოღვაწეობის ისტორიით, - არის არა მარტო საქართველოს უძველესი პოლიტიკური პარტია, არამედ პარტია, რომელსაც არასოდეს არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის,1921 წლის თებერვალ-მარტში, დამპყრობის შემდეგაც. კიდევ მეტი: საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია დარჩა ერთად-ერთ პარტიად, რომელიც ბოლშევიკებმა ვერავითარი შევიწროებით, ვერავითარი მახინაციებით, თვით დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის და შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის მოკვლითაც კი, პარიზში, 1930 წლის 7 დეკემბერს, - ვერ გატეხა, რის შედეგად, ულავოა, საქართველოს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუღია იმდენი მსხვერლი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენიც გაიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, "მესამედასელებმა".

VI.

და დღეს, უფრო ზუსტად, 1990 წლის 24-25 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მე-V ყრილობა, რომელმაც მიიღო ჩვენი პარტიის პრინციპების პროგრამა და წესდება, არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი 27 კაცის შემადგენლობით, არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარედ - პროფესორი გურამ მუჩაიძე, ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც თავისი სიბარდაისლით, ცოდნითა და გამოცდილებით მაგალითის მიმცემია არა მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებისა და თანამგრძნობთაკის, არამედ საქართველოში დღეს არსებული ყველა პარტიისა და გაერთიანების ხელმძღვანელ-თანამგრძნობთათვისაც. დიახ, ნათლად, ამაყად უნდა ისმოდეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხმა ყველგან - საქართველოს ყოველ სოფელში, ყოველ საწარმოში, ყოველ უწყებაში, ყოველ რაიონში და ქალაქში, ვინაიდან საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია იყო, არის და რჩება ურყევი, მებრძოლი პარტია, რომელთა ხელმძღვანელ-წევრებ-თანამგრძნობთათვის უცნობია "მერყეობა","დღეს ერთისა და ხვალ მეორეს თქვა". აი, ამიტომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ-უნდა გახდეს მოწინავე პარტია საქართველოში, რომელმაც მაგალითი უნდა მისცეს სხვა პარტიებს თავისი პროგრამის სისხადით, საქართველოს მშრომელებში ფესვების ღრმა გადგმით,"პოლიტიკური კულტურით",რაც სხვადასხვაგვარად-მოაზროვნეთა პატივისცემასაც გულისხმობს, და,რაც არსებითია, 26 მაისის დიადი იდეის უკომპრომისო დაცვით, და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია არც ერთ პარტიას, არც ერთ მიმდინარეობას- ნებას არ "უთმობს" მისი პოზიციისათვის საქართველოში არსებული მდგომარეობის სხვადასხვა პრობლემის მოგვარების საქმეში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ყოველთვის აკეთებდა არა იმას, რაც მას არ სურს, არამედ იმას, რაც მას სურს და რის განხორციელებისათვის იღწვის. და თუ საქართველოში დღეს არსებული რომელიმე პარტია თუ გაერთიანება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებს "უარყოფითად" აფასებს, ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი. ჩვენმა პარტიამ საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენი პარტიის პოზიცია, თუ გნებავთ, 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებში, - რეალურია, სასარგებლოა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რაც, რა თქმა უნდა, აღნიშნული საქმის გადაწყვეტასაც თავისთავში აქცევს.

VIII.

მაშ, მეგობრებო, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურო წევრებო და თანამგრძნობნო, - არასოდეს არ დავივიწყოთ, რომ ჩვენ იმ დიდი თაობის მემკვიდრენი ვართ, რომლებმაც, 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, ისევ აღადგინეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, და ანდერძად დაგვიტოვეს ისეთი დიდი ისტორიული და დღესაც სანიმუშო "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია", - რომლებიც გზისმაჩვენებელია დღესაც, 1990 წლის 26 მაისსაც, საქართველოს დამოუკიდებლობის 72 წლისთავზედაც.

IX.

**ჩვენ**, - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები და თანამგრძნობნი დღესაც უნდა **ვიყოთ** საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი ღერძი, როგორც ეს იყო "მესამე დასის" ან უკვე თითქმის 100-ი წლის განმავლობაში; ამას **ჩვენ შევძლებთ**.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის 26 მაისი

"დემოკრატიის ძირითადი პრინციპია
ადამიანი და მისი სუვერენობა."
ნოე ჟორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

## ნოე ჟორდანია არჩევნების ბოიკოტის შესახებ

I.

მეფის რუსეთის თვითმპყრობელ-შოვინისტებმა, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის შენარჩუნების ერთერთ ხერხად წამოაყენეს ე.წ-ლი"სახელმწიფო დუმის" ინსტიტუტი, რომელსაც,ასე თუ ისე, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაევალა. და,მართლაც, პირველი დუმა არჩეულ იქნა, და შეიკრიბა 1906 წლის 10 მაისს, და,როცა დაინახეს თვითმპყრობელ-შოვინისტებმა, რომ მისი "გამოყენება" იმპერიული პოლიტიკისათვის შეუძლებელი იყო, - იმავე წლის 22 ივლისს გარეკეს. მეორე დუმა არჩეულ იქნა და შეიკრიბა 1907 წლის 5 მარტს და გარეკეს იმავე წლის 17 ივნისს. მესამე დუმა="სახელმწიფო სათათბირო" არჩეულ იქნა,და შეიკრიბა 1907 წლის 14 ნოემბერს და იარსება 1912 წლის 22 ივნისამდე. მეოთხე დუმა არჩეულ იქნა,და შეიკრიბა 1912 წლის 15 ნოემბერს და იარსება 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციამდე, რის შემდეგ შექმნილ იქნა დროებითი მთავრობა. პირველი სახელმწიფო დუმის მთავარი ფრაქციები იყო კადეტების ფრაქცია, "ტრუდოვიკების" ფრაქცია და სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოაცხადეს პირველი დუმის არჩევნებს და მოექცნენ პოლიტიკურ იზოლაციაში. ამის შესახებ, ნოე ჟორდანია, თავის მოგონებაში("ჩემი წარსული",პარიზი, 1953 წელი), სხვათა შორის, წერს:

II.

"რევოლუცია თანდათან ღრმავდებოდა მთელს რუსეთში. მის შესახუთებლად მთავრობამ გამოსცა ბრძანება სათათბირო დუმის მოწვევის(ბულიგინის დუმა). ჩვენმა ორგანიზაციებმა დაადგინეს მის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რის დასაცავად დაიბეჭდა წერილები 'სოციალ-დემოკრატში'. ეს იყო გაგრძელება 'კვალის' ტაქტიკის, ვიყოთ ყოველგან, სადაც კი მოვახერხებთ მისვლას, გადავაბათ არალეგალურ მუშაობას ლეგალური მუშაობა. რუსებმა უარყვეს ეს ტაქტიკა; დუმის მოწვევა გაგრძელდა, ოქტომბრის რევოლუციამ იფეთქა, გამოქვეყნდა საკანონმდებლო დუმის მოწვევა(ვიტეს დუმა) და ფართო საარჩევნო კანონები. ჩვენი მონაწილეობის მიღება იყო უდაო. ასეთივე უდაო გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატების ბოიკოტი. რუსეთში ხდება არჩევნები, სოციალ-დემოკრატები არსად სჩანს. ჩვენში დაიწყო საარჩევნო მზადება, პარტიის ენერგიული მონაწილეობით. მივიღეთ აგრეთვე საარჩევნო კოალიცია დემოკრატიულ პარტიებთან შემარჯვენეთა წინააღმდეგ და სხვ. რადგან ამ დროს უკვე გვქონდა ყოველ-დღიური ლეგალური გაზეთი 'სხივი',(ჩემი რედაქტორობით) ყველა პარტიული დადგენილებანი ცხადდება იქ."(გვ.68).

III.

"...დიდი დებატები გამოიწვია აგრარულ საკითხმა, რომელიც გადაწყდა მამულების ჩამორთმევით და მისი განაწილებით სამად: ზოგი სახელმწიფოს, ზოგი თვითმართველობებს(მუნიციპალიზაცია), ზოგი მცირე და უმამულო გლეხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წინადადებათა გატარებაში ჩვენმა დელეგაციამ მიიღო მხურვალე მონაწილეობა. ბოლშევიკები ყველა ამ რეზოლუციების წინააღმდეგ აძლევდნენ ხმას და ითხოვდენ დუმის ბოიკოტის გაგრძელებას..."(გვ.72).

IV.

"საქართველოში ყველგან გავიდენ ჩვენი პარტიის კანდიდატები. ასე რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დუმაში გამოჩნდა ქართველების სახით. საბედნიეროდ იყვნენ პარტიის გარეშე არჩეულნი სოციალ-დემოკრატიულად განწყობილნი რუსის მუშები(მუშათა კურიიდან), გაპნეულნი 'ტრუდოვიკებს' შორის. გამოვკრიბეთ იქიდან ისინი; ჩვენთან ერთად შევადგინეთ პირველი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომლის თავჯდომარეთ და ხელმძღვანელად მე ამირჩიეს".(გვ.73-74).

V.

რას გვასწავლის დღეს, გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში აღნიშნული ფაქტები? - ეს გვასწავლის იმას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია - მიუყვებოდა რა "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის დებულებებს -, ფაქტიურად მოქმედებდა საქართველოს გარდაუვალი ინტერესების, "ერისა და პიროვნების თავისუფლების" ცხოვრებაში გატარებისათვის ლეგალური, კანონიერი გზითაც, რომლის დროს საქართველოს მთელი მოსახლეობა, მთელი ქართველი ხალხი, ე.ი. საქართველოში მუდმივად მცხოვრები არაქართველებიც, ჩაბმული იყო ეროვნული ბრძოლის ფერხულში, რამაც განაპირობა არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული სადეპუტატო კანდიდატების გამარჯვება.

VI.

ამგვარი პოლიტიკა, ამგვარი ტაქტიკა უნდა გახდეს დღესაც ჩვენი ძირითადი მიზნის - 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის, საყრდენი, რაც იმას ნიშნავს, რომ - მიუხედავად მოსკოვის მიერ "აფხაზური" თუ "ოსური კოზირის" გამოყენებისა ქართველი ხალხის გარდაუვალი ინტერესების წინააღმდეგ -, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა განაახლოს მისი მოღვაწეობა საქართველოში მუდმივად მცხოვრები ყველა ერის შვილებს შორის, თვით საქართველოში მცხოვრები რუსების ჩათვლით, რადგან თავის-უფალი საქართველოა იმის გარანტია, რომ თავის-უფალი გახდეს ყველა არაქართველი ერის შვილიც, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და საქართველოს თვლიან მათ სამშობლოდ.

VII.

გასაკვირია მხოლოდ ერთი ფაქტი: 1990 წლის 9 აპრილის გაზეთ "კომუნისტში", - 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავზე -, სხვათა შორის, გამოქვეყნებულია, მომყავს სიტყვა-სიტყვით, -"ანატოლი ქიქიძის, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროებითი საბჭოს თავჯდომარის" - თანაგრძნობის წერილი, რომელიც გულთბილი სიტყვებით აღნიშნავს საქართველოში მცხოვრები ოსების და ქართველთა ურთიერთ ძმურ დამოკიდებულებას. მაგრამ რა შუაშია აქ "დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის" იდეის წამოყენება და ისიც საქართველოში?.. ვითომ ისედაც პატარა საქართველოს სოციალ-დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციული პარტია კიდევ "დამოუკიდებელ" აჭარის, აფხაზეთის თუ გურიის "დამოუ-
კიდებელ" პარტიებად უნდა დავყოთ?.. გასაკვირია, მეტად გასაკვირია,
საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც ცნობილი და საერთოდ
აღიარებულია სა-ერთა-შორისო შრომის უკომპრომისო დამცველად, ახლა . ქარ-
თლში, ე.ი. სამხრეთ ოსეთში "დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია" გა-
მოუჩნდა თუ უჩნდება. აქ, ჩვენის აზრით, უგულებელყოფილია საქართველოს სო-
ციალ-დემოკრატიული პარტიის ერთობის პრინციპი, რომელმაც მოუტანა მთელს
ქართველ ხალხს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ ყველა ერის შვილს -
თავისუფლება, რომლის სიმბოლო გახდა 1918 წლის 26 მაისი.

VIII.

ამჟამად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მოცემულ მდგომარეობა-
ში, როცა 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უკვე
დაშვებულია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები, - ბოიკოტს
კი არ უცხადებს ამ არჩევნებს, როგორი შეუწყნარებელიც არ უნდა იყოს იგი,
არამედ ქმედით მონაწილეობას ღებულობს მასში, რომ ამ გზითაც შესაძლებელი
გახდეს 26 მაისის დიადი იდეის განხორციელებისათვის ბრძოლა საქართველოს
უმაღლეს საბჭოში და მის გარეთ. და თუ საქართველოს ლეგალური რომელიმე
პარტია ან გაერთიანება ფიქრობს, რომ ამ არჩევნების ბოიკოტის გზით უფრო
შესაძლებელია 26 მაისის იდეის ისევ-განხორციელება, ჩვენ, რა თქმა უნდა,
მათ კი არ "ვგმობთ", როგორც, სამწუხაროდ, ზოგიერთები ყველას გმობს, ვინც
მისი აზრის არ არის, არამედ მათაც ვუსურვებთ წარმატებას, თუმცა არ გვჯე-
რა, რომ, ამ შემთხვევაში, ბოიკოტმა რაიმე ქმედითი შედეგები გამოიღოს.

IX.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, უმჯობესი იქნება, თუ
საქართველოში დღეს არსებულ ყველა პარტიასა და გაერთიანებას მატერიალური
საშუალებაც მიეცემა, რომ შეეძლოთ სრული ინფორმაციის მიწოდება საქართვე-
ლოს ამომრჩევლებისათვის, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ამომრჩევლებს გააჩ-
ნდეთ ჭეშმარიტი არჩევანის საშუალება. და, შეიძლება 1990 წლის ოქტომბერ-
ნოემბრის საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნები გახდეს იმდენად დემოკრა-
ტიული არჩევნები მაინც, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოს მოსახლეობის,
ვიმეორებ, მოსახლეობისა და ამით საქართველოს მშრომელების მისწრაფების გა-
მომჟღავნება ისეთ რთულ პირობებში, რომელშიც ახლა საქართველო, მთელი ქარ-
თველი ხალხი იმყოფება.

X.

და თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ამგვარი იმედით საზრდოობს,
როცა არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალა-
ქეს, ამის დასასაბუთებლად მოჰყავს ამასწინანდელი არჩევნები არა მარტო ლი-
ტვა-ლატვია-ესტონეთში, არამედ, ამასთანავე, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლო-
ვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის შედეგად, ჩვენის
აზრით, ამ ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრება დემოკრატიული სახელმწიფო-
ებრივი ცხოვრების გზას დაადგა თუ ადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

მაშ, ხელიდან ნუ გავუშვებთ ამ ლეგალურ გზას - საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებს. საქართველოს უზენაეს საბჭოში რომ საქართველოს ეროვნული პარტიების თუ გაერთიანებების "საპარლამენტო ფრაქციები" რომ შეიქმნას, ვფიქრობთ, ესეც ერთი ნაბიჯი იქნებოდა წინ - 26 მაისის, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის გზაზე; და განა ჩვენ უფლება გვაქვს ამგვარი შესაძლებლობა გავუშვათ ხელიდან?..

XII.

ვითომ საყურადღებო არ არის ამ შემთხვევაში არჩევნების ბოიკოტის ისტორიული ფაქტი, რომელსაც ნოე ჟორდანია აღწერს თავის მოგონებაში "ჩემი წარსული?.."

კარლო ინასარიძე
1990 წლის აპრილი, პარიზი

## ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მაგალითი და საქართველო

I.

ლიტვა-ლატვია-ესტონეთი, როგორც ცნობილია, კრემლმა დაიპყრო 1939 წლის ჰიტლერ-სტალინის ხელშეკრულების შესაბამისად; ხელშეკრულებისა, რომლის თანახმად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაყოფილ იქნა "გავლენის სფეროებად" ამ ორ დიქტატორს შორის; და ასე გახდა გერმანია და რუსეთი(სსრკ) მოსაზღვრე სახელმწიფოები.

II.

მართალია, ჰიტლერის დიქტატურა, მეორე მსოფლიო ომის შედეგად, აღგვილ იქნა პირისაგან მიწისა, მაგრამ სტალინის მადა კიდევ უფრო გაიზარდა და რუსეთის (სსრკ) საზღვარი კიდევ უფრო გადაწია დასავლეთით. მაგრამ, ახლა, გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში, ბალტიის ამ სამი მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეებმა უმაღლეს საბჭოებში აირჩიეს დეპუტატები, რომელთა უმრავლესობა ლიტვა-ლატვია-ესტონეთის დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის გზას დაადგა; და ლიტვამ, 1990 წლის 11-ც მარტს, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტად კი ვიტაუტას ლანდსბერგის იქნა არჩეული.

III.

ამან გამოიწვია აწ უკვე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მისტერ გორბაჩოვის "რისხვა", რომელმაც - მცირე მასშტაბის სამხედრო ნაწილების გამოყენების გვერდით - ეკონომიკური ბლოკადა დაიწყო ლიტვის წინააღმდეგ, რასაც მოყვა ლიტვის მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება, უმუშევრობის ზრდაც, ვინაიდან კრემლის სანქციები ნავთობისა და გაზის მიწოდების სრული შეწყვეტით თუ შემცირებით დაიწყო, რაც სურსათ-სანოვაგეზედაც იქნა გავრცელებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

კრემლი მოითხოვს, რომ ლიტვამ გააუქმოს 1990 წლის 11 მარტის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ლიტვის მთავრობა და მოსახლეობა ამის წინააღმდეგია. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები კი "გაბედულ" ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავენ, ვინაიდან - ერთი მხრივ - მათ სურთ გორბაჩოვის მხარდაჭერა, - ხოლო - მეორე მხრივ -, ამ შემთხვევაში, ლიტვის მხარდაჭერაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას იქ ედება ზღვარი, სადაცამა-თუ-იმ "დიდი" სახელმწიფოს ინტერესები"ილახება".

V.

ასეთ პირობებში, ამერიკის პრეზიდენტის - ჯორჯ ბუშის - "უმოქმედობა" ეთანხმება ფრანსუა მიტერანის, საფრანგეთის პრეზიდენტისა და ჰელმუტ კოლის, გერმანიის კანცლერის "მოქმედებას", რომლებმაც ერთობლივი წერილი გაუგზავნეს ლიტვის პრეზიდენტს ვიტაუტას ლანდსბერგის - თხოვნით შეაჩეროს მოქმედება ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადების დეკლარაციისა და დაიწყოს დიალოგი კრემლთან.(8ც-20.4.1990).

VI.

მიტერან-კოლის ამგვარმა წერილმა ლიტვის პრეზიდენტ ლანდსბერგისადმი, უთანხმოება გამოიწვია საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით საფრანგეთის მთავრობის ოპოზიციურ პარტიებში. ალენ ლამასურმა,"უ-დე-ეფ-"ის პარტიიდან, მაგალითად, თქვა:"ცეცხლზე ნავთი არ დაასხა - ეს ერთია; მაგრამ დიათ დამპყრობელს მხარი დაუჭირო - ეს მეორე, რაც ყველა თავისუფლების მებრძოლებს საგონებელში აყენებს...ახალი უზენაესობის შემთხვევაში", ფრანსუა მიტერანი (და კოლი) ვარმავას, ბუდაპეშტს თუ პრაღას ისე დაეხმარებიან, როგორც ახლა ვილნას.

VI.

ამასობაში, 1990 წლის 4 მაისს, ლატვიის უზენაესმა საბჭომ, ორი-მესამედი ხმის უმრავლესობით, გამოაცხადა "ისევ-აღდგენა ლატვიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა!" დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ანატოლის გორბუნოვი.

VII.

ესტონეთმაც უკვე გადადგა ანალოგიური ნაბიჯი. 1990 წლის 8 მაისს, ესტონეთის უზენაესმა საბჭომ ისევ აღადგინა ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; და ამით გვერდი აუარა ალექსანდრე იაკოვლევის - პოლიტბიუროსა და პრეზიდენტის საბჭოს წევრის წინადადებას ლატვია-ესტონეთისადმი, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ"განსაკუთრებული სტატუსი" სსრკ-ს ფარგლებში;თავისებური "კონ-ფედერაციული სტატუსი"; ან გამოეყოს სსრკ-ს გამოყოფის კანონით.

VIII.

ლატვია-ესტონეთი, როგორც ჩანს, მხოლოდ იმ დებულებიდან გამოდიან, რომ ეს სახელმწიფოები დაიპყრო კრემლმა და პირდაპირ აღიარებული უნდა იქნენ როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები. აქ,სხვათა შორის,

საქართველო ანალოგიურ მდგომარეობაშია, ვინაიდან საქართველო ლენინმა დაიპყრო 1921 წლის თებერვალ-მარტში და ამით დაარღვია რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება. ახლა კრემლმა ურეზერვოთ უნდა აღიაროს საქართველო დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ სახელმწიფოდ, როგორც ეს იყო 1921 წლის 11 თებერვლამდე, როცა საბჭოთა რუსეთმა, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და დაიპყრო იგი. ესე-იგი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისევ უნდა დაეყრდნოს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებას .

IX.

და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, მაგალითად, ესტონეთში ესტონელები, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 60-ც პროცენტს შეადგენს, 30-ი პროცენტი კი რუსებია, მაშინ გასაგებია, რომ სსრკ-ადან გმაოყოფა ესტონეთს "სსრკ-ადან გამოყოფის კანონის" შესაბამისად უკვე აღარ შეუძლია , ვინაიდან სსრკ-დან გამოყოფის რეფერენდუმი ხმების ორ-მესამედს მოითხოვს, რომ საერთოდ წამოყენებულ იქნას სსრკ-დან გამოყოფის საკითხი, რომლის პროცესი შემდეგ ხუთ წელიწადს გრძელდება - ათასგვარი ჯებირებით, რომლებიც სსრკ-დან ფაქტიურ გამოყოფას თითქმის შეუძლებელს ხდის.

X.

ამასთან დაკავშირებით, სავულისხმოა ფინეთის დედაქალაქის ჰელსინკის უნივერსიტეტის თანამშრომლის - ვ.კანინენის "ღია წერილი" - "ლიტვის 6 პოლიტიკური შეცდომის" შესახებ, რომლის თარგმანი გამოქვეყნებულია გაზეთ "კომუნისტის" 1990 29 აპრილის ნომერში. აი, მოკლედ ეს ექვსი "შეცდომა":

"1.რატომ დაავიწყდა ლიტვას ის, რომ მსოფლიო პოლიტიკას მართავს არა სამართლიანობა, არამედ რეალობა?

2....საბჭოთა კავშირისათვის ახლაც და მომავალშიც მისაღები იქნება... ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გასასვლელს ბალტიის ზღვაზე...

3....რატომ ვერ მიხვდა ლიტვა,რომ...მის უმართავ გამოყოფაზე შეუნელებლად ადევნებენ თვალს...საბჭოთა რესპუბლიკები,რომლებიც ასევე ესწრაფვიან, ეროვნულ დამოუკიდებლობას?

4....რატომ შეცვალა ლიტვამ პრეზიდენტობის უნარის მქონე რეალისტი-პოლიტიკოსი იდეალისტით?

5.რის საფუძველზე გადაწყვიტეს ლიტვაში, რომ მუდმივ მეზობელთან კონფლიქტი უფრო ბრძნული გადაწყვეტილებაა...?.რა აზრი აქვს იმას, რომ არ სურთ რაიმე დათმობაზე წასვლა?

6.რა აზრი აქვს დასავლეთისათვის 'დახმარების' თხოვნას, თუ სსრ კავშირი იმთავითვე გამოუვალ მდგომარეობაშია ჩაყენებული?"

და ვ.კანინენი დაასკვნის:"ლიტვას ჯერ კიდევ შეუძლია კანონიერი დამოუკიდებლობის მოპოვება, მაგრამ ამ პოლიტიკური შეცდომის გამო მას მეტი ლოდინი დასჭირდება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

აქ, სხვათა შორის, მაგონდება გასაუბრება დამოუკიდებელი საქართველოს დელეგაციის მეთაურ ირაკლი(კაკი) წერეთელსა და ინგლისის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს შორის, ლონდონში, 1919 წელს. დაუსაბუთა რა ირაკლი წერეთელმა, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა, ლორდ კერზონმა დიდი ყურადღებით მოისმინა წერეთლის სიტყვები და უპასუხა:

XII.

"მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ახალ პატარა სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. მე ვეტყვით, არა მარტო ქართველ ხალხს, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და განავითარა თავისი ცივილიზაცია, არამედ ყველა განუვითარებელ ხალხებსაც შეუძლია შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ეს არ არის. თქვენი პრობლემა არის შემდეგი: შეგიძლიათ თქვენ უზრუნველჰყოთ თქვენი დამოუკიდებლობა იმ უშველებელ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და, რომელსაც ჰქვია რუსეთი?"

XIII.

და განა ჩვენ არ ვიცით, რომ სწორედ 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების დადებას მოყვა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს ცნობა, - ჯერ - მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების, ხოლო - შემდეგ - მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მიერ?..

XIV.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ისტორიული ფაქტი მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეკლიან გზაზე; მაგრამ იმპერიები რომ "თავისი სურვილით" არ ინგრევიან,როგორც ამას ისტორიული ფაქტები ადასტურებენ?..

XV.

და ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, გეო-პოლიტიკურად, საქართველო არც "ზღვაზე გასასვლელს" არ უღობავს რუსეთს და არც საზღვარის პრობლემები ართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას,ვინაიდან ერთმანეთისაგან გაყოფილი ვართ უზარმაზარი კავკასიონის ქედით?!..

XVI.

ნუთუ ატომისა და ელექტრონიკის ეპოქაშიც სახელმწიფოებრივი არსებობის საზომი რჩება ძალა, ძალადობა, რომლის დროს "უძლონი"="სუსტები" უცხო ბატონობის ობიექტია, რომლის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს "ძლიერს" და არა "სუსტ" სახელმწიფოს?.. ნუთუ ამგვარ ბანდიტიზმს,საერთაშორისო ურთიერთობაში, არასოდეს არ უნდა მოეღოს ბოლო?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII.

ვიცით, რომ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა; რომ იგი ზუსტი მეცნიერება არ არის; მაგრამ როდესაც ეს "ძლიერი", "თავზეხელაღებული" უცხო სახელმწიფო ყოველდღიურად თავში გირტყამს, რომლის დროს ქიმიური საწამლავი ნივთიერებებს გამოყენებისგანაც არ იხევს უკან ყველას წინააღმდეგ, ვინც მის იმპერიულ ზრახვებს წინ აღუდგება?!.. ვის შეუძლია, ასეთ პირობებში, ყოველთვის გონი," ჯანსაღი აზროვნება" გაამეფოს გრძნობებზე!?..

XVIII.

და ასეთ პირობებში, უთუოთ, გზისმაჩვენებელია კავკასიის რესპუბლიკების,-აზერბაიჯან-სომხეთ-საქართველოსათვის, როცა ჩვენს თვალწინ ვხედავთ თუ როგორ შეხმატკბილებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან   ლიტვის პრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგის, ლატვიის პრეზიდენტი ანატოლის გორბუნოვი,ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი. ვითომ უტოპიაა ამგვარი შეხმატკბილებული თანამშრომლობის მიღწევა აზერბაიჯან-სომხეთ-საქართველოს შორის?..

XIX.

ამდენად, ლიტვა-ლატვია-ესტონეთის ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის, მეტად საყურადღებოა საქართველოსათვის,ვინაიდან ჩვენც ანალოგიურ მდგომარეობაში ვიმყოფებით:   საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, რაც - საერთაშორისო სამართლის შესაბამისად - იმას ნიშნავს, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დღესაც არსებობს იურიდიულად და ფაქტიურად იგი ისევ გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული, როცა მოიხსნება ძალადობის აქტი საბჭოთა რუსეთის მხრიდან, და საქართველოდან გაყვანილ  იქნება რუსეთის საოკუპაციო ჯარები.

XX.

მაგრამ საქართველოს, ქართველი ხალხის ამგვარი სამართლიანი მოთხოვნის განხორციელებას წინ ეღობება არა მარტო კრემლის დიდმპყრობელ-შოვინისტების "ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის იმპერიული პოლიტიკა, არამედ თვით კავკასიის ერებისა და ეროვნებების ერთმანეთთან დაპირისპირება, რომელიც კრემლის აღნიშნული იმპერიული პოლიტიკის შედეგია. ლიტვა-ლატვია-ესტონეთისაგან განსხვავებით,-აზერბაიჯან-სომხეთ-საქართველოს  ერთობა დარღვეულია იმ მხრივ, რომ აზერბაიჯანი თურქეთის, სომხეთი კი რუსეთისაკენ იმიჯნება, რაც საქართველოს, ქართველი ხალხის ბრძოლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ხელს უშლის, რომლის დროს კრემლი საქართველოში მუდმივად მცხოვრებ აზერბაიჯანელებს თუ ოსებს საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყენებს; თუმცა  უშედეგოდ.

XX.

მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საქართველოს, ქართველ ხალხს სხვა გამოსავალი არ გვაქვს: საქართველო უნდა გახდეს ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული

სახელმწიფო, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისევ უნდა დაეყრდნოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებას; და ამის განხორციელების პროცესში ჩვენ ბევრის, ბევრის სწავლა შეგვიძლია ლიტვა-ლატვია-ესტონეთისაგან.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის 7 მაისი

## მ ე გ ო ბ რ უ ლ ი   შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

"საგანგებო კონფერენციის" რეზოლუციის
ერთი დებულების გამო

"ყოველ მოქალაქეს აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 32-ე მუხლი

I.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის რეზოლუციის ერთმა დებულებამ (თბილისი, 1990 წელი, 15 მარტი), მომაგონა ჩემი არც ისე მოკლე წერილის -"პოლიტიკური კულტურის" - შეჯამება, რომელიც გამოქვეყნდა 1987 წლის თებერვლის ჟურნალ "მებრძოლ საქართველოში":

II.

"პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების იდეური ჭიდილი-შეჯახება ერის, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისუსტე კი არა სიძლიერეა; სწორედ აზრთა ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა (ა პრიორი) 'ასპროცენტიანი' ერთსულოვნებისას, რაც - თავის მხრივ - აზროვნების გაყინვას უდრის. საჭიროა მხოლოდ 'პოლიტიკური კულტურის' დაცვა, რომ ამა თუ იმ იდეის დაგმობისას თვით მისი მქადაგებელიც არ იქნეს დაგმობილი, რაც, ცხადია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ სწორედ ამაში არ მჟღავნდება ერის, საზოგადოების და ცალკეული ადამიანის 'პოლიტიკური კულტურა'?.."

III.

და ეს სიტყვები მომაგონა "პრესის მიმოხილვამ", სათაურით "მარტის დაძაბული დღეები", რომელიც გამოქვეყნებულია 1990 წლის მარტის მე-6 ნომერში გაზეთისა "სამშობლო", რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის. ამ "პრესის მიმოხილვაში", სხვა მრავალთა შორის, გამოქვეყნებულია ცნობები, რომლებშიც გამოსჭვივის სწორედ "პოლიტიკური კულტურის" დაჩა-ჩანაგება, ვინაიდან მათში აღწერილია "სხვა აზრის" თუ აზრების შეუწყნარებლობის რადიკალური გამოვლინებები, რასაც შეიძლება ეწოდოს "შებრუნებული ბოლშევიზმი". მაგრამ ჯერ ვალაპარაკოთ თვით ფაქტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

13 მარტს, 1990 წელს, თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში, როგორც "პრესის მიმოხილვაში" ვკითხულობთ, - დაწყებულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომელიც გაგრძელებულა 15 მარტამდე, და მიუღია რეზოლუცია, რომლის ნაწყვეტი გამოქვეყნებულია გაზეთ"სამშობლოში". მთავარი საკითხი ყოფილა მარტში დანიშნული და აწ უკვე ოქტომბერ-ნოემბერში გადატანილი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება თუ ბოიკოტი. ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მომხრეებს, სახელდობრ "სახალხო ფრონტის წარმომადგენლობას" - ეს საგანგებო კონფერენცია დაუტოვებია, რის გამო, 14 მარტს, "სხდომის თავმჯდომარემ - ზვიად გამსახურდიამ - ვკითხულობთ იქვე - სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ კონფერენცია დატოვა სახალხო ფრონტის წარმომადგენლობამ მის მიმართ გამოთქმული რამდენიმე კრიტიკული შენიშვნის გამო, და მოუწოდა მას კვლავ ჩაება მუშაობაში". აქვე აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 13 მარტის დილის სხდომაზე, რომელსაც აგრეთვე ზვიად გამსახურდია თავმჯდომარეობდა, - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარეს - ირაკლი წერეთელს - განუცხადებია სამართლიანად, რომ "...ყველას უნდა მივცეთ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებაო"(გაზეთი "თბილისი",14.3.90 წ.).

V.

როგორც ჩანს, ამ "საგანგებო კონფერენციაზე" "ყველას არ მიეცა" საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, თორემ საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლობას რატომ უნდა დაეტოვებინა ეს "საგანგებო კონფერენცია?.." ჩვენი ეს ვარაუდი ნათელჰყოფს, რომ ამ სტრიქონების დამწერს არ გააჩნია სრული დეტალური ცნობები ამ "საგანგებო კონფერენციის" მსვლელობის შესახებ; და თვით ამ "საგანგებო კონფერენციის" რეზოლუციის მხოლოდ იმ ნაწილს იცნობს, რომელიც გამოქვეყნებულია "სამშობლოს" აღნიშნულ ნომერში, სადაც ვკითხულობთ:

VI.

""კონფერენციამ თავის რეზოლუციაში "უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა კიდეც საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან. დღეს, ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს. ემიგრანტთა ამ ნაწილმა დროზე უნდა გააკეთოს რეაქცია კონფერენციის ამ რეზოლუციაზე და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში".

VII.

ჩვენის აზრით, როგორც იქვე ვკითხულობთ, "საგანგებო კონფერენციის" ამგვარი "მწვავე" რეზოლუცია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის "ერთი ნაწილის" წინააღმდეგ, გამოიწვია "განცხადებამ" 38-ი ქართველი ემიგრანტისა მომავალი საპარლამენტო არჩევნების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულა 1990 წლის 13 მარტის გაზეთ "თბილისში". აი ეს ამონაწერიც:

VIII.

"" - "თბილისის" 13 მარტის ნომერში - გამოქვეყნდა "განცხადება ქართველი ემიგრანტების და მათ მთამომავალთა მიერ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში", რომელსაც 38 ჩვენი თანამემამულე აწერს ხელს და რომელშიც ნათქვამია:

"1921 წლიდან მოკიდებული, როდესაც წითელმა არმიამ დამოუკიდებელ საქართველოს მოუხდინა ოკუპაცია, პირველად ეწყობა(ნაწილობრივ) თავისუფალი არჩევნები. ოპოზიციის ყოველივე ჯგუფი იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; მაგრამ მათ შორის, დღევანდელ არჩევნებისათვის, ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც ამ მიზნისათვის ხმარობს პარლამენტალურ და დემოკრატიულ საშუალებებს; ჩვენის აზრით, ეს გახლავთ საქართველოს სახალხო ფრონტი, რომელიც არის უპარტიო დაჯგუფება, მისი პროგრამა შეიცავს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურული ევოლუციის დაჩქარებას; მარტო ამ გზით შესძლებს საქართველო თავის დამოუკიდებლობის დაბრუნებას ისე, რომ არც მოსახლეობა და არც რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობა საშიშროებაში არ ჩავარდეს. ამ ნაწილობრივ თავისუფალ არჩევნებში გამარჯვების საშუალებით ოპოზიციას შეუძლია დააჩქაროს საყოველთაო თავისუფალი არჩევნების გამართვა, - ეროვნული ასამბლეის მოსაწვევად. ამიტომაც ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ქართველი ემიგრანტები და მათი შთამომავალნი, ამ განცხადებით გამოვთქვამთ ამ არჩევნებში საქართველოს სახალხო ფრონტისადმი ჩვენს მორალურ მხარდაჭერას"!

IX.

სხვათა შორის, ამ განცხადების ხელმომწერთა შორის, ალბათ, ამ სტრიქონების დამწერიც უნდა იყოს დასახელებული, თუმცა მე ბატონ ექიმ აკაკი რამიშვილს — სხვათა შორის, დიდი საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის შვილს; ნოე რამიშვილისა, რომელიც ბოლშევიკებმა 1930 წლის 7 დეკემბერს მოკლეს პარიზში, - წერილი გავუგზავნე, რომელშიც განვმარტე, რომ თუ საქართველოს სახალხო ფრონტი, რომლის პროგრამას მე არ ვიცნობ, 26 მაისის იდეაზე დგას, მაშინ, რა თქმა უნდა, მას მე მხარს ვუჭერ; მაგრამ ჩვენ-როგორც სოციალ-დემოკრატები-ყოველთვის მხარს ვუჭერთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ეროვნული

## X.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს არ არის არსებითი; არსებითია ის, რომ ქართვე-ლი პოლიტიკური ემიგრანტების ერთი ნაწილის აღნიშნულ აზრს, ისეთი განრისხება გამოუწვევია ამ "საგანგებო კონფერენციაზე" დარჩენილ მონაწილეებში, რომ კონფერენციის რეზოლუციაში წამოყენებულია პოლიტიკური ემიგრანტების ამ ოცდათვრამეტიანი ჯგუფის წინააღმდეგ, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, - შემდეგი ბრალდებები:

1. "საგანგებო კონფერენციამ" უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის ამ ნაწილს;
2. ამ 38 პოლიტიკურ ემიგრანტს"წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის";
3. ეს ჯგუფი "...პირიქით, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა კიდეც საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან";
4. "დღეს, ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს"; და
5. "ემიგრანტთა ამ ნაწილმა დროზე უნდა გააკეთოს რეაქცია კონფერენციის ამ რეზოლუციაზე და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში".

## XI.

ძნელია, ყოველ აღნიშნულ კითხვას შესაფერი პასუხი გაეცეს, ვინაიდან ეს ქართული ემიგრაციის აღნიშნულ ჯგუფში მოქცეული ცალკეული პიროვნების ავტობიოგრაფიის აღწერა და თავისებური "თავდაცვა" იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არც ერთ წევრს, - თუ მას სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვს ჩადენილი ქართველი ერის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, რაც მხოლოდ-და-მხოლოდ მიუდგომელი სასამართლოს, ქართული სასამართლოს განსჯის ნორმებს ემორჩილება, - "თავდასაცავი" არაფერი არ აქვთ. მაგრამ მაინც ორიოდე შენიშვნა:

1. "უნდობლობის გამოცხადება" საგანგებო კონფერენციის მიერ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ამ ჯგუფის წინააღმდეგ, ვფიქრობ,"თავისებური ბოლშევიზმია", ვინაიდან ჩვენში ამ სიტყვებმა გამოიწვია "ხალხის მტრების", "ბურჟუაზიული ნაციონალისტების" თუ "კლასობრივი ბრძოლის" ასოციაციები, რაც ასე დამახასიათებელი იყო(და არის!) ბოლშევიკური რეჟიმისათვის, რაც, როგორც ჩანს, საქართველოში, სულ ცოტა, სუსტდება, ქრება, მაგრამ ჩვენს "ქვე-შემეცნებაში" მაინც შემორჩენილი უნდა იყოს. "უნდობლობის გამოცხადება" - ბოლიში, "ჭკუას არ გასწავლით" - შეუძლია დემოკრატიული გზით არჩეულ პარლამენტმა გამოუცხადოს მთავრობას და ისიც, პარლამენტის დეპუტატთა ხმების საჭირო უმრავლესობით, რომლის დროს მთავრობა უნდა გადადგეს. და ვითომ ასეთი უფლებამოსილება გააჩნდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციას, მით უმეტეს, რომ სახალხო ფრონტის წარმომადგენლობამ ეს კონფერენცია დატოვა, ამ სტრიქონების ავტორისათვის უცნობი მიზეზების გამო?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ დავივიწყებთ: "უნდობლობის გამოცხადება" ხელწამოსაკვრავი ცნება არ არის და ასე ადვილად ნუ ისმართ, ნუ ვისმართ ასეთ გამოთქმებს, რომელიც საქმე 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების გზების მეზნას ეხება.

2. ამ 38 პოლიტიკურ ემიგრანტს თუ"...წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ სამშობლოსათვის", ვფიქრობ, ასეთი "ხუმარული" დაგმობა უადგილოა; და თუ მათ მართლაც სამშობლოსათვის დღემდე არაფერი გაუკეთებიათ, მით უფრო მისასალმებელი არ არის, რომ დღეს "რაიმეს" გაკეთება სურთ, თუნდაც იმით, რომ მათ აზრს გაწდვით ოქვენ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ?..აზრის გამოთქმის უფლება ხომ უზრუნველყოფილია "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-19 მუხლით?.. მაგრამ აქ რა მოსატანია "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-19 მუხლი, როცა ამ დეკლარაციის გამოცხადების, თითქმის, ერთი-მესამედი საუკუნით ადრე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც სანიმუშო კონსტიტუციათ შეიძლება ჩაითვალოს დღესაც,- უზრუნველყო ყოველი ადამიანის აზრის გამოთქმისა და თავისუფლად გავრცელების უფლება?..

3. ყველაზე უფრო დაგვაფიქრა გამოთქმამ თითქოს პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი "...ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა კიდეც საქართველოს მარიონეტულ მთავრობასთან". უთუოთ, პოლიტიკური ემიგრაციის რიგებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, ალბათ, თანამშრომლობდენ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებთან. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი ბრალდებების წამოყენება "ხუმარულად", ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სულ ცოტა, დაუშვებელია იმიტომაც, რომ ამ 38-ი ქართველ ემიგრანტთა ჯგუფის აღნიშნული განცხადება შეიქმნა ბატონ ექიმ აკაკი რამიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით; და ნუთუ არ იცოდენ ამ "საგანგებო კონფერენციის" რეზოლუციის მიმღებმა, რომ აკაკი რამიშვილის მამაა- დიდი სახელმწიფო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავჯდომარე და ნოე ჟორდანიას მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, რომელიც ბოლშევიკებმა 1930 წლის 7 დეკემბერს მოკლეს, დიახ, მოკლეს პარიზში?.. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო შორს მივდივართ: ვითომ სწორი პოლიტიკური ნაბიჯია თუ ჩვენ ერთმანეთს ბრალდებებს წავუყენებთ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის მოტივით?.. ნუთუ ჩვენ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა საქართველოს კომპარტიაში, დაახლოებით, 300.000-აზე მეტი საქართველოს მოქალაქეა გაერთიანებული, რომელთა დიდი, დიდი უმრავლესობა ჩვენი ერის სასახელო შვილებია; და ნუთუ რომელიმე მათგანს შეიძლება წაეყენოს "ბრალდება" საქართველოს მარიონეტულ მთავრობასთან თანამშრომლობის გამო?.. ეს ხომ თვითმკვლელობაა?.. განა ჩვენ "დასაგმობი" და "არასაიმედო" ქართველობის იარლიყი უნდა მივაკეროთ ყველას, ვინც ამა-თუ-იმ პარტიის, გაერთიანების თუ პირის აზრს არ იზიარებს?.. "დანაშაული" და "უდანაშაულო" პოლიტიკურადაც ხომ სისხლის სამართლის ცნებებია და არა"მისაღები" თუ "არმისაღები" აზრების საზომი?..

4. და კიდევ ერთი უმეცრება:" დღეს, - ვკითხულობათ ამ საგანგებო კონფერენციის აღნიშნულ რეზოლუციაში, - ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან

ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რადაც რეცეპტები მესთავაზოს".

ჯერ ერთი, საკუთარი აზრის გამოთქმა "ჭკუის დარიგება" არ არის, ხოლო მეორე - ჩვენ, პოლიტიკურ ემიგრანტებმა, განსაკუთრებით მათ შორის იმათ, როგორც მე, საქართველო ორმოცდა-ათი წლის წინათ დავტოვეთ, - არასოდეს არ გამოვსულვართ "ჭკუის დამრიგებლის" როლში, თუ აზრის გამოთქმას "ჭკუის დარიგებათ" არ მივიჩნევთ. თუ ჩვენ გვსურს (და ჩვენ გვსურს უდავოთ) 26 მაისის დიდი იდეების ისევ-განხორციელება საქართველოში, მაშინ საქართველოში (და ემიგრაციაშიც, რომელიც განუყოფელი ნაწილია ქართველი ხალხისა), - უნდა გავამეფოთ "პოლიტიკური კულტურა", შემწყნარებლობა იმ დროსაც, როცა რომელიმე პარტიას, დაჯგუფებას თუ პირს, არ მოსწონს ამა-თუ-იმ პირის აზრი.

ბოლოში, აღნიშნულ აზრებსაც, ალბათ, ზოგიერთები ისევ "სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულთა" არასასურველ აზრად მიიჩნევს. ამგვარ შეფასებებს ვუსურთ ვუთხრათ, რომ ყოველი აზრი "კილომეტრებით" კი არა, მისი შინაარსით უნდა განვსაჯოთ, და იმ დროსაც ნუ დავცემით იმ ადამიანებს, რომლებიც ისინი "ცდებიან". ეს არის დემოკრატიის უცილობელი, უდავო პირველი ასო. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჩინური ხალხური სიბრძნე ამბობს - ნათლად ხედავს ის, ვისაც დისტანცია გააჩნია, თუმცა ამგვარი პრეტენზია პოლიტიკურ ემიგრაციის არც ერთ ნაწილს არასოდეს არ ჰქონია.

5. აი, "ემიგრანტთა ამ ნაწილის" რეაქცია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სავანგებო კონფერენციის რეზოლუციის იმ ნაწილზე, რომელიც გამოქვეყნებულია 1990 წლის მარტის გაზეთ "სამშობლოს" მეექვსე ნომერში. ჩვენ, ეროვნული მოძრაობის სამსახურში ჩადგომა ახლა, 1990 წელს, როგორც ამას ამ რეზოლუციის ავტორები მოგვიწოდებენ, "ისევ" არ გვესაჭიროება, ვინაიდან ყოველი პოლიტიკური ემიგრანტი, ეკუთვნის იგი პოლიტიკურ ემიგრანტთა პირველ, მეორე თუ აწ უკვე მესამე თაობას, ყოველთვის იდგა და დგას "ეროვნული მოძრაობის სამსახურში", მაგრამ იმ პარტიის, იმ პოლიტიკური დაჯგუფების თვალთახედვით, რომელსაც ის ეკუთვნოდა თუ ეკუთვნის. და ეს ჩვენ - დემოკრატიის პირობებში - სრულიად ნორმალურად, სრულიად საჭიროთ მიგვაჩნია.

22043

XII.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ "კონფერენციის რეზოლუციის" მიმღებთა "ერთი უკიდურესობიდან" "მეორე უკიდურესობაში" არ ვაქცევით და არ ვუწოდებთ მათ - წარსულში თუ მერმისი - "საქართველოს პარტიზანული ხელისუფლებასთან" თანამშრომლებს, ვინაიდან ამგვარი ბრალდებების ერთი-მეორისადმი წაყენება დაუშვებელი, კიდევ მეტი, ბოროტებაა, ვინაიდან ეს საქართველოს, ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს დიდ, დიდ ზიანს აყენებს. საქართველოს ყოველი პოლიტიკური პარტია და გაერთიანება "ანგარიშის გასწორების" გზას კი არა, ეროვნული ერთობის გზას უნდა დაადგეს, რომლის დროს ყოველ პარტიას, ყოველ გაერთიანებას, ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი აზრის გამოთქმისა და გავრცელების უფლება და საშუალება მაშინაც კი, როცა ეს აზრი ამა-თუ-იმ პარტიას თუ პირს **არ "მოსწონს!.** ნუთუ დემოკრატიის ეს პირველი ასო არ არის დამკვიდრებული ჩვენს პარტიებსა და გაერთიანებებში?..

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

## XIII.

მოდი შევთანხმდეთ: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მტრებს სწორედ ის უნდათ რომ საქართველოს პარტიები და გაერთიანებები ერთი-მეორეს წინააღმდეგ აამხედრონ, რომ ამღვრეულ წყალში თავიანთი ძველი იმპერიული პოლიტიკა ადვილად აწარმოონ. თავი დავანებოთ ერთმანეთის დაგმობას მაშინაც კი, როცა ესა-თუ-ის აზრი ამა-თუ-იმ პარტიას, გაერთიანებას თუ პირს "არ მოსწონს". უდავო ფაქტია, რომ საქართველოს დღევანდელი ყოველი პარტია, გაერთიანება, ყოველი ქართველი და საქართველოში მუდმივად მცხოვრები სხვა ერის ბევრი შვილები 26 მ ა ი ს ი ს, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევაღდგენისათვის იღწვის; და ჩვენ ეს ერთობა უნდა ჩავაყენოთ საფრთხეში ამა-თუ-იმ დაჯგუფების თუ პირის ყოვლად გაუმართლებელი ბრალდებით, რომელიც მოცემულია "სპეციალური კონფერენციის რეზოლუციაში"?..

## XIV.

მოდი ისევ გავამეფოთ საქართველოში "პოლიტიკური კულტურა", შემწყნარებლობა, ჰუმანურობა, ურთიერთ პატივისცემა მაშინაც კი, როცა ამა-თუ-იმ პარტიის, პოლიტიკური გაერთიანების თუ პირის აზრი, შეხედულება"არ მოგვწონს." აზრთა ამგვარ შეჯახება-ჭიდილში ადამიანი, ერი უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა (ა პრიორი)"ასპროცენტიანი" ერთსულოვნებას. ამგვარი დებულება კი განუყოფელი ნაწილია 26 მაისის დიადი იდეებისა, რომლის ცხოვრებაში განხორციელებისათვის, ვჰჯერა, იბრძვის საქართველოს ყოველი მოქალაქე.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის მაისი

---

"ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ყველა ხალხს მუდამაქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვრონ - როცა უნდათ და როგორც უნდათ - თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად, და თავიანთი შეხედულებისამებრ განახორციელონ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება".

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი. ჰელსინკი,1975 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა

I.

1990 წლის 24-25 თებერვალს, თბილისში, საზოგადოება "ცოდნის" სააქტო დარბაზში, ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა.

II.

ხავერდის ფარდის ფონზე წარწერებია: მარცხნივ - "1893 - 1990. სსდპ V ყრილობა", და შემდეგ პარტიის დევიზი: თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა. მარჯვნივ კი პარტიის სიმბოლო: მუქ შინდისფერ წრეში შვიდქიმიანი ვარსკვლავი.

III.

ყრილობის გახსნისთანავე, აგუგუნდა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება". ფეხზე ამდგარი დარბაზი ეგებება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის გახსნას. ყრილობამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს საქართველოს სდპ იდეალებისათვის თავდადებულთა და 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნას.

IV.

ყრილობას მიესალმა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლები-უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის და ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციებიდან. ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები მიიღო დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიიდან, დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

V.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობაზე, საპროგრამო მოხსენება გააკეთა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ - ბატონმა პროფესორმა გურამ მუჩაიძემ. მისი საპროგრამო მოხსენების თემა:"სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივა". მან ილაპარაკა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აწ უკვე თითქმის ას-წლიან ისტორიაზე და მის დღევანდელ ამოცანებზე, რომლის შვიდი პრინციპი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური პლურალიზმი, ეკონომიკური თვითმმართველობა, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური უშიშროება, დემოკრატიული წონასწორობა, საკარეო კარგახსნილობა.

VI.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობაში მონაწილეობა მიიღო 169 დელეგატმა საქართველოს ყველა კუთხიდან, და 230 თანამგრძნობმა. გაიმართა რა კამათი პროფესორ გურამ მუჩაიძის საპროგრამო მოხსენების შესახებ, ბატონმა მოთა ბურდულაძემ, დელეგატმა სიღნაღიდან, მხარი დაუჭირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ შვიდ საპროგრამო პრინციპს. ანალოგიური განცხადება გააკეთა აგრეთვე ბატონმა სიმონ ჭელიძემ, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგაც, ოციან წლებიდან.

VII.

"სწორედ ეს პრინციპებია, - თქვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გალის რაიონის ორგანიზაციის თავჯდომარემ ბატონმა ფრიდონ დოჩიამ, - რომლებიც ნერგავს ჩვენში ღრმა რწმენას. ჩვენ ვართ - ხალხის პარტია საქმით, და არა სიტყვით."

VIII.

ბატონ ფრიდონ დოჩიას მხარი დაუჭირა ბატონმა ვლადიმირ ხადოვსკიმ, რომელმაც, სხვათა შორის, თქვა:"მე მიმიზიდა პარტიამ სწორედ იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეები იპყრობს მსოფლიოს, და ეს იდეები სხვა იდეებზე უფრო ახლოა ადამიანთან. მე თბილისის მკვიდრი მცხოვრები ვარ, ჩემი წინაპრები დიდიხანია ცხოვრობდენ აქ; ვთვლი კანონზომიერად აღორძინებას პარტიისა, რომლის მთავარი პრინციპია - სოციალური სამართლიანობა."

IX.

უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა, ბატონმა ფერენც კურდიმ, - მიესალმა რა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობას, - აღნიშნა, რომ აღნიშნული "შვიდი პრინციპი" არის ის მიზანი, რომლის განხორციელებისათვის იბრძოდა და იბრძვის ყოველი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

X.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ინსტიტუტის გამგის(სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემია) ბატონ პროფესორ ბორის ორლოვის მისასალმებელმა სიტყვამ: "როგორც სწავლული, მე მაქვს შესაძლებლობა შევისწავლო მასალები სხვადასხვა პარტიების; და, შევისწავლე რა ეს მასალები, მივედი დასკვნამდე, რომ ყველაზე უფრო ჰუმანიტარულია სოციალ-დემოკრატების იდეა. ეს მოძრაობა,რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყველა მოთხოვნილებას, და,ამავე დროს, ეს არ არის პრაგმატული მოძრაობა. ეს არის ჯანსაღი აზროვნების შეერთება ოცნებასთან..."

XI.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის დელეგატებმა, - პარტიის წესდებისა და პროგრამის განხილვის შემდეგ, - დაამტკიცეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამა და წესდება. აღსანიშნავია, რომ ეს არის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის,ე.ი. "მესამე დასის" მეორე პროგრამა და წესდება. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი "სამოქმედო პროგრამა" მიღებული და დამტკიცებულ იქნა 1893 წლის 7 თებერვალს, "მესამე დასის" დაარსებისას, რომლის ამოსავალი დებულება - "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა" - ძალაში დღესაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 27 კაცის შემადგენლობით.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარედ ყრილობამ აირჩია ბატონი პროფესორი გურამ მუჩაიძე.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნა ბატონი გურამ აბაშიძე.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ქალბატონი მარინა დეკანოიძე და ბატონი ვაჟა მუზითიძე.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ბატონი გიორგი წერეთელი.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სარევიზიო კომისიის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი კობა დავითაშვილი.
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესის ცენტრალური ორგანოს - "ერთობის" - რედაქტორად არჩეულ იქნა ბატონი ზურაბ აბაშიძე.

## XIII.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა გაგრძელდა ორ დღეს, 24 და 25 თებერვალს. იმავე დღეს, ე.ი. 1990 წლის 25 თებერვალს შედგა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს წევრები და საზღვარგარეთის ბიუროს ორგანოს "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა. საზღვარგარეთის ბიუროს დაევალა ქმედითი ზომების მიღება საქართველოს სდპ სოციალისტურ ინტერნაციონალში გაწევრიანებისათვის.

## XIV.

ამგვარად, საქართველოს უძველესმა პარტიამ "მესამე დასმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც - ამ თითქმის ასი წლის განმავლობაში - არასოდეს არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა, - ისევ განაახლა ლეგალურად საქართველოში მოქმედება, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ გახდება ისეთი დიდი პოლიტიკური ძალა, როგორიც იყო ამ გასული ერთი საუკუნის განმავლობაში.

## XV.

ახლა, დაუყონებლივ საჭირო და აუცილებელია, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ "გავიდეს ხალხში", "მშრომელ ხალხში", შექმნას საქართველოს ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რაც, გასაგებია, ადვილი საქმე არ არის. მაგრამ - თუ ჩვენ მოვიგონებთ "მესამედასელთა" გამოჩენილი მოღვაწეების-ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძის, კარლო ჩხეიძის, კაკი(იოაკლი) წერეთლის, ნოე რამიშვილის, ისიდორე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის და სხვა მრავალთა დაუღალავ და ენერგიულ მოქმედებას, მეფის რუსეთის გაცილებით უარეს პირობებში, - მაშინ, ვფიქრობთ, შესაძლებელია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ისევ გახდეს "პირველი ძალა" საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის 25 თებერვლის სხდომის

## ოქმი № 2

სხდომას ესწრებოდა ცკ-ის 27 წევრიდან 25.

დღის წესრიგი: 1. საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს უფლებამოსილების განახლება და მისი პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება;

2. საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს ორგანოს "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება.

განხილულ საკითხებზე აზრი გამოთქვეს: გ. მუჩაიძემ, გ. აბაშიძემ, გ. დეკანოიძემ, გ. წერეთელმა, ფ. დოჩიამ, ო. იამანიძემ.

დაადგინეს: 1. საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად;

2. განუახლდეს მანდატი საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს;

3. საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს განახლებულ მანდატს ძალა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე;

4. საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს წევრებად დამტკიცდნენ: საქართველოს სდპ ცკ-ის წევრი კ. ინასარიძე, საქართველოს სდპ ცკ-ის წევრი მ. ბერიშვილი, ვ. რიჟამაძე, ნ. რამიშვილი, გ. ლომაძე, საქართველოს სდპ ცკ-ის წევრი ჯ. კახნიაშვილი, საქართველოს სდპ ცკ-ის წევრი რ. წაქაძე.

5. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანოს "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: კ. ინასარიძე, მ. ბერიშვილი, ვ.რიჟამაძე, ზ.აბაშიძე, ზ.ბილიხოძე.

6. დაევალოს საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს მიიღოს ქმედითი ზომები სოციალისტურ ინტერნაციონალში საქარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვლის სდპ გაწევრიანებისათვის;

7. დაევალოს საზღვარგარეთის ბიუროს უახლოეს ხანში აცნობოს ცენტრალურ კომიტეტს უცხოეთში მომქმედი პარტიის ორგანიზაციებისა და ჯგუფების და წევრების რიცხვი...

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის
თავმჯდომარე [signature] გ.მუჩაიძე

თბილისი, ჩიტაძის 6, ოთახი 219.

ძვირფასო მამაო!

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] [illegible]

[illegible]

1.III.90.

---

შენიშვნა: სამწუხაროთ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი წესდება და პროგრამა, აგრეთვე V ყრილობის სხვა მასალები, ჯერჯერობით, ვერ მივიღეთ; ამიტომ, გამოვაქვეყნებთ "ჩვენი დროშის" შემდეგ ნომერში.

სარედაქციო კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის გამოძახილი

# სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

**საზოგადოება** „ცოდნის" სააქტო დარბაზი. იგი სავსეა დელეგატებით, თანამგრძნობებით, მოწვეულებით.

ხავერდის ფარდის ფონზე წარწერებია: მარცხნივ — „1893-1990. სსდპ V ყრილობა". შემდეგ პარტიის დევიზი: თავისუფლება, სიმართლე, სოლიდარობა. მარცხნივ — პარტიის სიმბოლო — მუქ შინდისფერ წრეში მ[illegible] ვარსკვლავი. ჟღერს თავისუფალი საქართველოს ჰიმნი: „დიდება". ფეხზე ამდგარი დარბაზი ეგებება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობის გახსნას.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სდპ იდეალებისათვის თავდადებულთა და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

ბოლო და დღევანდელ ყრილობებს ექვსი ათეული წელი აშორებს.

მემკვიდრეობითობა გრძელდება.

დაიწყო უცხოელთა და საბჭოთა კავშირის თანამოაზრეთა პარტიების წარმომადგენლების გამოსვლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას თავისი ბიუროები აქვს უცხოეთის მრავალ ქალაქში.

ერთი უაღრესად ნიშანდობლივი დეტალი. ქართველ სოციალ-დემოკრატებს წილად ხვდათ მისია მსოფლიოში პირველებს გაეკვალათ გზა სოციალისტური იდეების პრაქტიკულად ხორცშესხმისაკენ. პრიორიტეტი უდაოა და თავმოსაწონებელი.

დელეგატებმა ყურადღებითა და ინტერესით მოისმინეს პოლიტიკური მოხსენება — სოციალ დემოკრატიული ალტერნატივა, რომლითაც გამოვიდა პროფესორი გურამ მუჩაიძე.

ყრილობამ განიხილა პარტიის წესდებისა და პროგრამის პროექტები.

გაიმართა კამათი.

დელეგატებმა მიიღეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდება და პროგრამა.

ყრილობამ აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სარევიზიო კომისია.

პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია პროფ. **გ. მუჩაიძე**, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ **გ. აბაშიძე**, მოადგილეებად: დოცენტი **ე. შუხითიძე**, **მ. დეკანოზიძე**, პასუხისმგებელ მდივნად **გ. წერეთელი**. პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქტორად არჩეულია **ზ. აბაშიძე**.

ყრილობა ორ დღეს გაგრძელდა.

გაზეთი "შრომა", 28.2.1990 წ.

---

# მეხუთე ყრილობა

**ახლა** ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც პოლიტიკური პლურალიზმი რეალობა ხდება. ამის დამადასტურებელია თბილისში, რესპუბლიკური საზოგადოების „ცოდნის" დარბაზში ორი დღეს მიმდინარე, როგორც თვითონ უწოდებენ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეხუთე, აღმდგენი ყრილობა.

დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ქართველ სოციალ-დემოკრატთა, 9 აპრილს თბილისსა და რესპუბლიკის და ქვეყნის სხვა რეგიონებში ტრაგედიების ყველა უდანაშაულო მსხვერპლის ხსოვნას.

პოლიტიკური მოხსენება „სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივა" გააკეთა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა გურამ მუჩაიძემ, რომელმაც ჩამოაყალიბა და დაასაბუთა პარტიის პროგრამის შვიდი ძირითადი პრინციპი. სახელდობრ, ესაა ეროვნული თავისუფლების, პოლიტიკური პლურალიზმის, ეკონომიკური თვითმართველობის, სოციალური სამართლიანობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, დემოგრაფიული წონასწორობისა და საგარეო-კარგახსნილობისადმი მისწრაფება. სწორედ ამით დადასტურდა პოზიციების მემკვიდრეობითობა და 1893 წლის 7 თებერვალს საქართველოში ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის" ერთგულება. ოცდახუთი წლის შემდეგ მისმა თანამიმდევრებმა, მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში პირველად, გაიმარჯვეს არჩევნებში დემოკრატიული მრავალპარტიული სისტემის პირობებში და ჩამოაყალიბეს რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ყრილობაზე წაიკითხეს საზღვარგარეთიდან მიღებული მისასალმებელი დეპეშები, მოისმინეს სტუმართა — სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა გამოსვლები.

ყრილობამ განიხილა და მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება, დეკლარაცია რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტიის არჩევნების შესახებ. ფორუმის მუშაობაში, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი, მონაწილეობდნენ უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, ქალაქების მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. დელეგატებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშები დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტებისაგან, დანიისა და სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატებისაგან.

ყრილობამ აირჩია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. მის თავმჯდომარედ აირჩიეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ მუჩაიძე.

გაზეთი "კომ.", 27.2.1990 წ.

---

# საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

**საქართველოს** უმძიმესი გამოცდის ჟამი დაუდგა. თუ აქამდე საზოგადოება მოცული იყო ხელისუფლებისადმი უნდობლობით გამოწვეული სიღრმისეული კრიზისით, დღეს უკვე თვით ოპოზიციურ ძალებში გამოიკვეთა სულ ცოტა ორი მიმართულება, რომელსაც არათუ უჭირს, არამედ არც ეტყობა ურთიერთდაახლოებისაკენ სწრაფვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურიგებელი ოპოზიციის დაწოლის შედეგად გადატანილია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები, რაც თავისთავად სასიკეთო იქნებოდა, რომ არა ჩვენი უკიდურესად დინამიური დროისათვის თვალუწვდენელი ვადები. ჩვენ წინათაც ვიყავით და ახლაც ვართ მრავალპარტიული არჩევნების მომხრენი. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს უნდა მომხდარიყო უმოკლეს დროში. იმას, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას არ ძალუძს ერისა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტა, ნათლად ადასტურებს ის, თუ როგორ [illegible] ში სესიაზე მიღებული შესწორებები კონსტიტუციის მე-6 მუხლში. მრავალპარტიულობის დაკანონების კვალობაზე რომელიმე (ამ შემთხვევაში კომუნისტური) პარტიისათვის განსაკუთრებული ადგილისა და როლის მინიჭება სრულიად გაუმართლებელია. მაგრამ ასე მოიქცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა და, შესაბამისად, იგივე გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომაც. დასკვნები საზოგადოებისთვის მიგვინდვია...

ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველო კიდევ ექვსი თვით რჩება ჭეშმარიტად ქმედითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის გარეშე, რაც დიდად შეაფერხებს ჩვენს წინსვლას საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ ძნელსავალ გზაზე. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გადაუდებლად გაატარონ რეგისტრაციაში ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მოქმედებენ კონსტიტუციის ფარგლებში და დაიწყონ მათი მოლაპარაკება ოფიციალურ ხელისუფლებასთან. ჩვენი ღრმა რწმენით, დადგა საქართველოში მოქმედი დემოკრატიული ოპოზიციური ძალებისა და კომუნისტური პარტიის „მრგვალ მაგიდასთან“ თავშეყრის დრო. მოლაპარაკების შედეგად მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედი ოპოზიციური პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შესვლისა და ამ გზით გარდამავალი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნების შედეგად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ჩამოყალიბებამდე. გარდამავალმა კოალიციურმა მთავრობამ უნდა გაშალოს ფართო მუშაობა იმისათვის, რათა შეიქმნას პოლიტიკური და ეკონომიკური წანამძღვრები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა დემოკრატიულ ოპოზიციურ პარტიას, ვინც პროფესიულად და მორალურად მზადაა იკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს და მისი მომავლის წინაშე, მხარი დაუჭირონ წამოყენებულ წინადადებებს. ჩვენთან დაკავშირება შეიძლება ტელეფონებით: 93-79-21; 99-53-78.

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# СЪЕЗД СОЦИАЛ-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ

**Закончил работу продолжавшийся два дня съезд социал - демократической партии Грузии. Съезд обсудил и принял программу и устав партии, декларацию о возрождении СДП республики.**

В работе форума, как составной части международной социал - демократии, участвовали представители организаций Венгрии, Латвии, Эстонии, Азербайджана, городов Москвы, Ленинграда. Делегаты получили приветственные телеграммы от лейбористов Великобритании, социал-демократов Дании, других стран.

Съезд избрал руководящие органы социал - демократической партии Грузии. Ее председателем избран доктор исторических наук, профессор Гурам Мучаидзе.

(ГРУЗИНФОРМ).

# Возрождение СДП Грузии

24—25 февраля, в Тбилиси, в актовом зале общества «Знание», проходил V съезд социал-демократической партии Грузии.

164 делегата в течение двух дней оживленных дискуссий утвердили Устав и Программу партии, избрали руководящие органы.

Председателем партии избран профессор Гурам Мучаидзе. Первым заместителем — Гурам Абашидзе, заместителями — Мария Деканоидзе и Важа Шубитидзе, ответственным секретарем — Георгий Церетели, председателем контрольно-ревизионной комиссии — Коба Давиташвили, редактором центрального печатного органа — газеты «Единство» — Зураб Абашидзе.

Съезд принял ряд документов.

В. НОРАКИДЗЕ.

გაზეთი "ვეჩერნი ცბილისი", 24 და 27.2.1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "მესამე დასი" "მესამე გზა?" - თეორია და პრაქტიკა

### ქართველი ერი ისტორიის პირისპირ

### სხვადასხვაგვარ მოვლენათა ურთიერთგადალაგებაში განხილვის მცდელობა

I

ქართული ჭირ-ვარამი თითქოს დასასრულს ეძლევა, ჩვენი ეროვნული გამოფხიზლების და აღორძინების საკეთილდღეოთ.

გარკვეული წარმოდგენა, რომ ვიქონიოთ, ჩვენი დროის კაცობრიობის პერმანენტულ ტრაგედიის მიმართ, ამისათვის ადამიანის მთელი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს, ამ საუკუნის იმ ისტორიულ ამბავთა მიმართ, რომელნიც წარმოადგენენ ამ უწყვეტი ტრაგედიის საწყისებს.

თავისი მინაგანი ლოგიკური კანონიერების კარნახით, როდესაც რუსეთის ერის წიაღში ჩაისახა, ის სოციალურ-პოლიტიკური ცნებანი, უშუალოდ თვით ლენინის ცნობიერებიდან წარმომდგარი და მოევლინა მსოფლიოს რუსული შოვინიზმის მოდერნული სახით, რომელსაც თავისი საშინელი ბუნებრივი შესატყვისი სახელწოდება, ორიოდე ხნის წინად გაბედულად მიანიჭა რუმინეთის ერმა, რომელმაც ტელეხედვის შემწეობით, მთელ ქვეყნიერობას თვალწინ გადაშლით ამცნო, კომუნისტური ხელისუფალთა მიერ ჩადენილი მხეცური ჯალათობის ნაყოფი: ყოველ ასაკის დასქესთა ადამიანების ბოლშევიკური მეთოდებით წამება და ხოცვა-ჟლეტა, ნახევრად ცოცხალ სხეულთა ერთ ორმოში ჩაყრა!

ცხადია, ლენინური ტირანიის დემონსტრირებამ ცოცხალი მაგალითებით ძირფესვიანად შეარყია მსოფლიოში კომუნისტური პარტიების ძირმომპალი მორალური განწყობილება.

ოქტომბრის ბოლშევიკურმა ავანტიურამ, ლენინის რუსული მოდერნული შოვინიზმი დააკანონა, როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იდეოლოგია, რომელმაც საფუძვლად დაიდო: ადამიანის და ერის სულიერ-ეროვნული დამონების უძლეველობათა პრაქტიკა! "ურჩთა და შეუპოვართა" მიმართ ტერორი!

კაცობრიობას პერმანენტული ტრაგედიის წინაშე მდგომს, დასაწყისშივე მოევლინა წინასამეტყველი და გამკითხავი, ეს გახლდათ, ქართველი ერის შვილი, თავის ეროვნულ კულტურის და მის ტრადიციებზე აღზრდილი ცნობილი, პოლიტიკურ-ეროვნული მოღვაწე, სოციალისტი ირაკლი გიორგისძე წერეთელი.

როგორც ამ მოკლე საუბარში დავინახავთ, ჩვენი თანამემულე თავის წინასამეტყველური მოღვაწეობის განხორციელებაში უძლური აღმოჩნდა, რომ მას, გზა გადაელობა და თავისივე სამშობლოში ჩაეკლა, რუსული მოდერნული შოვინიზმი, ლენინური მისწრაფებებით გარემოცული, რომელიც შეუპოვრად მიიჩქაროდა ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის!

დღესაც კი თვალნათლივ ეხატება კაცობრიობას, მისი იმდროინდელი პრაქტიკულად გარკვეული პოზიცია, როგორც მომავალი სინამდვილის უტყუარი გამსაზღვრელი ჭეშმარიტება! მაგრამ ი ს, ყოველმხრივ აღჭურვილი უძლიერესი მჭერმეტყველობის შესაძლებლობით მაინც უძლური აღმოჩნდა, როგორც ზემოთ ითქვა, ლენინის ავანტიურისტულ საქმიანობის წინააღმდეგ, ვინაიდან ლენინს ხელთ ქონდა მის წინააღმდეგ, -"უვიცი ჯარისკაცების მუშტი და ხიშტი". (კ. კაუცკი.)

დამფუძნებელ კრებაში სოციალისტური პარტიები წარმოადგენდენ უმრავლესობას, განსაკუთრებით ესერები; ეს პოლიტიკური ღირსება და უპირატესობა იყო ისტო-რიული სინამდვილე, ყოველივე ეს მიკუთვნებული ჰქონდათ, რუსეთის იმპერიის ხალხთა მობილიურ სარბიელზეგამოსულ ამომრჩეველთა უმრავლესობის ეროვნული თვ-ალსაზრისიანობით.

როდესაც ი. წერეთელი, ბოლშევიკების გაუმართლებელ ამბოხების წინა დღეე-ბში, საბჭოთა დემ იკრატიის პოლიტიკურ გამჭრიახობას საფუძვლად უდებს რუს-ეთის რევოლიუციის თავდაცვის შესაძლებლობას, მაშინ წარმოიშვა და მის თვალ-ის წინ გაღვივდა დროებითი მთავრო ბის ,ეგრეთწოდებული აპრილის კრიზისი, გამოწვეული კადეტების მიერ, უკრაინის საკითხში შეუთანხმებლობის ნია აგზე.

მომაკვდავმა მილიუკოვმა ემიგრაციაში აღიარა, რომ მისი მაშინდელი პო-ზიცია დროებითი მთავრობაში, გახდა მთავარი სტიმული და სულშემწყობი ბოლ-შევიკური დიქტატურის გამარჯვებისა!

აპრილისკრიზისის რეზონანსი ძლიერი პოლიტიკური რისხვა იყო თებერვლის რევოლიუციის დემოკრატიული მხვედრობისათვის; პოლიტიკური სიტუაცია, მხოლოდ კოალიციურ შესაძლებლობაში ხედავდა, დემოკრატიის პროგრესიულობის უკვდავყ-ოფად შენარჩუნებას.

ის ტრიბუნიდან ყველას ყურადსაღებად აღიარებს; ამჟამად დამფუძნებელი კრების საბჭოთა დემოკრატიის შემადგენლობაში, არ მოიპოვება პარტია, რომე-ლიც იკისრებს ხელისუფლების ხელში აღებას დაქვეყნის მართვას!

მოულოდნელმა წამოძახილმა ,აუდიტორიის სივრცეში დამძაფრებულმდუმ-არეობას საკვირველება და გახცვიფრება მოჰგვარა, თითეულის ცნობისმოყვარეობის განჭვრეტ-მხედველობის საგანს, ფეხზე მდგომი, ხელგაწვდილი ილიჩი წარმოდგენდა, რომელიც თავის ოცნება-სურვილის კეთილდღეობასაუცილებლობას მომავლის სინამ-დვილის ბედნიერებათ სახავდა!

ლენინმა და მისმა ამალამ დარწმუნებით იცოდნენ, რომ ვეღავითარ უპირატ-ესობას ვერ მოიპოვებდნენ დემოკრატიის პოლიტიკურ სარბიელზე,; მათ სინამ-ვილეპირდაპირ უკარნახებდა, მათი ავანტიურისათვის აუცილებელი იყო პარტიუ-ლი დიქტატურა აღიარებული რევოლიუციურად განწყობილ სოციალური კლასის სახ-ელით, ასეთი იყო მუშათა კლასი, რომელიც იმ დროს ყველა სოციალისტური პარ-ტიების იდეოლოგიურ ობიექტს წარმოადგენდა, ამ მუშათა კლასის მიჭირხაზულეთ და აპეკუნად ევლინება, რუსეთის ერს ლენინი თავის რუსული მოდერნული შო-ვინიზმით.

ერთადერთი პიროვნება აღმოჩნდა თავის პოლიტიკური გარკვეულობით და მორხმჭვეულელობით, რომელმაც თავიდანვე განსაზღვრა თურას წარმოადგენდა კაცობრიობი-ათვის, როგორც დღეს, ის ე მომავალში ლენინის მოდერნული რუსული შოვინიზმის პოლიტიკა, დღეს ბოლშევიკური პარტიის სამოქმედო დოკუმენტებში საპროპაგანდოთ გამოხატული!

ი. წერეთელმა თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადა ლენინის მზაკვრულ პოლიტ-იკაში გახვეულ რუსულ შოვინიზმს, რომლის საქვეყნოდ წარდგენას ლენინი ცდი-ლობდა, ზეგამოხატულ ინტერნაციონალურ უკვდავებად, სადაც ,ადამიანთა ერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ვსული შიში,შური და ეგოიზმი ჩაასრდება სამუდამოთ ისტორიასძისხვე გეხირ
კურთხევით!

როგორც ზემოთ ითქვა,დამფუძნებელ კრებაში სოციალისტური პარტიები უმ-
-რავლესობას წარმოადგენდა, ისინი იყვნენ საბჭოთა დემოკრატიის მოწინავე
ძალა,მაგრამ როდესაც ბოლშევიკურმა პროვოკაციამ ისინი ყოველ-დღიურ გურკვ-
-ევლობის ატმოსფეროში მოაქცია, მათი პოლიტიკური პროგრამა,რუსეთის იმპერ-
-იაში მყოფ ერების ნაციონალურ მდგომარეობის შეუსაბამობაში უნაყოფო ჩაკვდა
დაკუმშერფლა! თებერვლის რევოლიუციის პროგრესიულობა, ოქტომბრის სახით
კატორღობის მომავალ განუსაზღვრელ ტრაგედიად გარდაიქმნა!

ლენინური პოლიტიკის ლოზუნგებმა როგორც პარტიათა დაშლა-გახრწნილებით
აგონიამ,პირველ რიგში შეიწირა ესერების პარტიის უმრავლესობა, ისინი საგ-
-ულდაგულოდ ბოლშევიკების ავანტიურაში თავგანწირულ ბრძოლას ა წარმოებ ნენ
და ფიზიკურ განადგურებასთან ერად დაიმსახურეს ისტორიული სახელწოდება
--ესერების ბანდა, რომლებიც ლენინის საგანგებო განკარგულებით, განადგურებ
-ული იქნენ ფიზიკურად.

ივლისის პირველ დღეებშივე წარმოიშვა საბჭოთა დემოკრატიის უმ-
-რავლესობაში პოლიტიკური უთანხმოებანი, რამაც თავის ორგინალური დაღი დაა-
-სვა კოალიციურ მთავრობას და მის საქმიანობას.

შინაგან საქმეთა მინისტრის ი. წერეთლის განცხადება აუდიტორიის
წინაშე: ამჟამად საბჭოთა დემოკრატიას საშიშროება ემუქრება,არა მარჯვნიდა-ნ
არამედ მარცხნიდან,დემოკრატიის შინაგან კონტრევოლიუციიდან; მინისტრი მო-
-თხოვს, ამ არა ბუნებრივივე მოვლენისათვის გზა გადაელობათ, თავი დაეცვათ
შინაგანი ანრხიისაგან და მშვენლთ მოაგონებს,რომ ყოველივე ამას მოთხოვს,
ისტორიული აუცილებლობა, არათუ მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა
ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე კატორღობის მომავალ კეთილდღეობისათვის.

მინისტრის განცხადების წყალობით,რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარ-
-ტიის მ. უდმივი ორჭოფული პოლიტიკა,შედარებით გარკვეულ ფორმაში გამოვლინდა,
როგორც რუსული შოვინიზმის ხრტმეხხმა; განსაკუთრებით მარტოვი გამოავლენა
აქტიურობას ორატორის წინაამდეგ, ის ცდილობდა,შექმნილ პოლიტიკურ მოვლენ-
-ებისათვის შესაფერ ისტორიულ ფაქტების შეფარდებას.

მომხსენებელმა თავის პარტიულ ამხანაგს დამშვიდებით მოახსენა: შეუძ-
-ლებელია, ჩვენი რევოლიუციური ჯარი კავენიაკის სალდათებს შევადაროთ! უნდა
გახსოვდეთ,წარსული საუკუნის რევოლიუციის ტრაფარეტები შეუფარდებელია რამ
არის დღევანდელი რუსული რევოლიუციისადმი.

ჩვენ დემოკრატიას თავის შინაგანი მდგომარეობის მოვლენებით გამოწვ-
-ეული დაავადების სინამდვილე კარნახობს და მოუწოდებს გადამწყვეტ მოქმედე-
-ბისაკენ,რომ ალაგმოს და წესრიგში მოიყვანოს შინაური, სისხლმოწყურებული
ავანტიურისტები; ცხადყოს მათთვის ჩვენი დემოკრატიის საქმიანი წინსვლა კოა-
-ლიციურ მთავრობის შემოქმედებაში,რომელიც ეძობა საფუძვლად საზოგადოებრივ
სხვადასხვა ფენებს სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობისათვის.

ბრაზმორეული მარტოვი ორატორს და მის მომხრე დეპუტატებს აუდიტორიის ლო-
-ჟიდან შეუყვირებს: თქვენ პირწავარდნილი ვერსალელ ჯალათებად დარჩებით ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ტორიას!

ორიწლისშემდეგ რუსეთიდან განდევნილი და გაძევებული მარტოვი, ყველას გა-
-ბოთი დაავადებული, ვრცელი მოხსენებით გამოდის ქ. გალში(15-X-20-წ.), გე-
-რმანიის დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე და ყრილობის შემად-
-გენლობასთან ერთად გერმანიისერს მოუწოდებს, ხელი გაუმართონ და ყოველმ-
-ხრივი დახმარება აღმოუჩინონ,რუსეთის მუშათა კლასს(!!) ოქტომბრისრევოლ-
-იუციის მონაპოვარის დაცვაში და შენარჩუნებაში, მიუხედავათ მისი შინაური
(!!) დაუნდობელი ტერორის წარმოებისა,რომელიც იქ გამოწვეულია,ევროპის იმპ-
-ერიალისტების მათშისაურ საქმეებში ჩარევით და შინაური კლასობრივი მტრების
და რეაქციონერების საქმიანი შეტევა!

მარტოვი თავის სიტყვის დასასრულს აღიარებს,მწუხარების გარეშე,რომ მან
კარგად იცის,მას აქვე გამოაცხადებენ, ნახევარ ბოლშევიკათ,მაგრამ ეს მისთვის
არც საოცრება და არც მოულოდნელობა იქნება.

მარტოვი მთელი თავის ცოდნით და ენერგიით ცდილობს დარწმუნოს გერმანე-
-ლი ხალხი და სოციალისტები,მათ მიერ რუსული ვითარების თანაგრძნობა არ
წარმოადგენს, ლენინური ტერორის გაზიარებას; ჩვეულებრივათ იშველიებს წა-
-რსული საუკუნების ისტორიულ ტრაფარეტებს,რომ მსმენელთა ნებისყოფას გამბ-
-ედაობის იმედიანობა მოგვარის: 18- საუკუნის ბოლოს ინგლისის მოწინავე დე-
-მოკრატები წინაამდეგ პიტტისა და ინგლისის ინტერნაციონალისტებისა იც-
-ავდნენ საფრანგეთის რევოლიუციას,ეს არ წარმოადგენდა მათ გაიგივებას
მ. რობესპიერთან და იაკობინელების ტერორთან.

1871-წელს გერმანელი სოციალისტები და ინგლისის მოწინავე მუშები აღ-
-ფართოვნებული იცავდენ პარიზის კომუნას,მიუხედავათ თავიანთი უა-
-რყოფითი დამოკიდებულებისა ბლანკისტ--პრუდონისტთა იდეოლოგიისა,რომლის
დროშით იბრძოდენპარიზის კომუნარები.

ის ყველაზე ადრიანად და უკეთესად იცნობდა ბოლშევიზმხს ბუნებას და
თვით ლენინს, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში თქმულება: ჩვენ პარტიაში
ლენინი არის იტალიანური მაფია,მიაკუთვნებენ მარტოვს; ბოლშევიზმი მის
თვალის წინ დაიბადა,მის მსვლელობაში აღიზარდა,მიუხედავათ ყოველივე ამისა,
ის მაინც ვერ ერკვეოდა და ვერ უთავსებდა დემოკრატიის სტრუქტურაში წარმ-
-ობილ ისტორიული პასუხისმგებლობის აუცილებლობას.

გიორგი პლეხანოვი თავის უკანასკნელ სტატიაში "წერილი პეტერბურგის
მუშებს" აფრთხილებდა ლენინს, თავი შეეკავებინა საკუთარი ავანტიურისტული
განზრახვებისაგან! დემოკრატიის რიგებიდან ამოვარდნილ სამიოდე ასეულ ჯა-
-რისკაცთა და მატროსების პარაზიტულად განწყობილ სულისკვეთების მიმართ
პროპაგანდა-მოწოდებას,რომ დაეუფლონ ხელისუფლებას,რომელიც არის თითქოს
ერთადერთი საშუალება სოციალური სამართლიანობისათვის; ასეთი პოლიტიკური
ტაქტი და ნაბიჯი მომასწავებელია იმისა,რომ ერის ეკონომიური ცხოვრების

საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა თანამედროვე ინდუსტრიალურ განვითარებასთან, როგორც ნაციონალური მუსარების პასუხისმგებლობა. ერთიანად და მთლიანად დააკისრო, იმ მუშათა კლასს, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება განუვითარებელ ეროვნული საწარმოო ძალების გაურკვევლობის ქაოსში და ეძიებს თავის ადამიანურ და სოციალურ ღირსებას.

გ. პლეხანოვი თავის ასეთი ახსნა-განმარტებისათვის დასასაბუთებლად მოიშველიებს ლენინის საყურადღებო, როგორც ძალიან მიმდევარისათვის ფ. ენგელსის თქმას:-- მუშათა კლასისათვის არარის იმაზედ უფრო მეტი ისტორიული უბედურება, თავს მოახვიო სელისუფლება, რომლისთვისაც ის მზად არარის.- მაგრამ ლენინს დიდი ხანია უკვე მივიწყებული ჰქონდა მარქსიზმი და მისი ფუძემდებლები! ის კისრამდი ჩაფლული რუსული მოვინიზმის ჭაობში, ეძიებდა შესაძლებლობას და საშუალებებს ხალხთა დამონებისათვის.

ლენინმა დეზერტირ სალდათების და მატროსების დახმარებით განდევნილი დამფუძნებელი კრება გახსნა 5-I-1918-წელს; ყველა თვალსაჩინო დეპუტატები გართულებულ მდგომარეობას აერიდებ, ვინ სად, როგორ შეძლო და მოახერხა. დერზვაგა, კოალიციურ მთარობას პრემიერ მინისტრი კერენსკიც, რომლის შესახებ ი. წერეთელი წერს თავის მოგონებებში, "თვით კერენსკი არ წარმოადგენდა მიზეზს, არამედ ის იყო, სახელმწიფოებრივი გახრწნილების პროცესის თვალსაჩინო გამოხატულება".

მიუხედავად მოსალოდნელი ფიზიკური საშიშროებისა ი. წერეთელი არ დარიდებია, ნაცემორეულ და გალეშილ სალდათ-მატროსებს; ის გამოცხადდა, ენერგიულად გაარღვია თავის გარშემო მათი წრე და მიაშურა ტრიბუნას; თავის მჭერმეტყველობით აუდიტორიის მთლიანი ყურადღება მიიპყრო; გალეშილი მატროსები მის სახის წინ ათამაშებდნენ და არაჩხუნებდნენ იარაღს, მაგრამ წარბიც არ შეუხრია და არც სიტყვა შეუწყვეტია! მის გარდა ამ მომენტს, სხვა დამსწრენიც იგონებენ და აღწერენ თავიანთ მემუარებში;. ფაქიზ ადამიანურ ზნეობასთან ერთად, რუსული დემოკრატიის დეზერტირ--გავერანებულთა იარაღის წინ, მდგომის, ქართული სისხლით სახაზრდოებ გამბედაობას, რომელიც ისტორიულ ლეგენდათ დარჩა რუსეთის ერში.

ლენინმა ვოლოდარსკი მიიხმო და უბრძანა: ორატორის წინ იარაღით მუქარა შეეწყვიტა და საერთო წესრიგი დაემყარებია, რომ შესაძლებლობა მისცემოდა მოესმინა ი.წერეთლის სიტყვა.

მომხსენებელმა ტრიბუნიდან უკანასკნელი სიტყვა უანდერძა, კავშირიობის საბედისწეროთ დამარცხებულ რუსეთის დემოკრატიას.

ჩვენ თანამედროვეს საერთო ყვირილის და სტვენის ქაოსში, ყოველგვარი ანტიპოლიტი, ანტისაზოგადოებრივი გამოთქმებით ამკობენ.

დამთავრდა უდღეური თებერვლის რევოლიუცია! მისი მოაზროვნე და მოღ-ბყბე დემოკრატიას დაუდგრომლად მიათრევდა პოლიტიკურ მოვლენათა ცვალებადობის უეცრებანი წყვდიადობაში, ხოლოც ლენინის რუსული მოდერნული შოვინიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეიმობდა საკუთარ გამარჯობას.

ორატორმა სიტყვის დამთავრებისთანავე დარბაზიდან გასავალ კარებს მია-
-მურა; წავიდა და საუკუნოდ განშორდა, კაცობრიობის უბედურების და ტრაგიკულ
სანყისებს---ოქტომბრის ავანტიურას. მისი წინასამეტყველობანი კი
სრული აღთქმით გამართლდა: სოციალური ამორალიზმის მეუფეობა, ზნეობრივი და
ხორციელი დაკრდომილება!

მან აიღო გეზი სამშობლოსაკენ, სადაც მას მშობელი ერი ელოდებოდა;
თანამედროვენი და მაშინდელი ურთიერთსაწინააღმდეგო პრესის ფურცლები
მოგვითხრობენ; მისი დაბრუნება იყო ხანგრძლივი ზეიმი, როგორც ნამდვილი
ეროვნული დღესასწაული .

ი. წერეთელმა, კარგად იცოდა, ისრაც მას, მესამე დასის ეროვნული
შეგნების და მოქმედების ტრადიციებიდან ჰქონდა ჯერ კიდევ სიყრმიდანვე
ათვისებული: არსებულ რთულ მდგომარეობაში, ყოველმა მოქალაქემ უნდა ჩადგეს
ერის სამსახურში და მის წინაშე გაშალოს, თვის პატრიოტული შეგნებიდან წარ-
-მომდგარი საქმიანობა.

ის, სამშობლოში დაბრუნებული, ეროვნული ბრძოლის წინა რიგებშია, რო-
--გორც უბადლო ჯარისკაცი თავის სამშობლოსი.

-II-

დღევანდელ და მომავალ თაობის ყურადღებად უნდა გავიხსენოთ, ქართველ
ერს, არასოდეს დამპყრობლური ომი და რბევა არ უწარმოებია; მის მიერ ჩატარებ-
=ული ბრძოლები, შიგნით საკუთარ მიწა-წყალზე, თუ მის გარეთ, შორეულ ან უახლოე
-ეს უცხოელთა ტერიტორიაზე, ყოველთვის წარმოადგენდა ეროვნულ გამანთავისუფლე-
-ბელ ან თავდაცვითი ხასიათის ბრძოლებს; ასეთი ბრძოლები მრავალი ახსოვს ქარ-
-თულ ისტორიას, როგორც გამარჯვების ზეიმით, ისე დამარცხებულთა ცრემლით და
მწუხარებით; ორთავე შემთხვევაში, ყოველთვის, ქართველი ერის მცდელობას წარმ-
-ოადგენდა, ისტორიული გარდაუვალობანი თავის მეტეგებით ერთ მიზანსწრაფვაში
მოექცია და განეხორციელებინა, ეროვნული სახელმწიფო ორგანიზმის შენარჩუნება,
მისი სიმტკიცე და ძლევამოსილება.

60-წლებიდან ი. ჭავჭავაძე გვასწავლის, თუ რა უდიდესი საგანძურია ერ-
=ისათვის ისტორია, განსაკუთრებით ეროვნული ისტორიაგრაფია; მაგრამ მის აზრს
და სიტყვას ,ფასი და ღირსება სინამდვილეში არქონია, არც "პერესტროიკამდის"
და არც მის შემდეგ.....

ამთვარიელეთ, საბჭოთა პერიოდში ,სხვადასხვა დროს გამოცემულ ილ.
ჭავჭავაძის ნაწარმოების ტომეულებს ღირსეულ პატივს. მაგრამ ვერც ერთში ვერ იპოვით "ქვათა
ღაღადს", რომელიც წარმოადგენს ეროვნული თავმოყვარეობის ნიადაგზე, მეზობელ
"ძმა ერის" მწერალთა და მეცნიერთა უსაფუძვლო და დაუნდობელ შემოტევას, ისტო-
-რიის გაყალბებული.წარმოდგენთ; მე არვიცი, საბჭოთა სომხეთში რა მდგომარეობ-
-აში იმყოფება, ის ნაწარმოები, რომელმაც გამოიწვია ი. ჭავჭავაძის პასუხი
"ქვათა ღაღადი"! მაგრამ საქართველოში კი საოკუპაციო ხელისუფლების მიერ
ეს ი. ჭავჭავაძის უკვდავების ეროვნული კარაბადინი, საზოგადოებრივი გასრწნი-

-ლების სამიწროებათ ითვლება,როგორც "ნაციონალიზმის" გადმონთხეული ბორო-ტება!

აქვე მიზანშეწონილია გავიხსენოთ, წარსული საუკუნის 80-წლეებში, ქართველი ერის შვილი უკვდავი აკაკი თუ, როგორ აფრთხილებს თავის მშობლიურ ერს და მოუწოდებს ეროვნული სიფრთხილისაკენ; ის წერდა იმ საუკუნის 90-წლების დასაწყისში, ქუთაისის გაზეთ "შრომაში",9-დეკმ.-ნომ.-15; მოვიტანთ მოზრდილ ამონაწერს.

"...თუ თავის თავად ავის მეტი ვეღარას ახერხებენ,სომხის მღვდლებს მაინც შეხედონ!.. მაგალითაიდ ჩვენვე მიუთითებთ მათ მამა ტერ-დავით იარალ-იანცზედ: იმან გამოსჭიმა ქუთაისში ჩინებული დარბაზი არა მიცომ, რომ თვი-თონ შიგ ნებიერად იგოროს! არა! მისთვის,რომ აქ შეკრიბოს სომხის შვილები და გამოუზარდოს თავის ქვეყანას... ის იმასა ხცდილობს,რომ არათუ მართლა ძი-რეულად სომხები, ის ქართველებიც კი გაასომხოს, რომელთაც აღარც სისხლი, აღარც სორცი,და აღარც ენა არა აქვთ, ბევრს მათგანს არც ჰქონიათ........ ეს კიდევ არაფერი!.. ის მეცადინობს,რომ სხვადასხვა მაზრებში გაბნეული სომხები ხელ ქუთაისში ჩამოიყვანოს, აქ დაასახლოს, გაამრავლოს,რომ ოდესმე ქუთაისიცისე ჩაუარდეს ხელში სომხებს,როგორც ტფილისი. აი კაცი ღირსი ქების-სა! მაგრამ განამარტო ერთს ტერ-დავითიზედ ითქმის ესა!... სხვებიც არ ჩა-მოუვარდებიან სურვილით და მოქმედობენ თანხმობით საზოგადოს პროგრამმითა და ინსტრუქციით."

1918-წ. 26-მაის დილით ამთავრებს საქმიანობასთან ერთად ამიერკავ კსიის სეიმი თავის არსებობას,გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა ირ. წერეთელმა ქართ-ველი ერის და მისი სოციალ-დემოკრატიის სახელით და დავალებით.

ორატორმა თავის სიტყვის დასაწყისში , ხაზი გაუსვა,დაბადებისთანავე სე-იმის გარდაცვალების მთავარ მიზეზს :ახალქალაქის და ახალციხის ქართველ მუ-სულმანების ღია წერილი, 40-ხელისმოწერით,რომელიც მათმა გადაცეს საზავო მოლაპარიკების დაწყებისთანავე ქ. ბათუმში,მოკავშირეთა და თურქეთის დელეგ-აციას, წერილში მოითხოვდენ,დაიხსნან ისინი, ქართველი სალხისაგან და მათი ადმინისტრაციის ტანჯვა-ვაებისაგან!

26-მაის საღამოს საქართველო უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკაა,ქართველი ერის ზეიმი და სიხარული განუსაზღვრელი იყო; მაშინდელი ტექნიკის შესაძლებლ-ლობით გადაცემული იყო საერთაშორისო სარბიელზესაქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.

ერი, იმ მძიმე პოლიტიკურ ეკონომიურ გარემოცვაში,მთლიანი ეროვნული შე-გნებით დასწრაფმოქმედებით შეუდგა, შიგნით და გარეთ დამოუკიდებელი სამშობ-ლოს მშენებლობას, თავის საკუთარი ეროვნული საზოგადოებრივი ძალებით...მა-გრამ ჩვენი ქვეყნის ბედზე, კვლავ ძავი ღრუბელი ჩამოწვა! იმის ნაცვლად, სომხ-ეთის მთავრობა დათანხმებულიყო, საქართველოს მთავრობის წინადადებაზე: სად-ავო საკითხები მოგვარებული ყოფილიყო, ურთიერთშორის მოლაპარიკების შესაძლე-ბლობით, მიუხედავად ახეთი წინადადების სამჯერ გადაგზავნისა,ყურად არ იღებ

სომხებმა...17-დეკემბერს შუაღამით , სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლა-
-ლად გადმოლახეს საზღვარი და დაიკავეს,როგორც სადაო ტერიტორია, ისე ჩვენს
საზღვარს შიგნით მდებარე სოფლები, დახოცეს ჩვენი მხედრიონი და სახალხო გვ-
-არდიელები;ცოცხალთა შემადგენლობიდან მრავალი ტყვეთ წაიყვანეს.

თბილისის ქართული მოსახლეობა ,როგორც ერთი არსება, მთლიანი
პატრიოტიზმით აღზავებული მოითხოვს:საჩქაროთ იქნეს მრისხანე დამეუბრალებ-
-ელი სამხედრო ზომები თავდასხმელთა მოღალატეების მიმართ მიღებული.

19-დეკემბერს დილით ადრიანად ყველა გაზეთები იტყობინება ამ ძემზარავ
ცნობებს: "დეკემბრის 17 -პარლამენტის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ
ყურადსაღები სიტყვა წარმოსთქვა. მთელმა პარლამენტმა ოვაციები გაუმართა,
სომხობის გარდა,რომლებიც გააძევეს დარბაზიდან.სალხმა ჯვირისის ქუჩებში სო-
მეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს.გერმანიაში ებრეების მომსრეები იმარჯვებე

"ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადაწყდეს საკითხი ჩვენ მეზობლებთან,
უნდა ვუჩვენოთ მათ,რომ აგრე ადვილად ხელწამოსაკრავი არა ვართ, უნდა ერთხელ
და სამუდამოთ მოვუსპოთ იმედი და პრეტენზიები საქართველოს დაღუპვისა და გა-
-დაყლაპვისა."

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებიდან: "ამ მძიმე საუკუნეში , რომ
სომხეთი იარაღს იღებს ხელში საქართველოს წინააღმდეგ?

მან ჩაიდინა დიდი ისტორიული დანაშაული და ეს დანაშაული დარჩება წაურეცხ-
-ელი ისტორიის ფიცარზე. ქაჯაზნუნის მთავრობამ პასუხი უნდა აგოს, როგორც
ამ ორი ხალხის წინაშე,ისე კაცობრიობის წინაშე. მან საბუთები უნდა მოი-
-ყვანოს,რომელიც უფლებას აძლევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმისათვის."

ბნი ნ. ჟორდანია ტრიბუნიდან აცხადებს-"მე უკვე ვიცი ეს საბუთები
და მე მინდა ქვეყანამ განსაჯოს: პირველი ......., ხერიოზულ საბუთად
ვერ გამოდგება."

" მეორე საბუთი: თქვენდაიჭირეთ სადაო რაიონებიო. დიახ, დავიჭირეთ,
მაგრამ განა ეს ახალი ამბავია? ეს მოხდა ორი თვის წინად და რატომ მაშინვე
არ სთქვეს,რომ ბორჩალოს რაიონის დაჭერა ომის მიზეზად იქნებოდა აღიარებული.
ჩვენ თავიდან გამოვაცხადეთ: საქართველოს საზღვრებში ვთვლით მთელ ტფილი-
-სის გუბერნიას და თუ ვინმეს აქვს სადავო ამის შესახებ, მობრძანდით და
ვილაპარაკოთ. ამავე მიზეზით ჩვენ დავიჭირეთ ჯავახეთი, როდესაც ის განთავ-
-ისუფლებული იქმნა ოსმალებისაგან, არც ეს არის ახალი ამბავი: ეს არ მომ-
-ხდარა უცებ, ჩვენ ველოდით ჯავახეთის გაწმენდას ოსმალებისაგან და ყველამ
იცოდა მას დავიკავებდით."

""ქაჯაზნუნის მთავრობა ემყარება რაღაც ძალას ამიერკავკასიის ერთა
წინააღმდეგ მოქმედებისათვის.!"

""იქ,სადაც უფლებაარ ჭრის, იქ ხმალი იყოს სიმართლის მომპოვებელი.
(ოვაციები და ფეხზე ადგომით ძლიერი ტაში)."

ცნობილი, საზოგადო პოლიტიკურ-ეროვნული მოღვაწე,გრ. რცხილაძე (ს-ფ-ტ

"ვინც ხებაყოფლობით არ იქნება დამცველი ჩვენი ქვეყნის, იმას ვაიძ-
-ულებთ დასტოვოს ჩვენი სახელმწიფო. ნურავინ მოიტყუებს თავს,რომ აქ რა-
ღაც პატარა ჯგუფი მოქმედებს და უბრალო გარემოება იყოს სანაინის ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! ეს დიდი შეცდომილებაა." ( ძლიერი ტაში.)"

ძგრის, სომხეთის პრესის ფურცლებიდან: "ჩვენ ვაცხადებთ მთელი ქვე-ყნის გასაგონად, რომ პირველი: ქართული მთავრობის მოხსენებაში ფაქტები და მოვლენები სწორად დამახინჯებულია; მეორე -- სომხეთის მთავრობის უსაზ-ღვრო სამშვიდობო ცდით საქართველოს მთავრობის იმპერიალისტ მართველთა წყა-ლობით ურცხვად სარგებლობდნენ მთელი ამ სამწუხარო ისტორიის მიმდინარეობის ხანაში, და, უკანასკნელ, მესამე, ჩვენ ვაცხადებთ და ვამტკიცებთ, რომ თუ ქვეყანაზე სინიდისისა და სამართლიანობის სულ მცირე შუქი მაინც არსებობს, შეუძლებელია სამარა[illegible]ისოთ სამარცხვინო ბოძს არ გაეკრას.." /გაზეთი "ხორ ჰორიზონ", ნომ.-22, 18-XII-19../

"რაც შეეხება საქმის ფაქტიურ მხარეს, უნდა ვთქვათ, რომ პირველად სადაისის ამბავი სრულიადაც ისე არ მიმდინარეობდა, როგორც ტფილისის მთავრობას წარმო-უდგენია "გამცემლობა და ღალატი სომხის მხრით". "აშხატავორი", ნომ.-208, 18-დეკემ., 1918-წ./

"......სომხეთის მთავრობის საქციელში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერაფერს, რა-საც "გამცემლობა /" ან " მუხანათური თავდასხმა" ვუწოდოთ. სომხეთის რესპუ-ბლიკა ამით მხოლოდ 1( მიეშველა თავის დაჩაგრულსა და შევიწროებულ ხალხს; 2/ დაიბრუნა თავისი უსამართლოდ ტერიტორიისა, რომელიც სომხეთის წაურთმეველ საკუთრებას შეადგენს."/ "ყოლოვურდი ძაინი", ნომ.-8, 1918-წ./.

აქ წარმოვადგინეთ მთელი სურათი, იმ დროინდელი, ჩვენი ქვეყნის და ხა-ლხის მიმართ მომენტის ეროვნული მწუხარეობისა, როგორც მაშინდელ ქართული პრ-ესის ფურცლებზე ასახული და მოწინააღმდეგის ესეიგი სომხებისა, იმავე დღ-ეების გაზეთების ცნობები და დასკვნები.

ამ ტრაგიკული დღეების მთავარ მსაჯულად ჩვენ ვაღიარეთ, ცნობილ ერ-ოვნულ მოღვაწე და ისტორიკოს ი. ჯავახიშვილს თავის იმ სტატიით, რომელიც შეუდგენია 1920-წლებში და მიურთმევია რესპუბლიკის მთავრობისათვის, მაგ-რამ.... მის ამ წერილიდან მოვიტანთ მოკლე ამონაწერს, რომელიც ყველაზე უკეთ ცხადყოფს, თავისი ჩვეულებრივი ობიექტური მიდგომით და საყოველთაოდ ცნობილი საკუთარი უკვდავი კეთილსინდისიერების თვალსაზრისით სრულ ნათელს ჰფენს 1918-წლისომხურ--ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ მოქმედებას:

"საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადაცილდება და საქართველოს თავისად მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და ბა-თუმის გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა ოსმალეთის სომხეთის გარდა, რომელიც ხელიდან წაუვიდა, ერევნის გუბერნიას გარდა ყარსის მთელ ოლ-ქსაც არტაან-ართვინიანურთ ეპატრონებოდა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდება, წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდეგ, ინგლისის საოკუპაციო ჯა-რის უფროს გენერალ უოკერთან შეთანხმებით 1918-წ. დეკემბრის დამდეგს სომ-ხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმად მოსთხოვა ქარ-

-თლის საზღვრამდის დაეხია, რადგან ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან, ცხადია, რომეს ულტიმატუმი ტბილისის დაცლასაც გულისხმობდა და ამგვარად მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიურ, ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას დამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხპოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამც თუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდიათ კიდეც---მეელი სომხეთისვითომც ისტორიული საზღვრების აღდგენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოდათ ესდა რომ მოხერხებულიყო.

ამ უგნურმა მეზობელთაშორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას ისევ წინანდელით დაკმაყოფილება მოუხდა. ამგვარად, სომხეთის ვითომცა ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა." /ლიტ. საქ..ლ"-22-9-88წ./

სომხეთის მიერ მოულოდნელად თავდასხმით წარმოებულ ომის, მიჭან-ბელეგების და საერთოდ მათვის ომის უნაყოფოდ დამთავრების გარეშე პროფ. ი. ჯავახიშვილი, როგორც მისი მეცნიერული სტატიიდან დავინახეთ, ზედმიწევნით დამაჯერებლობით მოგვითხრობს, იმ დროის ქართველთა მხედრიონის და ეროვნული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვების სინამდვილეს.

ამიერკავკასიაში, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელშეკრულობის პრაქტიკულად გატარების დიპლომატიური ცენტრი იყო, პირველი ნაბიჯები ლენინის მიერნული რუსული შოვინიზმისა, რომელმაც სომხეთს ერთგვარი მადა აღუძრა საქართველოს ხარჯზე ტერიტორიების მოპოვებისა; როგორც პროფესორი გვიამბობს თავის ზემოხსენებულ სტატიაში. სომხეთი და მისი მთავრობა ნებით თუ უნებლიეთ ლენინის მიერნული რუსული შოვინიზმის დამცველი და ხელისშემწყობი და უფრო დაიმედებული თავის მოღვაწეობის ანაზღაურობაში ოქტომბრის ავანტიურისაგან ვიდრე ინგლისელების გენერალიტეტისაგან!

მართლაც , ოციან წლების დასაწყისში ახლადფესადგმულ საბჭოთა იმპერიას დიდისამსახური გაუწია სომხეთმა; იმ სადავო-საკინკლავო ტერიტორიალურ მონაკვეთებით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებთან და რომლებიც საბჭოთაიმპერიის მოწოდებით გადაიქცა ვითომც სრულყოფილ მიზეზად საქართველოში წესრიგიანობის დამყარებისათვის და დაჩაგრულთამოსახლეობის გამო ქომაგებისათვის! იმ დროისათვის .

დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობის და განადგურების წინამძღოლობაში ეს იყო თვალსაჩინო დამსახურება, ამაგი იმპერიის შოვინიზმის აღმავლობაზე; 1924-წლის ეროვნული სახალხო აჯანყების (რომელიც მატარებელია ისტორიული სახელწოდებისა " გამოსვლები".) პარიტეტული კომიტეტის წევრი, ცნობილი იურისტი, ეროვნულ დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი, თავის კოლეგებთან უკან ხელებ გაკრული საქართველოს სზსე[illegible]რო სასამართლოს წინ აცხადებს:

"ჯერი მიდგა საქართველოს ტერიტორიაზე: რუსეთმა დაუთმო ანგორას ჩვენი უძველესი ტერიტორია: ბათუმის ოლქის ნაწილი, არტაანი, და ამგვარად შეურიგდა მას საქართველოს ხარჯზე. არ დასტოვეს უსაჩქროდ სომხებიც. რუსეთმა, რომელმაც იცნო საქართველოსკუთვნილებად მთელი ყოფილი თბილისსგუბერნია-1920-წლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

7-მაისის ხელშეკრულებით, საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი მისცეს სომხეზსთოთქმის მთელი ბორჩალოს მაზრა თვითხრამამდე. რატომ? ლორი ისტორიულად ჩვენ გვეკუთნოდა,ბუნებრივადაც ჩვენს საზღვრებში შემოდის;".

ასეთი "პოლიტიკური" საქმიანობა და მოღვაწეობა განისაზღვრება მეხუთე კოლონად.

მოგაქვს მთლიანი ტექსტი წარმოთქმული სიტყვისა ,დამოუკიდებელ საქართველოს პარლამენტში, 17-დეკემბერს, 1918-წელს, ნაშუალამებისსამ საათზე, ჩვენი თანამემამულის ქართველ ისრაიელის მ. დავარაშვილისა,საქართველოშესომხეთისმიერ მუხანათური თავდასხმისა და ომის გაჩაღებისა ჩვენ წინაამღუდეგ.

" მოქალაქენნო ხალხის წარმომადგენლობავ! ამ ისტორიულ მომენტში,როდესაც ქართველ და სომეხთ დემოკრატიათა მტრებმა სისხლით მოპოვებულ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა განიზრახეს და როდესაც საქართველოს უაზრო სისხლის ნთაღვარი ასტეხეს ასეთ დროს მე ვერ გავბედავ გაჩუმებას და საყოველთაოდ უნდა განვაცხადო მთელი ქართველი ისრაელების სახელით, რომ მთელს ჩვენ ძალღონეს ჩვენი ჭაბუკ-ახალგაზრდების სიცოცხლეს ჩვენს ფიზიკურს,ზნეობრივსა,გონებრივსა და მატერიალურ სიმდიდრესა დავსწირავთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საკურთხეველზე, ქართველი ხალხისა და დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

ჩვენ კარგათ გვესმის,როგორ დასცემს ჩვენ სახალხო მეურნეობას ეს ომი და პოლიტიკურ ეკონომიურ მომავალს,იმ ადგილების დაკარგვასრომელნიც საქართველოს უძავო და უსაჭიროეს ტერიტორიას შეადგენს, ესჩვენს მტრებსაც ესმისთ და ამიტომაც ჩაგვცეს ასე მუხანათურად სანჯალი ზურგში, მაგრამ ჩვენ არ დავეცემით სულით,რადგან მოწამენი ვართ საქართველოს იმ მრავალ ამაღლება დაცემისა, რომლებიდანაც მუდამ გამარჯვებულნი გამოვსულვართ. ასევე იქნება ახლაც, საქართველოს ვერავის დასცემს,ეს უდავოა, მაგრამ როდესაც ჩვენს უმაგალითო წესრიგს და თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ მაშინ,ყველაფერი განზე უნდა გადგეს და მთელი ჩვენი გრძნობა,ნება დაგონება საქართველოს გამარჯვება მისი თავისუფლებისა და დემოკრატიის გამტკიცებას უნდა მოხმარდეს.

ჩვენ ვიცით,რომ დღეს საქართველო გაერთიანებულია,ჩვენი ძალები აღარ არიან დაქსაქსული და ეს არის დიდისაწინდარი მართალი საქმის გამარჯვებისა. ამ შემთხვევაშიც,როგორც ყოველთვის,ჩვენც ქართველი ისრაელებიც, ამოძრავებული ჩვენის ისტორიული ტრადიციებით,ვუერთდებით ქართველი ხალხის და დემოკრატიის ბელადს ნ. ჟორდანიას და ვამბობთ: გაუმარჯოს დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოს! გაუმარჯოს მის ძლევამოსილ ლაშქარს.

(ისმის,ხანგრძლივი მხურვალი ტაში.) /"სახალხო საქმე," ,18-XII-1918/

III

1956-წლის მარტში,თბილისის და მის უახლოეს გარე მიდამოებში საოკუპაციო ხელისუფლების და ბოლშევიკებისმიერ ჩაფარებული,შეუბრალებელი და დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა ქართველ ახალგაზრდობისა არის,ქართული ისტორიის ერთ ერთი უდიდესი სისხლიანი ეპიზოდი.

ცხადია, დანთხეულ ქართული სისხლის მორევში აცურებულ მსხვერპლთა უკვდავება, უპირველესად ყოვლისა მოითხოვს პასუხს: ქართველ ერისაგან და განსაკუთრებით კი, თითოეული უკვდავთაგანისხსული--- მშობელ-აღმზრდელ ოჯახიდან,

უკვდავმყოფ ხელთა მიმართ არ არსებობსარავითარი კვლევა-ძიება, არც პასუხები, მათთვის სასურველ კითხვებზე; ეს სამარცხვინო სისხლიანი ეპიზოდი დღემდის, მთლიან განცდევებას და მდუმარებას არის მიცემული, როგორც ბოლშევიკურ ხელისუფალთა წინასწარგანზრახულობით მივიწყების მოჩვენებითი სელოვნება!

34-წლის წინად ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ჩადენილი ხოცვა-ჟლეტა სრულიად მივიწყებული და შეუსწავლელია, როგორც ქართული ისტორიული-ყოფის, ეროვნული მწუხარება და გლოვის ხანა; თვით პუბლიცისტური განმარტებანიც არ არის წარმოდგენილი უკვე ხუთწლიან ახაკოვაა საჯაროობის მხვდელობაში!

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ორი სტატია, რომელიც გამოაქვეყნა, საქართველოს ერთადერთმა პროგრესიულმა ჟურნალმა და ხელთა მაქვს. /"ლიტ---ი საქ-/

პირველი: "1956-წლის მარტის ტრაგედია", ავტორი თ. ბუაჩიძე./სოძ:-15, 1988-წ./ სტატიის ავტორს თვის მცდელობით სურს, ერთგვარ ფილოსოფიურ განზრახულობაში მოაქციოს, იმ სისხლიანი ეპიზოდის ტრაგიკული მოვლენები, ფაქტთა გვერდის ავლით;

მეორე: "სისხლიანი 1956-წელი", ჯონდო გვახალია;/იგივე ჟურნალი, ნომ.-10, 1990-წ./ ავტორის მცდელობა: წარმოგვიდგინოს შეძლებისდაგვარად, მახსოვრობაში შემორჩენილი სინამდვილის ფოტოგრაფიული სურათი იმ სისხლიანი დღეებისა, რომლის უშვალო მონაწილე და მაყურებელია ოცი წლის ყმაწვილი.

თავის სტატიაში ცდილობს, გულახდილად ისაუბროს 1956-წლის მარტის სისხლიან დღეებზე, მათ წარმომშობ ეროვნულ ფაქტორებზე, რომელნიც საფუძვლად ედო იმ დროს ოჯახობრივ აღზრდის პირობებში ახალ თაობის შეგნება-გაგებას, ფანატიკურად მათ გასწყობილების აღმათვას აუნაზღაურებელი ღვაწლი და ამაგი დადო მაშინდელმა ლიდერისმამიებლებმა, ქართული კულტურის "ბოიარ-ველმოჟებმა" და ინერციულ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდობას ბოლშევიკურ სახაკლაოსკენ მიუთითეს, ჯალათ-სტალინის და მისი ამალის დამცველი ლოზუნგებით ხელში...! .და მოგვითხრობს, მათივე ლიტერატურული შემოქმედების მლიქვნელობით გამართულ ორგიაში, თუროგორ შთანთქა სტალინის მოჩვენებითი ცბიერმა ზეგავლენამ, დროთა ვითარების მხვდელობაში ისტორიულად გამოზრდილი ქართული ოჯახური აღმზრდელობითი ტრადიცია!

ქართველ მოქალაქეს დღეს სიამაყით შეუძლია აღიაროს : საქართველოს მწერალთა კავშირი და მისი ბინაგანი ადმინისტრაციული წყობის ორგანოები არიან მედარებით, თავის ინტელექტუალური სიმძლავრით, ქართული ეროვნული თავდაცვის მოწინავენი, რომელნიც თავიანთი ,ეროვნული მოქმედებით და მხატვრული შემოქმედებით ახალგაზრდობას გონებრივ მეგზეობაში უხახავს და გულში უნერგავს პატრიოტიზმის ზნეობრივი კანონიერების გარემოცულობაში ყოფნას და მოქმედებას.

დღეს, რასაკვირველია, ახლით - ინტელექტუალური პატრიოტიზმის ძლიერების მფარველობის ქვეშ მოქცეულ მოზარდთაობას და ახალგაზრდობას, ქვემოთ მოტანილი თქმულობა იმ სისხლიანი დღეებისა, არათუ მარტო საკვირველებათ და საოცრებათ

მოეჩვენებათ, ამიტომ ყოველივე ამას ჩათვლიან იდიოტიზმის და სიბერის გამოვ-ლინებად: "დაბნეული ახალგაზრდები / მაშინ 20-წლისა ვიყავი ერთმანეთს ვეკითხებოდით: როგორღა უნდა ვიცოცხლოთ? ქვეყანა როგორ იარსებებს სტალინის შემდეგ?"

"ეს არ იყო რიტორიკა. ჩვენი რწმენა გულწრფელი იყო და მტკიცე. ჩემი მეგობარი კაკი თავის დედასა და ბაბუას ეუბნებოდა: "ოღონდ სტალინს ეცოცხლა და გინდა თქვენ დახოცილიყავით." ეს არ იყო პოზა, ეს იყო ნაღდი, გულწრფელი გლოვა მამისა და მასწავლებლისა, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა!!

/"ლ....ლი საქ---ლო"/ გვ.-15/

მწერალთა კავშირის არსებობა ჩვენ სამშობლოში მე რვე ათეულ წელს მიი-ვლის ქართული კულტურის საზოგადოებრივ სისხლისმიერების სადარაჯოზე, და აი ამ პატრიოტიზმის სადარაჯოზე იწყებაკულტურისა მეხვეურთა ურთიერთობის დაკის-ხება, ყოველდღიურ სინამდვილეში ჯანმრთელ კისკლასში გამოვლინებით: საკუ-თარი პიროვნების გაღმერთების, პოლიტიკურ, საზოგადოებრივი წოდებებ ძიება, ორდენებისათვის ბრძოლა, მეცნიერული ხარისხების დაუფლებისათვის და სხვადასხ-ვა რამეტუმეების ათვისებისათვის, ყოველი ჩემი ჩამოთვლილის ძიება- მოპოვება ჯარიმათეა სახავშირო პარტიულთა ხელმძღვანელობისძიმართ მლიქვნელური ქება-დიდებით!

იმ დროს, ოცდაათიან წლებში პ. იაშვილის გასროლილი ტყვია მწერალთა სასახლეში, იყო წინასწარ გამაფრთხილებელი, ქართული სიმდიდრების და ადამი-ანური თავმოყვარეობის უძლიერეს დაქვეითების მიმართ; დაქვეითების და მლიქ-ვნელობის დაავადებათავიოთუის ები ოჯახურ გარე მომიდაცმეიკრა და წარმოშვა თავის ორგინალური სენი, ერთიანი პარადოქსალური ბუნება და მანცელიტე;

აი, რას გვიამბობს გულახდილად 50-ლის სიხალასი ეპიზოდის გაორიყვებული შემთხვევით კადარებული "პარტიზანი":"1953-წლის, საშ ძარცხოაღომ გადმოცა ცნობა ი. სტალინის გარდაცვალების შესახებ. ჩვენ ყველანი, ჩემი ოჯახის წევ-რები მწუხარებაშეუბედურებითვით ვიყავით, გვეგონა, რომ ზეცა ჩამოგვექცა, ქვეყანა დაიქცა, გაოგნებულები, სასოწარკვეთილები ვიყავით"./"ლ--ლი საქ---ლო",გვ.-15

მოგზაური თანამედროვეკასახსენე საუბარს ამთავრებს, ვინაიდან დრო ზე-დმიწევნითგასახსნელილია: ჩვენ საუკეთესო ვიცით იმ დროინდელი ორიოდე თავკ-აცები, რომელნიც წუთისოფლის მხედველობას ემორჩილებ და დღეს გადაქმნის და სა-ჯაროობის მაყრიობთა ფერხულში პირველები მიაბიჯებენ, ამგვარ ისიც ვიცით: ხა-ლხს და ზღაპ ფესადგმულ ემოკრატიას მათი არც პოებია და არც პროზა აინ-ტერესებს!

როდესაც იმდროინდელ ნამესტნიკ ის ცხელარს საფლავში უშვებდნენ, გამცილე-ბელთა შორის მითქმა-მოთქმა გაისმა, ეკითხვანე აზრთაგანმა მოკლედ ორი-დე სიტყვით უპასუხა, -მშობლიური მიწის ღირსი არ იყო; მასეთი ცოდვილიასი-სათვისმშობლიური მიწა მხუბუქი არ იქნება. მართლაც ამის მთქმელი , ქართვე-ლი ერის და მისი დაფალმანდებული ემოკრატიის მესაიდუმლე ყოფილა!!

"ილისპირველ სათი სტალინის ეგლის კვარცხლბეკთას გადართუ ტრანიზუმე თევიდა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვასილ მჟავანაძის მეთაურობით'

მასთან ერთად მოვიდნენ ესასიოს ენი; მათ შორის აკაკი სორავა და თამარ ჭავჭა-ვაძე; გამოვიახე მოვოსეეებით სცენისა, წაიკითხეს მისადი ძიძიგურის ლექ-სები. სიცყვა წარმოთქვა მჟავანაძემაც. მან ქებით ილაპარაკა სცენისა..."
/გვ.-15./

მათ, რომ ახალგაზრდობისათვის ეთქვათ, განემარტათ: თქვენი მოქმედება, დემონ-სცრაცია და მიტინგები არის სისრულე პროვოკაცია, ყოველივე დამთავრდება სისხლის ღვრით და სიკვდილიანობით; რაც მან ცხადია წინასწარ იცოდა, თუ რა უნდა მომხდარიყო; მდგომარეობის გამწვავება-ამბოხების მაგიერ, გაღვივებ-ულ ცეცხლზე ნავთი გადაასხეს; ცრიბუნა და მიკროფონები დაცოვეს ხე-ლუხლებელი საპროვოკაციოთ!

წავიდნენ უფალი და მხევალნი ქართველი ყმაწვილ-გოგონები დარჩენ პირის-პირ: პროვოკაციისა, ცანკებისა და სიკვდილისა!
მსხვერპლი 100-მდის, მეცი, --უცოვებს ცხოვად მემაციანეს, მონაწილე მე-მუარისცი.

ვ.ჩოლაბურიძე

პარიზი

## დემოკრაცია - უმრავლესობის ბაცონობაა

I.

დემოკრაცია - უმრავლესობის ბაცონობაა, რომლის პირობებში, ის პარცია თუ პარციები, რომლებსაც დეპუცაცების უმრავლესობა ჰყავთ პარლამენცში, ე.ი. საკანონმდებლო ორგანოში, - იღებს სახელმწიფო მმართველობის სათავეში (მთავ-რობა); მაგრამ უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფილია იმით, რომ ამგვა-რი პარციის თუ პარციების დეპუცაცები ოპოზიციის ფუნქციას ასრულებენ, რომე-ლიც განუწყვეცლივ თვალყურს ადევნებს მთავრობის მოქმედებას და, საჭიროე-ბის შემთხვევაში, აკრიციკებს მას და თავის იდეებს ნერგავს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. ამგვარად, სახელმწიფო მმართველობა, დემოკრაციის პირობებში, პოზიცია-ოპოზიციის ერთობაა, რომლის ერთ დღევანდელი ოპოზიცი-ური პარცია თუ პარციები, მომავალი არჩევნების შედეგად, შეიძლება გახდეს პოზიციის, ე.ი. მთავრობის შემდგენელ-პასუხისმგებელი.

II.

"დემოკრაციის ორგანოა - ამბობს ამიცომ ნოე ჟორდანია - მოქალაქეთა უმრავ-ლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძო-ლი".

III.

მაგრამ დემოკრაციის წინაპირობაა მრავალპარციული სისცემა, რომლებიც თა-ვიანთი პროგრამებით წარსდგებიან ამომრჩევლების წინაშე, რომ მიიმხრონ ამო-მრჩეველთა აღნიშნული უმრავლესობა და ამით სათავეში ჩაუდგენ სახელმწიფო მმართველობას (მთავრობა), რომლის ეფექციური განხორციელება ხდება დემოკრაციუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, თავისუფალი ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს დროს; და აქ, უკვე მივდივართ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან, რომელიც დანიშნულია 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

IV.

საბჭოთა საქართველოში, როგორც პრესა იტყობინება საქართველოდან, უკვე არსებობს მრავალი პოლიტიკური პარტია და დაჯგუფება, რომელსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო არჩევნებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე. მაგრამ არსებობენ ისეთი პოლიტიკური გაერთიანებანიც, რომლებიც, რამდენადაც ცნობილია, სურთ დაადგნენ არჩევნების ბოიკოტის გზას, ვინაიდან - მათი აზრით - საბჭოთა საქართველოში შეუძლებელია ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება კომპარტიის ბატონობის პირობებში, თუმცა ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკების მაგალითები, ხომ ცოტა, ნაწილობრივ მაინც საწინააღმდეგოს მეტყველებენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ პოლიტიკურ პარტიას თუ დაჯგუფებას, დემოკრატიული არჩევნების პირობებში, სრული უფლება უნდა გააჩნდეს მონაწილეობა მიიღოს ან არ მიიღოს არჩევნებში.

V.

მაგრამ ჯერ ჩავუფიქრდეთ თვით არჩევნებისა და მასში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და დაჯგუფებების რაობას: რამდენად დემოკრატიული იქნება აღნიშნული არჩევნები საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა, ამის განსჯის საზომია თვით აღნიშნული არჩევნების ჩატარება, რომელზედაც საბოლოო აზრის გამოთქმა მხოლოდ არჩევნების ჩატარების შემდეგ არის შესაძლებელი. მაგრამ ამ-ჯერად შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ვითომ საბჭოთა კავშირში დღესდღეობით არსებულ ყველა პარტიასა და პოლიტიკურ დაჯგუფებას შეუძლია არა მარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურადაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება?.. შევჩერდეთ, ვთქვათ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომლის მეხუთე ყრილობა ჩატარდა 1990 წლის 24-25 თებერვალს, თბილისში, რომლის შესახებ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარე - გურამ მუჩაიძე -,სხვათა შორის, გვწერს, რომ "ჩვენი პარტიის წევრებიდან 17 კაცი წამოყენებულია დეპუტატობის კანდიდატად. ამჟამად ჩართული ვართ საარჩევნო კამპანიაში". იქვე მკითხულობთ, რომ "პარტიის ორგანიზაციები შექმნილია საქართველოს 16 ქალაქსა და რაიონში".

VI.

როგორც ვხედავთ, პარტიის შექმნა, მისი პროგრამის მიღება და პარტიის პრაქტიკული მუშაობის გაშლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, - ადვილი საქმე არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სამოცდა-ცხრა რაიონი და 14 ქალაქია, საქართველოს ადმინისტრაციული მმართველობის შესაბამისად. ამას გარდა, საქართველოში არსებობს ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქი, რასაც კრემლის "ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის იმპერიის მომხრეები, სხვა შემთხვევებშიც, საქართველოს გაღრაუკალი ინტერესების წინააღმდეგ იყენებს ხან "აფხაზური" და ხან "ოსური კოზირის" გამოყენების მეშვეობით. ასეთ პირობებში, საქართველოს სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა ფრთა-მოკვეცილია მანამ, სანამ ჩვენი პარტიის ორგანიზაციები შექმნილი არ იქნება არა მარტო საქართველოს ქალაქო და სარაიონო ცენტრებში, არამედ ყოველ სოფლის საბჭოს თუ საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების ფარგლებში. ეს კი დიდ ორგანიზაციულ მუშაობას მოითხოვს, რაც - თავის მხრივ - დაკავშირებულია ფინანსიურ ხარჯებთან, რომლის გაღება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას - თითქმის სამოცდა-ათი წლის დევნის პირობებში, რომლის დროს ათასობით პარტიის წევრებიც იქნა განადგურებული, - ადვილი საქმე არ არის. და მხედველობაში თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ - მთელი საქართველოს მასშტაბით - მხოლოდ კომუნისტურ პარტიას გააჩნია ორგანიზაციები და საჭირო ფინანსიური რესურსები, რომ ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში,-ასეთ პირობებში, ამ შემთხვევაში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდგომარეობა სახარბიელო არ გამოიყურება.

VII.

დრო კი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე მეტად მოკლეა, რომ შე-

1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე შექმნილ იქნას საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები საქართველოს ყველა რაიონში, ქალაქში და, სულ ცოტა, მსხვილ ინდუსტრიულ და სასოფლო სამეურნეო საწარმოში, და ამ ორგანიზაციებმა შესძლონ ჩვენი პარტიის პროგრამის გაცნობა ამომრჩევლებისათვის, რაც იმის წინაპირობაა, რომ მათ ხმას მისცენ ჩვენს პარტიას. როგორც ვხედავთ, - მიუხედავად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აწ უკვე თითქმის ას-წლოვანი ისტორია-გამოცდილებისა, - ჩვენი პარტიის მზადყოფნა არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის ბევრ შრომასა და ფინანსიურ ხარჯებსაც მოითხოვს.

VIII.

ასეთ პირობებში მხოლოდ მრავალ-პარტიული სისტემის დაშვება, როგორც ამას ადგილი აქვს დღეს საქართველოში, საკმარისი არ არის: საჭიროა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებს, რომლებიც რეგისტრაციაში გატარებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის, განსაზღვრული ფინანსიური სახსრები გამოეყოს საქართველოს სახელმწიფოდან, რომ მათ შესძლონ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. დაუშვებელია, რომ მხოლოდ საქართველოს კომუნისტური პარტია იყოს პრივილეგიურ მდგომარეობაში, რომელსაც, თითქმის, განუსაზღვრელი ეკონომიკური ბაზა გააჩნია არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის, რაც უკვე თითქმის შვიდ-ათეული წლის "ერთპარტიული სისტემის ტრადიციას" ეყრდნობა. და თუ მიუდგომლად განვსჯით არსებულ მდგომარეობას, დღესაც საქართველოში "ერთპარტიული სისტემა" ბატონობს, რადგან მხოლოდ კომპარტიას გააჩნია ეკონომიკური ბაზა პოლიტიკური მოქმედებისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რასაც - თავის მხრივ - მხარს უჭერდა და მხარს უჭერს დღესაც "ყოვლისშემძლე" კრემლი.

IX.

მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საქართველოს კომპარტია თავის თითქმის განუსაზღვრელ ეკონომიკურ ბაზას გაუნაწილებს საქართველოში დღეს არსებულ

სხვა პარტიებსა და გაერთიანებებს. ახლო პირობებში კი სხვა გამოსავალი არ არსებობს თუ არა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ-წევრმა, ყოველმა თანამგრძნობმა ჩვენი პარტიის პროგრამის ყოველი დებულება გააცნოს საქართველოს მოსახლეობას საქართველოს ყოველ კუთხეში, რომ ამომრჩევლებს საშუალება გააჩნდეს არჩევანისა ჩვენი პარტიის პროგრამის დებულებებსა და სხვა პარტიების თუ გაერთიანების დებულებებს შორის. ამგვარი მოქმედების დიდი გამოცდილება გააჩნია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როცა 1919 წელში, დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარდა - საქართველოს ისტორიაში - პირველი ნამდვილი დემოკრატიული არჩევნები, რომლებიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, სხვა პარტიებთან ბრძოლაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების 130-თ დეპუტატიდან 109-ა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი გაიყვანა.

X.

საქართველოს მოსახლეობის, როგორც ვხედავთ, დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას 1919 წლის არჩევნებში, იმიტომ, რომ ჩვენი პარტია გამომდინარეობდა მაშინ და გამომდინარეობს დღესაც საქართველოს მშრომელი ხალხის გარდაუვალი ინტერესებისაგან, რის ძირითადი დებულებებია დღეს, ჩვენის აზრით, შემდეგი:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია დგას "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა" და "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის" პრინციპებზე, რომლებიც ძირითადი კანონები იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წლებში, და რომელთა ისევ-განხორციელებისათვის იბრძვის ახლა.

XI.

ჩვენი **პარტიის ახალი** პროგრამა, ცხადია, პასუხს აძლევს საქართველოს, ქართველი ხალხის დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების მოთხოვნებს "სოციალური დემოკრატიის", "სოციალური საბაზრო მეურნეობის" ბაზაზე. ეს იმას გულისხმობს, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლების ყოველდღიური, უწყვეტი განხორციელება ნიშნავს ამ თავისუფლებათა ეროვნული და პიროვნული გამოყენებისათვის ეკონომიკური, სოციალური ბაზის შექმნასაც, რის გარეშე თავის-უფლება, საერთოდ, ლიტონი სიტყვა რჩება.

XII.

ამიტომ, 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებში, მიუხედავად ყველა აღნიშნული და სხვა სიძნელეებისა, - ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა; ისიც დიდი მიღწევა იქნება, ჩვენის აზრით, თუ საქართველოს უზენაესი საბჭოს 300-ი დეპუტატიდან, თუნდაც, მცირე ნაწილი იქნება ჭეშმარიტი დემოკრატიული პარტიების დეპუტატები და საშუალება ექნებათ საკუთარი [illegible] გააჩნდეთ უზენაეს საბჭოში. ჩვენ არც ერთი შესაფერი შესაძლებლობა არ უნდა გავუშვათ ხელიდან, რომ მომავალ საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების ისევ-აღდგენა, რომლის საფუძველი იყო, არის და დარჩება 26 მაისის იდეა, რომელიც გახდა "[illegible] ოქროს ხანის" - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის - [illegible] 1918-1921 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII.

მაშ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი მიმდევრები არ უნდა ჩავებათ 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში უმრავლესობის მოსაპოვებლად, მიუხედავად ისეთი რთული პირობებისა, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში, როცა კრემლი და მისი მომხრეები უარს არ ამბობენ "ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის სიმახინჯეზე.

XIV.

ამგვარ რთულ პოლიტიკურ პირობებში, ნუთუ წახაზად მაგალითებს არ გვაძლევენ ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკები?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის მაისი

## ბოლშევიზმის ალტერნატივა სოციალდემოკრატიაა

I.

რა საფუძველი გვაქვს ვთქვათ ის, რომ ბოლშევიზმის ალტერნატივა სოციალ-დემოკრატიაა? - ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტები, ისტორიული ფაქტები:

II.

როცა 1893 წლის 7 თებერვალს, თბილისში, "მესამე დასი" დაარსდა და მისი სამოქმედო პროგრამა მიღებულ იქნა, ამ სამოქმედო პროგრამის მრწამსი ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, ჯერ ერთი, ხუთი წლის შემდეგ, 1898 წელს, 1 მარტს, მინსკში, დაარსდა, შემდეგ კი, ლონდონის კონგრესზე, 1903 წელს, ბოლშევიკებისა და მენშევიკების"ფრანქციებად" გაიყო; და - მეორე - რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის არც ბოლშევიკურ და არც მენშევიკურ"ფრანქციას" არასოდეს არ წამოუყენებია ერისა და პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა, და დარჩა მხოლოდ"კლასთა ბრძოლის" პოზიციაზე.

III.

მაგრამ უფრო არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტია, განსაკუთრებით ბოლშევიკები, არასოდეს არ იდგა დემოკრატიულ პოზიციაზე: ბოლშევიკები "ზემოდან"-"ქვემოთ" ბრძანების პრინციპზე იდგა და დგას როგორც საზოგადოებრივ, ისევ პარტიულ შინაგან ცხოვრებაში, რაც არსებითად განსხვავდებოდა და განსხვავდება "მესამედასელთა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრწამსიდან, რომელიც ეყრდნობოდა და ეყრდნობა "ქვემოდან" - "ზემოთ" ბატონობის პრინციპს, ე.ი. დემოკრატიულ პრინციპებს როგორც სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ, ისე პარტიულ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

და როცა რუსეთში, 1917 წლის 25 ოქტომბერს, ბოლშევიკებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება და ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარეს, "მესამედახელებმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაგმო ხელისუფლების ამგვარი ბოლშევიკური უზურპაცია, და საქართველოში განაგრძო ერისა და პიროვნების თავისუფლების პრაქტიკული განხორციელება, რომლის ისტორიული აქტი იყო, 1918 წელს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

V.

მართალია, ბოლშევიკურმა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით, დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა არა მარტო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, ვინაიდან ევროპის სოციალ-დემოკრატებმა დაგმეს ბოლშევიზმი და ქება-დიდებით იხსენებდენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როგორც სანიმუშო მოძრაობას, რომელშიც ხდებოდა დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის, ერისა და პიროვნების თავისუფლების სამაგალითო შერწყმა.

VI.

ამით აიხსნება დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერების ქება-დიდება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი რაობისა, რაც გამოაქვეყნეს დასავლეთ ევროპის პრესაში, მათი მოგზაურობის შემდეგ საქართველოში. სანიმუშოთ მოვიყვანთ რამსეი მაკდონალდის, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერისა და ინგლისის პრემიერმინისტრის აზრს, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ. რამსეი მაკდონალდი დამოუკიდებელ საქართველოს ესტუმრა 1920 წელს,დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების სხვა ლიდერებთან , ემილ ვანდერველდეს, პიერ რენოდელ თუ კარლ კაუცკისთან ერთად, და 1920 წლის 16 ოქტომბერს, გაზეთ "ნეიმენ-ში" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც, სხვათა შორის, წერდა:

VII.

"ქართველ სოციალისტებმა შესძლეს ის, რაც ევროპაში სახელმწიფო სათავეში მყოფმა სოციალისტებმა ვერ შესძლეს; სახელდობრ: სრული ჰარმონია სოფელსა და ქალაქს შორის. გაატარეს უმტკივნეულოთ, უკომფლიქტოთ მიწის რეფორმა. უმიწაწყლო გლეხებს დაურიგეს მიწები. მათ გაატარეს სოციალური კანონმდებლობა. შრომა დაუდვა საფუძვლად რესპუბლიკის არსებობას. მისი დაცვა განისაზღვრა კონსტიტუციით..."

"მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდ მემამულეთა და საუფლისწულო მიწების... ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას... მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი, ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით."

ეროვნული ბიბლიოთეკა

"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში".

VIII.

ემილ ვანდერველდე, ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერი და არაერთგზის მინისტრი, დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, სხვათა შორის, წერს: "ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს ძველ ქალაქ თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა... და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით".(ჟურნალი "ლე პეპლ",1920 წელი,ბრიუსელი).

IX.

და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდის - 1918-1921 წლების - დიადი დოკუმენტებია "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია", რომლებიც სანიმუშო "ძირითადი კანონებია" სა-ერთა-შორისო მასშტაბითაც კი. და ამ "პატარა 'ოქროს ხანის'" შემქმნელია ქართველი ხალხი, განსაკუთრებით "მესამე დასელთა", ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობა, რის შესანიშნავი წარმომადგენლებია ნოე ჟორდანია, "მესამე დასის" დამაარსებელი,თეორეტიკოს-პრაქტიკოსი, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე, ნოე რამიშვილი,დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავჯდომარე და ნოე ჟორდანიას მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი(კაკი) წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და სხვები,რომლებსაც, როგორც "მესამედასელთა" მეთაურებს, ქართველი ხალხის დიდი,დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, რაც ნათლად გამომჟღავნდა, საქართველოს ისტორიაში, პირველ დემოკრატიულ არჩევნებში, რომელიც ჩატარდა 1919 წლის თებერვალში;და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 109 დეპუტატი, დამფუძნებელი კრების, ე.ი. პარლამენტის სულ 130 დეპუტატიდან.

X.

აი, ეს ფაქტიც იყო ერთერთი მთავარი საბაბი ბოლშევიკებისათვის, რომ ბოლშევიკური დიქტატურის გვერდით, პატარა საქართველოში დაშვებული არ ყოფილიყო სოციალ-დემოკრატების სანიმუშო სახელმწიფოებრივი წესყობილება, რასაც, როგორც დავინახეთ, ასე ეტრფოდა დასავლეთ ევროპის არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიები და მათი მიმდევრები. ამგვარად, ბოლშევიზმი

დაადგა რუსული იმპერიალიზმის გზას და 1921 წლის თებერვალ-მარტში, იარაღის ძალით, დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და გააჩაღა სასტიკი ტერორი მთელი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლის დროს მოკლეს ან შორეულ ციმბირს გადაასახლეს ათასობით ქართველი პატრიოტები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს არც ერთ პარტიას, არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ გაუღია იმდენი სისხლი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენიც გაიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა. შემდეგ: "მესამედასელებს", ე.ი. სოციალ-დემოკრატებს არასოდეს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ლტოლვილობაშიც კი; და ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკური ტერორი გადატანილ იქნა პოლიტიკური ემიგრაციის სფეროშიც, რომლის ყველაზე

უფრო მკვირალა ფაქტია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის თავჯდომარის და, ნოე ჟორდანიას მთავრობაში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოკვლა, პარიზში, 1930 წლის 7 დეკემბერს, ბოლშევიკების მიერ.

XI.

და ახლა, როცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობა ჩატარდა, თბილისში, 1990 წლის 24-25 თებერვალს, რომელმაც მიიღო ახალი სამოქმედო პროგრამა და პარტიის წესდება, და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარედ აირჩია შესანიშნავი ახალგაზრდა პროფესორი - გურამ მუჩაიძე,- როგორც ჩანს, ყველა ჩვენს მიერ აღნიშნული ფაქტები, სხვა მრავალთა შორის, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხის დიდი მასებისათვის უცნობი უნდა იყოს, როგორც ეს ერთმა თბილისელმა, მეორე შეხვედრისას, მიამბო.

XII.

ნოე ჟორდანიასა და მის მთავრობაზე მხოლოდ ლანძღვა-გინება იწერებოდა პოლიტიკური ემიგრაციის გამოცემებში? - მკითხა მან გულუბრყვილოთ. საქართველოში "მენშევიკების ბატონობაზე" საქართველოში, ბოლშევიკური პროპაგანდის წყალობით, არასოდეს არაფერი კარგი არ გამიგონია, და, გორბაჩოვისეული საჯაროობა-დემოკრატიზაციის შედეგად, ახლა კანტი-კუნტად, ქება თუ არა, ლანძღვა-გინებას აღარ უთვლიან 26 მაისის შემქმნელ თაობას.

მაკვირვებს რადიო"თავისუფლების" ზოგიერთი გადაცემები, რომლებშიც პოლიტიკური ემიგრანტების მხოლოდ ისეთ ნაწერების ამონაწერებს გვთავაზობენ, რომლებშიც ისეა დაგმობილი ნოე ჟორდანია და მისი თაობა, რომ თითქოს ბოლშევიკურმა პროპაგანდამ "მენშევიკების ბატონობის" შესახებ საქართველოში, საქართველოდან პოლიტიკურ ემიგრაციაში გადაინაცვლა!..

მაგრამ,- განაგრძო მან,- არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმძვანელთა მოღვაწეობის ჩირქის მომცხებ სტატიების თუ მოგონებების ამონაწერებს კვაწკვლის ზოგჯერ რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის ზოგიერთი თანამშრომელი, არამედ, წარმოიდგინეთ, თვით ნოე ჟორდანიას მოგონებების შინაარს კვაწკვლიან ისეთი კომენტარებით, რომ თითქოს თვით ნოე ჟორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადანაშაულებს თავისთავსა და მის თანამოღვაწეებს. ვერ გამიგია, ღასხრინამან, რა მიზანს ემსახურება ამგვარი გადაცემები?!..

XIII.

ამ ახალგაზრდა თბილისელის ამგვარმა ცნობამ ძალზედ ჩამაფიქრა და, ასე ვთქვათ, შევეცადე"დამევცა თავი": პოლიტიკური ემიგრანტები, ხულ ცოტა, მე პირადათ რადიო "თავისუფლების" გადაცემებს, დაწყებული 1985 წლიდან, არ ვიცნობთ, და, გასაგებია, არაფრის თქმა არ შემიძლია თქვენს მიერ აღნიშნულ შენიშვნებზე. არ ვიცნობთქართულ რადიოგადაცემებს იმიტომ, რომ, აღნიშნული დროიდან, რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის ხელმძღვანელობამ "კარები ჩაიკეტა" და არავითარ ცნობებს არ აწვდის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას გადაცემების შინაარს-ფორმა-გამოთქმის შესახებ; ხულ ცოტა, მე პირადათ ასეთ მდგომარეობაში ვარ, და, გასაგებია, არაფრის თქმა არ შემიძლია თქვენს მიერ წამოყენებულ კითხვებზე. შემიძლია ვთქვა მხოლოდ, რომ რადიორედაქციაში არც ერთი წევრი ან თავისუფალი თანამშრომელი არ არის სოციალ-დემოკრატი, თორემ ამგვარ "ცალმხრივობას", როგორც თქვენ აღნიშნეთ, არ ექნებოდა ადგილი.

XIV.

ჩემმა თბილისელმა ახალგაზრდა თანამესაუბრემ ირონიულად გაიღიმა და თქვა: როგორც ვხედავ, რადიორედაქციასაც ესაჭიროება გორბაჩოვისეული დემოკრატიზაცია-საჯაროობაო!?..

XV.

და რატომ მოვიყვანე ეს აღნიშნული თავისებური დიალოგი ჩემსა და ახალგაზრდა თბილისელს შორის, რომელიც, როგორც მან თქვა, ჯერჯერობით არც ერთ პარტიას ან პოლიტიკურ დაჯგუფებას არ მიკედლებია, ვინაიდან მას საკმარისი ინფორმაცია არც ერთ მათგანზე არ გააჩნია? - ეს თავისებური დიალოგიც იმიტომ მოვიყვანე აქ, რომ,- როგორც ჩანს,- ჩვენი ხალხის დეზინფორმაცია საქართველოს უახლესი წარსულის, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის - 1918-1921 წლების -, და განსაკუთრებით "მესამედასელთა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის შესახებ, - დღესაც გრძელდება პოლიტიკური ემიგრაციის მხრიდანაც. ამგვარი დეზინფორმატორები კი ივიწყებენ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რომ სოციალ-დემოკრატია დღესაც ერთადერთი თუ არა, ერთერთი მთავარი ანლტერნატივაა ბოლშევიზმის პირისპირ.

XVI.

ამ ფაქტის უარმყოფელებს გვსურს მოვაგონოთ, რომ მათი ცდა ბოლშევიზმი და სოციალ-დემოკრატია"ერთმანეთის ძმებად"ასახონ, ისევე განწირულია, როგორც მათი ერთი უკიდურესობიდან(ბოლშევიზმი), მეორე უკიდურესობაში(კაპიტალიზმი) გადავარდნა, ვინაიდან კაპიტალიზმმა რომ ბოლშევიზმზე უკეთესად აუღო ალღო ატომის, კომპიუტერებისა და გენტექნიკის ეპოქას,-ეს არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმი "მამა აბრამის უმანკო ბატკანია".
თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი ვითომ მარადიული კანონზომიერება არ არის?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII.

ჩვენი აზრით, ბოლშევიზმის ალტერნატივა არის სოციალ-დემოკრატია, უფრო ზუსტად, "სოციალური დემოკრატია", რომელიც ეყრდნობა "სოციალურ საბაზრო მეურნეობას" საკუთრების ყველა ფორმის, თვით კერძო საკუთრების ჩათვლით. და რომ სოციალური დემოკრატია დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა საერთოდ, ამის სანიმუშო მაგალითია, სხვათა შორის, შვეცია, სადაც სოციალ-დემოკრატები უკვე ორი-მესამედი საუკუნეა იმყოფება სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში.

XVIII.

ამიტომ, საქართველოს უძველესმა, აწ უკვე თითქმის ას-წლოვანმა პარტიამ - "მესამე დასმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, - არა მარტო ისევ ფეხი უნდა მოიკიდოს საქართველოს ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში თუ საწარმოო-უწყებაში, არამედ, ამასთანავე, უნდა დაარწმუნოს ჩვენი ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობა იმაში, რომ მომავალი - სა-ერთა-შორისო მაშტაბითაც - "სოციალურ დემოკრატიას", დემოკრატიის ამ უმაღლეს ფორმას ეკუთვნის, და საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ამ გზას უნდა გაყვეს, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

XIX.

"ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საჭირო, საქმე!" მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ - ისეთ რთულ პირობებში, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, -"საქმე", ხელის-უფლება ხელში არ ჩაუვარდეს თითო-ოროლა - ილია ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ - "სანდალასაკით თავშიდაკრულებს"; მით უმეტეს, რომ - ვიმეორებთ - აწ უკვე თეორიულ-პრაქტიკულად გაკოტრებული ბოლშევიზმის ერთადერთი თუ არა, ერთერთი გარდაუვალი ალტერნატივა სოციალ-დემოკრატიაა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის მაისი

## რ ა   ხ დ ე ბ ა   რ უ ს ე თ შ ი?..

პირველი მაისი
მოსკოვი, 1990 წელი, წითელი მოედანი

I.

1990 წლის პირველ მაისს, საპირველმაისო შრომის დღის აღლუმის დროს მოსკოვის წითელ მოედანზე, - მიხეილ გორბაჩოვისა და პარტსახელმძღვანელობის თვალწინ, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგენ, - დემონს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანტებმა პროტესტი განაცხადეს გორბაჩოვისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. ან უკვე პრეზიდენტი გორბაჩოვი, აღლუმის "არაოფიციალურ" მონაწილეებმა სტვე-ნის გაიუსტუმრეს, როცა პრეზიდენტმა მისი ამალით, ნახევარი საათით ადრე და-ტოვეს ტრიბუნა და კრემლში მიიმალეს. აღლუმში მონაწილეებმა გააკრიტიკეს ლიტვის ბლოკადა და მოითხოვეს პოლიტბიუროს გადადგომა.

II.

დაახლოებით,ასი-ათასმა საპირველმაისო დემონსტრანციის მონაწილეებმა, - საბჭოთა პროფკავშირების "ოფიციალური სამაისო აღლუმის" შემდეგ -, ჩაია-რეს ლენინის მავზოლეუმის გვერდით, რომლის დროს ტელეხედვის პირდაპირი გა-დაცემა უკვე გამოთიშული იყო და ტელემაყურებლებს უკვე აღარ შეეძლოთ გორბა-ჩოვისა და მისი ამალის მიმალვა კრემლში ტელეეკრანზე დაენახათ. ეს ასი-ათა-სიანი "არაოფიციალური" დემონსტრანტები კი გაიძახოდნენ:"ჩვენ გვსურს ხალხი-საგან პირდაპირ არჩეული პრეზიდენტი!" "ბოლშევიკებო, დაგვიბრუნეთ ისევ მა-ლაუფლება!" "გადავიდეთ საბაზრო მეურნეობაზე!" "ძირს კა-გე-ბე!" "პოლიტბი-ურო გავიდეს პენსიაზე!" "მოგვეცით თქვენი დაჩები!" "პრეზიდენტი,რომელიც ხალხისაგან არჩევას თავს არიდებს, დიქტატორი, უზურპატორია!" "ლიტვის ბლოკადა სამარცხვინოა პრეზიდენტისათვის!"

III.

მოსკოვში, და ამით მთელს საბჭოთა კავშირში, როგორც ჩანს, უკვე ადგილი აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ვაკუუმს, ე.ი.სიცარიელეს. კომპარტიის წამ-ყვანი როლი თვით მოსკოვშიც კი თანდათანობით ქრება,და დემოკრატიული პარ-ტიები ჯერ კიდევ ორგანიზებული არ არის, რის შედეგად მოსახლეობა დაბნეუ-ლია - არ იცის ვის დაუჭიროს მხარი. მოსკოვის ქუჩებში, როგორც უცხოელი კორესპონდენტები იტყობინებიან, - ერთ მანეთად შეგიძლიათ იყიდოთ "მისი უდი-დესულებობის ნიკოლოზ მეორეს"სურათი ცალკე თუ ოჯახის წევრებთან ერთად. იქვე იყიდება კვირეული ჟურნალი "მოქალაქის ღირსება", რომელიც არის "კონ-სტიტუციური დემოკრატების კავშირის" ორგანო. "კონსტიტუციის მეგობრები" არსებობდენ მეფის დროსაც, რომელსაც შემოკლებულად "კადეტებს" უწოდებდენ.

IV.

ამგვარ ამღვრეულ წყალში, ამოტივტივებულია, მაგალითად, მონარქისტები,რომ-ლებიც მეფის პრემიერმინისტრის - პეტრე სტოლიპინის - 79-ი წლის წინათ გა-მოხროლილი ლოზუნგის -"ყველა ბედნიერება რუსეთისათვის" - განხორციელებას ლამობენ. "გარემოსა და მორალის ისევდამკვიდრების მოძრაობა", ესე-იგი რუ-სული "მწვანე პარტია" "უკომპრომისო-ინტერნაციონალისტებს" უწოდებენ თავიანთ თავს, რომლის დამაარსებელი და მეთაური,გენერალ-დირექტორი ქალაქ ჩერკასი-დან - ალიმ ჩაბანოვი - ისახავს მიზნად "საწამლავი კვამლი ფაბრიკებიდან, რომლისაგან იწამლება ჩვენი პლანეტა, - გააქროს." ადგილობრივი ორგანიზა-ციები შექმნა უკვე 70-თ ქალაქში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომლის წარმომადგენელია ალექსანდრე ობოლენსკი, სახალხო დეპუტატი მურმანსკი-დან. ის ამბობს:"მე ვარ ჩვენი პარტიის დამოუკიდებლობის მომხრე, მაგრამ გვსურს თანამშრომლობა ყველა დემოკრატიულ ძალებთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

ვინაიდან რუსეთის კომუნისტური პარტია არ არსებობს, ლენინგრადის კომპარტიის პირველმა მდივანმა - ბორის გიდასპოვმა - შეკრიბა თანამოაზრეები ლენინგრადში რუსეთის კომპარტიის შექმნის მიზნით, განსაკუთრებით ე.წ-ლი" "გაერთიანებული შრომის ფრონტიდან", რომელიც ნაციონალ-სოციალიზმის "რუსულ ვარიანტად" ითვლება. ეს "ფრონტი" წინააღმდეგია"გარადქმნის", პრესის თავისუფლების თუ პარტიათა პლურალიზმის. და ბორის გიდასპოვის რუსეთის კომუნისტური პარტია, რომლის ხელმძღვანელობა მას სურს გადაიბაროს, ზევრ საკითხში იზიარებს "გაერთიანებული მუშათა ფრონტის" შეხედულებებს.

VI.

ლენსაბჭოში დეპუტატთა 49 პროცენტი არის კომპარტიის წევრები, მაგრამ ქალაქის საბჭოს დეპუტატთა 70 პროცენტი "სიმპატიზანტებია" ე.წ-ლი "დემოკრატიული რუსეთის" ყველაზე უფრო ძლიერ ფრაქციისა ლენინგრადის ქალაქის საბჭოში, სულ რვა ფრაქციათა შორის. კომპარტიის დეპუტატათ კი თავს თვლიან მხოლოდ ყოველი მეათე ქალაქის საბჭოს წევრი. მოსკოვის ქალაქის თავი - გავრილ პოპოვი - ფიქრობს,მოსკოში დეფიციტური საქონელი მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებზე გაყიდოს, რაც კიდევ უფრო არღმავებს წინააღმდეგობას რუსეთის ქალაქებსა და სოფლებს შორის.

VII.

დასავლეთელი კორესპონდენტები ახლანდელ მდგომარეობას ლენინგრადში ადარებენ რუსეთში, განსაკუთრებით პეტროგრადში არსებულ მდგომარეობას 1917 წელში.

მოსკოვშიც ანალოგიური მდგომარეობაა: მაგალითად, მოსკოვის ქალაქის საბჭომ რვა დღის განმავლობაში - ვერ შეძლო ერთი კომისიის შექმნა. მაგრამ, მიუხედავათ, ამისა, კომუნისტური პარტია მაინც ერთადერთი პარტიაა რუსეთში, რომელსაც გააჩნია "ფუნქციონირებული ძალაუფლების სტრუქტურა",თუმცა ამ "ძალაუფლების სტრუქტურის" წარმომადგენლები="აპარატჩიკები" მოწმე ხდებიან ამ სტრუქტურის დაშლისა. ერთი მოხელე, კომპარტიის ცეკადან, ამბობს:"მთელ სამუშაო ჯგუფებს არ გააჩნიათ არავითარი ამოცანა; და კოლეგები ელოდებიან იმას თუ როდის და როგორ დაითხოვენ მათ".

VIII.

პოლიტბიურო, რომელიც წინათ ყოველკვირეულად იყრიდა თავს და ღებულობდა გადაწყვეტილებებს, თითქმის სხდომებს არ მართავს. პოლიტბიუროს ხუთი წევრი გორბაჩოვმა შეიყვანა "პრეზიდენტის საბჭოს" შემადგენლობაში, რომელიც სულ 16-ი წევრითაა განსაზღვრული; მათ შორის შეყვანილია მწერალი ვალენტინ რასპუტინი, რუსი ნაციონალისტი, და რასპუტინის თანამოძმე ბენიამინ იარინი, პროფაშისტური "გაერთიანებული შრომის ფრონტის" დამაარსებელი. მაგრამ გორბაჩოვმა წარმომადგენელი "დემოკრატიული რუსეთისა" არ შეიყვანა თავის მრჩეველთა "საპრეზიდენტო საბჭოში," ზარ შეიყვანა არც ერთი ქალი.

IX.

ამასობაში, საკდესის ცნობით, 1990 წლის 7 მაისს ჩამოყალიბდა რუსეთის ფედერაციის სოციალ-დემოკრატიული პარტია. 200-მა დელეგატმა, საბჭოთა კავ-

შორის ამ უდიდეს მოკავშირე რესპუბლიკიდან, ორშაბათს, 7 მაისს დილით, აირჩია სამკაციანი გამგეობა - ალექსანდრე ობოლენსკის, ოლეგ რუმიანცევის და პაველ კუდიუკინის შემადგენლობით. რუსეთის ფედერაციის ამ ყრილობამ მიიღო პარტიის წესდება და დეკლარაცია პარტიის პროგრამის პროექტის შექმნისათვის. რუსეთის ფედერაციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი რეგულარული ყრილობა კი უნდა ჩატარდეს მიმდინარე წელს.

X.

და რას გვეუბნება რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობა, რომელიც ეს-ესაა ჩატარდა?..

- ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ყრილობის დეპუტატთა 86 პროცენტი კომპარტიის წევრებია, რომელთა შორის გაბატონებულია სამი მიმართულება: ბორის ელცინის "რადიკალური რეფორმატორები", იგორ ლიგაჩოვის "კონსერვატორი"-მომხრეები, და მათ შუაშია მიხეილ გორბაჩოვი.

და რაც არსებითია, არა მარტო დიდმპყრობელ-შოვინისტური გაერთიანება "პამიატ-ი" და "რუსეთის საზოგადოებრივ-პატრიოტული ბლოკის მოძრაობის" მიმდევრები, არამედ 1990 წლის რუსეთის ფედერაციაში ჩატარებული სახალხო დეპუტატები, სულ 1068 კაცი, როგორც ჩანს, იმ აზრის არიან, რომ რუსეთს, - მისი 17 მილიონზე მეტი კვ.კმ-რის ტერიტორიით და 140-ი მილიონი რუსი მოსახლეობით, რომელთა ნაწილი მოკავშირე რესპუბლიკებშიცაა გაბნეული, - ძვირად უჯდება ეკონომიკურად რესპუბლიკების კრემლის ბატონობის ქვეშ შენარჩუნება. ამიტომ, მათი აზრით, რუსეთი უფრო განვითარდებოდა ეკონომიკურად - თუ თავიდან მოიშორებდა რუსეთის მეფეებისა და სტალინისაგან შემოჯიჯებულ იმპერიაში დატყვევებულ ქვეყნებს; და, როგორც ჩანს, ეს აზრი თანდათანობით ფეხს იკიდებს, სულ ცოტა, ბორის ელცინის მიმდევრებში, რაც მეტად საყურადღებოა საქართველოსათვისაც.

XI.

როგორც ვხედავთ, "ყველაფერი დინებაშია". მაგრამ რას გვეუბნება "გარდაქმნის" ან უკვე ხუთწლიანი გამოცდილება? - სტალინიზმის "გადემოკრატიულობა" შეუძლებელია, მით უმეტეს ისეთი "კოსმეტიკური" ცვლილებებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

XII.

საბჭოთა კავშირში საჭიროა არსებითი ცვლილებების ცხოვრებაში გატარება, რაც პრაქტიკულად უდრის სტალინური სახელმწიფოებრივი და პარტიული სისტემის სრულ აღგვას პირისაგან მიწისა. ვისურვოთ, რომ ეს შესაძლებელია მშვიდობიანი გზით. და ვითომ ამგვარი იდეების მომცემია "რუსული განუსჯელი სული", რომელიც გამომჟღავნდა "არა-ოფიციალურ" სამაისო აღლუმზედაც მოსკოვში, 1990 წლის პირველ მაისს, ამ სა-ერთა-შორისო შრომის დღის ასი წლისთავზე?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1990 წლის მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ ი რ ვ ე ლ ი   მ ა ი ს ი

### თამარობა და სა-ერთა-შორისო შრომის დღე

I.

პირველ მაისს,განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა, - საქართველო, ქართველი ხალხი ყოველწლიურადაღნიშნავს თამარობას, ხსენების დღეს "წმიდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა".

II.

მეფეთა-მეფე თამარი არის დიდი დავით აღმაშენებლის,საქართველოს სახელმწიფოებრივი სიდიადის ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც,შამქორისა(1195 წ.) და ბასიანის(1203 წ.) ბრძოლებში გამარჯვებით,- დააგვირგვინა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების "ოქროს ხანა", რის შედეგად თამარ მეფე იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად.
და თუ დავით აღმაშენებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მეობის სიმბოლო გახდა, თამარ მეფე ქართველი ხალხის, საქართველოს მშვენიერების სიმბოლოდ იქცა, რაც იმაში გამოსჭვივის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ დიდ მოღვაწეებიდან, მეფეთა-მეფე თამარისადმი არის მიძღვნილი ყველაზე მეტი პოემა, ლექსი თუ ლეგენდა, რომელთა გვირგვინი დიდი შოთას "ვეფხისტყაოსანი".

III.

ამგვარად, - მიუხედავათ იმისა, რომ "ოქროს ხანიდან" უკვე თითქმის 800-ხი წელიწადი გავიდა, - თამარ მეფე დღესაც გზას გვინათებს; თუმცა ამ რვა საუკუნის განმავლობაში საქართველომ, როგორც სახელმწიფომ დიდი უბედურება და ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაუნდობელი დაჩეხვა-დანაწილება განიცადა.

IV.

საქართველოს, ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი ერთობისაკენ ისევ გაეხსნა გზა, როცა სა-ერთა-შორისო მასშტაბის თავის-უფლების ზარებმა დაიწყეს რეკვა, ჯერ - ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ამერიკელმა ხალხმა თავი გაინთავისუფლა უცხო კოლონიზატორებიდან, რის შედეგად 1776 წლის 4 ივლისი ყველა დაპყრობილი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა.
და როცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა - საერთაშორისო ღირებულებად იქცა, და 1789 წლის რევოლუციის 100-ი წლისთავზე, პარიზში, 1890 წლის ივლისში, ერთდროულად, ორი სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი ჩატარდა, უკვე წამოყენებულ იქნა თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის კონკრეტული ლოზუნგები: მეორე ინტერნაციონალის ერთი კონგრესი მოწვეულ იქნა ბრიტანეთის არამარქსისტულ პროფკავშირებისა და ფრანგი "პოსიბილისტების" მიერ; ეს უკანასკნელი,რომლის მეთაური იყო პოლ ბრუსი, უარყოფდა რადიკალურ ცენტრალიზმს, და ემხრობოდა "მესამე-

ბელ" რეფორმების გზას. ხოლო კონგრესი მეორე ინტერნაციონალისა მოწვეულ იქნა არსებითად მარქსისტული მუშათა ორგანიზაციების მიერ, და ამ მეორე ინტერ ნაციონალის კონგრესმა დაადგინა ყოველი წლის პირველ მაისს აღნიშნულ იქნას სა-ერთა-შორისო სამაისო დღესასწაული, როგორც შრომის დღე, რომელიც პირველად აღნიშნულ იქნა 1890 წლის პირველ მაისს გერმანიაში, დანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი მაისი კი გახდა სა-ერთა-შორისო შრომის დღე იმიტომ, რომ ამით აღნიშნულ იქნა ჩიკაგოს მუშების გაფიცვა 1886 წლის პირველ მაისს რვა-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით, რასაც მოყვა მუშათა დემონსტრაცია, რომელიც სისხლში ჩაახშო პოლიციამ.

## V.

საქართველოში პირველი მაისის დღესასწაული პირველად ჩატარდა 1898 წელს "მესამედასელების" მეთაურობით; 1899 წელს პირველმაისობა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, რომლის დროს გამოშვებულ იქნა პროკლამაცია; 1900 წელს, პირველი მაისის დღესასწაული ჩატარდა ქალაქგარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუთასამდე კაცმა. 1901 წელს კი საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა თბილისის ცენტრში, რომლის დროს ხელჩართულ ბრძოლას ჰქონდა ადგილი მუშებსა და პოლიციას შორის, რომლის შედეგად მრავალი დაიჭრა, ბევრი დააპატიმრეს და რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლეს.

## VI.

სა-ერთა-შორისო შრომის დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოში განაპირობა "მესამე დასის" დაარსებამ, 1893 წლის 7 თებერვალს, და მისი სამოქმედო პროგრამის მიღებამ, რომლის საყრდენი გახდა დებულება -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". აქ, ამ საყრდენი დებულებით,"მესამე დასმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დააკავშირა ერთმანეთთან "ნივთიერი კეთილდღეობა" და ერისა და პიროვნების თავისუფლება, რაც მაშინდელი მსოფლიოს არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ გააჩნდა თავიანთ პროგრამაში.

## VII.

"ნივთიერი კეთილდღეობისა" და "ერისა და პიროვნების თავისუფლების" ერთმანეთთან დაკავშირებით კი, "მესამე დასელებმა", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნულ ჩარჩოში ჩამოასხა "თამარობისა" და "შრომის დღესასწაულის" ერთობა: "თამარობის" იდეა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის კრედო, დაკავშირებულ იქნა "ნივთიერ კეთილდღეობასთან",როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა და ერისა და პიროვნების თავისუფლებასთან, რაც დიდი პროგრესია წინ: სუვერენი უნდა იყოს ხალხი, უფრო ზუსტად,"ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას",-განსაზღვრავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებაში იყო საქართველოში 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII.

ამდენად,პირველი მაისი ქართველი ერის, საქართველოს და,ამავე დროს, საერთა-შორისო შრომის დღესასწაულია, რომელიც ერთობაა "თამარობისა"=ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა და "შრომის ღირსა", რაც ნივთიერ კეთილდღეობას ერისა და პიროვნების ხელმწიფებასთან აკავშირებს.

IX.

ამგვარად, "თამარობის" თითქმის რვაასწლოვანი ტრადიცია შეეზარდა "პირველმაისობის", ან უკვე ას-წლოვან ტრადიციას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეას აპოხიერებს "ნივთიერი კეთილდღეობით", როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა,და თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვრით - ერისა და პიროვნების თავისუფლებით.

X.

და შრომის სა-ერთა-შორისო დღესასწაული 100-ი წლისთავზე, ვისურვოთ "თამარობისა" და "მესამედასელთა" აღნიშნული იდეები ისევ მალე განხორციელდეს საქართველოში, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში.




კარლო ინასარიძე

პარიზი, 1990 წლის პირველი მაისი

## მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შედეგები

I.

უკვე გამოქვეყნდა მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შედეგები("კომუნისტი", 29 აპრილი, 1989 წ. და 24 მარტი, 1990 წელი). რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?.. სანამ ამ კითხვას პასუხს გავსცემდეთ, ჯერ ზოგიერთი აზრები საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ:

II.

დემოგრაფია, როგორც ცნობილია, სტატისტიკის დარგია, რომელიც იკვლევს მოსახლეობის შემადგენლობასა და მოძრაობას: დაბადება-სიკვდილიანობას თუ მიგრაციას.და,ბუნებრივია,ამ საკითხზე გრძელდება ბჭობა ჩვენს ერში.

1985 წლის 7 ივნისის გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულია "დისკუსია დემოგრაფიის საკითხებზე", რომელიც,ასე ვთქვათ, შეჯამებაა იმ შეხვედრისა,რომელსაც ადგილი ჰქონია თბილისში, მწერალთა კავშირში, ჩვენი ერის გამრავლების პრობლემებზე.

III.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავჯდომარეს - <u>შოთა ნიშნიანიძეს</u> - შესავალ სიტყვაში ულაპარაკია დემოგრაფიის საკითხის გლობალურობაზე,და რომ საქართველო,ქართველი ერი, გამრავლების მხრივ, საბედისწერო მდგომარეობაში ყოფილა, რასაც გამოუწვევია, კიდევ ერთხელ, საქმიანი დისკუსია, თუმცა "ცალმხრივი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

მიხეილ ქურდიანმა, მაგალითად, საკითხის გასარკვევად შუმერი ერი და მისი ეპოსი "გილგამეშიც" კი მოიშველია:
"...შუმერებმაც კარგად იცოდნენ, რომ ერის გამრავლებისათვის ყოველ ოჯახზე შვიდი ბავშვი იყო საჭირო – ქვესკნელიდან ამოსულ ენქიდუს სულს გილგამეში ეკითხება:
- "ვინც ერთი ძე შობა, თუ ნახე?"
- "ვნახე, ქვესკნელში მხოლოდ პურს შეექცევა".
- "ვინც სამი ძე შობა, თუ ნახე?"
- "ვნახე, ქვესკნელში მხოლოდ წყალსა სვამს იგი".
- "ვინც ოთხი ძე შობა, თუ ნახე?"
- "ვნახე სასმელ-საჭმელით გულს იხარებს".
- "ვინც ხუთი ძე შობა თუ ნახე?"
- "ვნახე,კარგი მწერალივით შიშველი მკლავი აქვს,დიდი პატივით შედის სასახლეში".
- "ვინც ექვსი ძე შობა, თუ ნახე?"
- "ვნახე, გუთნისდედასავით უხარის გული".
- "ვინც შვიდი ძე შობა, თუ ნახე?"
- "ვნახე, ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს".

და დასძინა:"იცოდენ ყველაფერი ეს შუმერებმა, მაგრამ მარტო ცოდნამ მათ ვერ უშველა და ამოწყდენ. გადაშენდენ ცივილიზაციის აკვნის დამრწენი და დამწერლობის შემქმნელნი".

V.

ედუარდ კოდუამ სტატისტიკური მონაცემები მოიშველია: შობადობა საქართველოში 1981 წელს იყო 18,2 პროცენტი პრომილე, აზერბაიჯანში – – 26,3, ხოლო სომხეთში – 23,4 პრომილე". კიდევ მეტი: საქართველოში აზერბაიჯანელების შობადობა უფრო მეტია – 28 პრომილე –, ვიდრე საკუთრივ აზერბაიჯანში. "1940 წლიდან შედარებით სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა გაორკეცდა, საქართველოს მოსახლეობამ კი მხოლოდ 44 პროცენტით მოიმატა". სომხეთში სომხებია 89,7 პროცენტი, აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები 78,1 პროცენტი, ხოლო საქართველოში ქართველები არიან მთელი მოსახლეობის მხოლოდ 68,8 პროცენტი.

VI.

რევაზ ჯაფარიძემ შეეხო ამ ორმოციოდე წლის წინათ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან – მესხეთიდან – ქართველი მაჰმადიანების გადასახლებას და აღნიშნა, რომ ამ ქართველების სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ დღეს ხორციელდება.

აკაკი ბაქრაძემ აღნიშნა, რომ გამრავლების პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალური საკითხია: ერთნი თავიანთ სიმრავლეს უჩივიან, მეორენი კი თავიანთ მცირერიცხოვანებას მისტირიან. და მოითხოვა საქართველოს დემოგრაფიული პრობლემის მეცნიერულად შესწავლა, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ერის ობიექტური ინფორმირება ამ დიდ ეროვნულ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძემ, სხვათა შორის, შეეხო ფერეიდანელი ქართველების საკითხს და აღნიშნა, რომ ზოგიერთმა მათგან ირანში უკან დაბრუნება გადაწყვიტა, და მეტად გამახარა, რომ ზოგიერთებმა განაცხადეს "არ წავალთ!"

VII.

იზა ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ მარნეულის რაიონში სულ ხუთი ქართული სოფელი ყოფილა. ამ რაიონის ასი-ათასზე მეტი მცხოვრებიდან ქართველი სულ ხუთი-ათასამდე ყოფილა.
ლევან სანიკიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ქართველები საერთოდ არ მრავლდებიან, რომლის ერთერთ უდიდეს მტრად მან "აბორტმახერობა" გამოაცხადა."კანონი აბორტს არ კრძალავს...ამ სისხლიანი აქტით იგი ჰკლავს ერს, ქართველ ერს 'ნებართვით' ჰკლავს"!
"ასეთი რამეც თქმულა თურმე: ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარი შვილის მეტსაც არ გააჩენდნენო!"
გიორგი სანადირაძემაც შეეხო "აბორტმახერობას" და აღნიშნა, რომ ოზურგეთში(მახარაძეში) 1981 წელს 1573 ბავშვი დაიბადა, მაშინ, როცა ოფიციალური აღრიცხვით ამავ წელს 2227 აბორტი გაკეთებულიო.

VIII.

გიორგი გიგაურმა შეეხო ხევსურეთის წარსულსა და აწმყოს და აღნიშნა, რომ დიდი ზარალი მიაყენა ამ კუთხეს 50-იან წლებში, როცა ერთ-ორ წელიწადში ხევსურეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა - მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების გამო. და დაწყებული 1982 წლიდან, ხევსურეთმა იწყო"აღმა სვლა!""ბოლო ორ წელს ხევსურეთში დაიბადა სამოცამდე ბავშვი." "1982 წელს ხევსურეთმა მიიღო ცვლილებები...დათვისის ჭალაში აშენდა სამკურნალო ბალახების მიმღები პუნქტი.გუდანში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი.მაგრამ მოსახლეობამ რომ იმატოს, ამისათვის კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელიო.

IX.

დისკუსიის მონაწილეებმა, ვკითხულობთ შემდეგ გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში", კიდევ ბევრი საყურადღებო პრობლემა წამოჭრეს საქართველოს დემოგრაფიული სურათის სასიკეთოდ.

X.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის ოთხი-მეხუთედი ქართველები იყვნენ; 1917 წლის რევოლუციის წინაპერიოდში კი ქართველობის რაოდენობა ორ-მესამედამდე დაეცა, რა თქმა უნდა, რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად. 1939 წლისა და 1979 წლის აღწერებით სომხების რაოდენობა საქართველოში 452.300-დან, უმნიშვნელოდ, 448.000-სამდე დავიდა; აზერბაიჯანელების რაოდენობა კი 153.600-სიდან 255.700-ს სულამდე გაიზარდა. ოსების რაოდენობამ კი 1979 წლის აღწერით, საქართველოში, 160.500-ს სულს მიაღწია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაგან 27.300-სმა სულმა ქართული ენა უკვე დედა-ენად აღიარა. (ვახტანგ ჯაოშვილი: "საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში", "მეცნიერება", 1984 წელი).

XI.

და აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტი: "სსრ კავშირში, - ამბობდა არჩილ ხომასურიძე, ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ("კომუნისტი", 4.5.88) - პირველ ადგილზეა მსოფლიოში აბორტების რაოდენობით..., ხოლო საქართველო, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა". ამავე დროს, როგორც თენგიზ გოგოლაძე წერს, - "ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად თურმე 7000-მდე განქორწინების საქმე ირჩევა. სამი წლის განმავლობაში იმდენი განქორწინება ხდება, რამდენი ქორწინებაც ერთ წელიწადში". "...ეს ხდება სასამართლოს ხაზით. ვინ იცის, რამდენი განქორწინება ფორმდება მმაჩის ბიუროებში!" ამგვარი სამედიცინო სტატისტიკური მონაცემების პირობებში რა გასაკვირია, რომ ახლახან დაარსებული "რუსთაველის საზოგადოება" ყურადღებას საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებსაც აქცევს."...იმ დროს, როცა სხვა რესპუბლიკები - წერს ილია ბეგიაშვილი ("კომუნისტი", 17.3.1988) - უკვე აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას დაადგნენ, ჩვენ ვყოყმანობთ და ნებაყოფლობითი დემოგრაფიული საზოგადოების შექმნის საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია". "...მიზანშეწონილია განხორციელდეს შობადობის სტიმულირების ეკონომიკური ღონისძიებანი".

XII.

მაგრამ საქართველოში, საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, - ეკონომიკური მდგომარეობა, სულ ცოტა, უარესი არ არის?!.. და რატომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში თუ სომხეთში, შობადობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში?.. კიდევ მეტი: მოსკოვი, სამუშაო ადგილების უქონლობის მომიზეზებით, ცდილობს გამრავლების შეკვეცას, მაგალითად, ტაჯიკეთში, სადაც ყველაზე უფრო მაღალია შობადობა მთელ საბჭოთა კავშირში. "შობადობის კონტროლის საკითხი ტაჯიკეთში თავისთავად დგას დღის წესრიგში..." - განაცხადა საკლეხმა(23.1.87) და განაგრძო: "...მოსახლეობის თითქმის ნახევარი ტაჯიკეთში ბავშვებია; ასე რომ შემოსავალი თითოეულ სულზე კლებულობს". მოსკოვს, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შობადობის მაღალი დონე განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მაჰმადიანურ მოკავშირე რესპუბლიკებში იმიტომ აღელვებს, რომ მალე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არარუსები იქნებიან, რაც - დროთა განმავლობაში - კითხვის ქვეშ დააყენებს რუსების ბატონობას მთელ საბჭოთა კავშირში.

XIII.

და როგორი დემოგრაფიული მდგომარეობაა საქართველოში 1989 წლის აღწერის შედეგად? - საქართველოს მთელი მოსახლეობა, 1989 წლის აღწერით, უდრის - 5.443.000 სულს; 1959 წელს, ე.ი. 30 წლის წინათ კი უდრიდა 4.044.000-ს სულს, ე.ი. 1.399.000-სი სულით ნაკლებს; აქედან ქალაქებში ცხოვრობს - 3.035.000-სი სული, ხოლო სოფლებში - 2.408.000-სი სული.

საქართველოს მოსახლეობა, ცალკეული ეროვნების მიხედვით, ასეთ სურათს იძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლუკა: ქართველი | - 3.787.393 | სული; | მთელი მოსახლეობის | - 70,1 | პროცენტი. |
| სომეხი | - 437.211 | " | " " | 8,1 | " |
| რუსი | - 341.172 | " | " " | 6,3 | " |
| აზერბაიჯანელი | 307.556 | " | " " | 5,7 | " |
| ოსი | - 164.055 | " | " " | 3,0 | " |
| აფხაზი | - 95.853 | " | " " | 1,8 | ". |

დემოგრაფიულად განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ქალებისა და კაცების თანაფარდობა საქართველოს მოსახლეობაში:
მთელი მოსახლეობა - 5.443.000-სი სული; აქედან ქალები ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას: 1989 წლის აღწერით ყოველ ათას ქალზე მოდის მხოლოდ 902 მამაკაცი, რაც გამოწვეული ყოფილა 21 წლიდან მამაკაცების უფრო დიდი სიკვდილიანობით. სხვა სიტყვებით, საქართველოს მოსახლეობის ყოველ ათას ქალიდან, სტატისტიკურად, 98 ქალს ეთხოვება და ამით ოჯახის შექმნა არ შეუძლია, მამაკაცების სიმცირის გამო. მაგრამ არასოდეს არ დაქორწინებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი - სულ 17,4 პროცენტი ყოფილა, რაც, გასაგებია, დიდ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის გამრავლებაზე.

## IX.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა საქართველოში არაქართველთა ზრდის ტემპი 1979 წლიდან 1989 წლამდე: ქართველები გაიზარდა 9 პროცენტით;

აზერბაიჯანელი - 20,3 პროცენტით.

ანალოგიურია მოსახლეობის ზრდის მდგომარეობა ჩვენს მეზობელ - აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში:
საქართველოში მთელი მოსახლეობა გაიზარდა 9 პროცენტით;
აზერბაიჯანში კი - 17 პროცენტით.
ანალოგიურია აგრეთვე მოსახლეობის დიდი მატება საქართველოს იმ რაიონებში, რომლებშიც არაქართველთა უმრავლესობა ცხოვრობს: ბოლნისის რაიონში მოსახლეობა გაიზარდა - 20,4 პროცენტით; დმანისის რაიონში - 18,6 პროცენტით; საგარეჯოს რაიონში - 11,3 პროცენტით. მაგრამ მოსახლეობის ყველაზე მეტ ზრდას ჰქონდა ადგილი მარნეულის რაიონში - 24,7 პროცენტი.
ჩვენი დედაქალაქის - თბილისის - მოსახლეობის ზრდა 1979 წლიდან 1989 წლამდე - 18,2 პროცენტით, ძირითადათ აიხსნება სხვა რეგიონებიდან, ე.ი. არა მარტო საქართველოს სხვა რაიონებიდან მოსახლეობის მოდინებით.

## X.

აფხაზეთის, სულ 525.061-ს მოსახლეობიდან, ქართველია - 239.872 სული;
აფხაზი - 95.853 სული;
რუსი - 74.914 სული;
სომეხი - 76.541 სული.
აჭარაში, სულ 392.432 კაც მოსახლეობიდან, ქართველია - 324.813 სული;
რუსი - 30.042 სული;
სომეხი - 15.849 სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთში,ე.ი.შიდა ქართლში, სულ 98.527 კაციდან, ქართველია - 28.187 სული; ოსია - 65.232 სული.

თბილისს სულ 1.246.936 მოსახლიდან, ქართველებია - 824.412 სული;
სომეხია - 150.138 სული;
რუსია - 124.867 სული.

XI.

როგორც ვხედავთ, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა - მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ხვედრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში 1979 წლიდან 1989 წლამდე 68,8 პროცენტიდან 70,1 პროცენტამდე გაიზარდა - ჩამოფიქრებულია, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ქართველობა უკვე უმცირესობაშია მოქცეული. და გასაგებია, რომ საქართველოს, თითქმის, ყველა ორგანიზაცია თუ ახლად გამოცოცხლებული პარტიები, თავიანთი მოქმედების ცენტრში აყენებენ, სამართლიანად, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენის აზრით კი, ერთერთი,ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებისა-საქართველოში ქართველთა და არაქართველთა თანაფარდობის მხრივ - გამოწვეულია - ჯერ - მეფის რუსეთისა და - შემდეგ - ლენინის რუსეთის იმპერიული პოლიტიკით, ვინაიდან კრემლი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს ქართველობის უმცირესობაში მოქცევას საქართველოში, რომ საქართველოს გახადოს მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად. და კრემლი ამგვარ პოლიტიკას აწარმოებს დღესაც. ამის დასაბუთების ფაქტად გამოდგება,თუ გნებავთ, საბჭოთა კავშირის უზენაეს მიერ დამტკიცებული და გამოქვეყნებული კანონი მოკავშირე რესპუბლიკის სსრკ-დან გამოსვლის შესახებ, რომელიც ისეა შემუშავებული, რომ საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის ფაქტიური სუვერენი საქართველოში მცხოვრები არაქართველებია. სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის უფლებას ქართველობას, ვიმეორებ, ფაქტიურად ართმევს, როცა საქართველოს მოსახლეობის ორ-მესამედმა უნდა მოითხოვოს,რეფერენდუმის გზით, გამოყოფის საკითხის დაყენება, რომლის პროცედურა შემდეგ ხუთ წელიწადს, ათასგვარი ჯებირებით, გრძელდება, რომლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობის ერთ-მეათედს შეუძლია მოითხოვოს"საბოლოო" გამოყოფის რეფერენდუმის კიდევ ჩატარება; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი-მესამედი არა-ქართველებია, მაშინ ნათელი ხდება, რომ ქართველები კი არ არიან სსრკ-დან საქართველოს გამოყოფის გადამწყვეტნი, არამედ საქართველოში მუდმივად მცხოვრები არა-ქართველობა.

XII.

მაგრამ რატომ ვაყენებ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ჭრილით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის საკითხს? - იმიტომ, რომ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში შესაძლებელია საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ვინაიდან სანამ საქართველოს მოქალაქეობა არ არსებობს, სანამ კამჩატკელ ესკიმოსსაც კი შეუძლია, თუ მოისურვებს, საქართველოში ჩამოსვლა და სამუდამოდ დასახლება, რაც გარანტირებულია საბჭოთა კავშირის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტიტუციით, - მანამდე შეუძლებელი იქნება "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" დემოკრატიულადაც. იმ დროს, როცა საქართველოს მოქალაქეობის მიღება არა მარტო "უფლება", არამედ "მოვალეობაც" იქნება, როგორც ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წლებში, იმ დროს, როცა ქართული ენის ცოდნა სავალდებულო იქნება, სულ ცოტა, იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სახელმწიფო მოხელეს პროფესიას სურს დაეუფლოს, - მხოლოდ მაშინ გაიზრდება საქართველოში მცხოვრები არაქართველების "მოვალეობაც" საქართველოს, როგორც სამშობლოს მიმართ.

XIII.

ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენამდე ჩვენ უმოქმედოთ ვიყოთ; და ეს რომ ასე არ არის, ამას ადასტურებს საქართველოში არსებული ყველა ორგანიზაციის თუ პარტიის მისწრაფება როგორმე გაუმჯობესებულ იქნეს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა. სხვა მრავალთა შორის, მაგალითად, - როგორც თენგიზ გოგოლაძე წერს - ("კომ.", 27.3.88) - "რატომ ხდება სამი წლის განმავლობაში იმდენი განქორწინება, რამდენი ქორწინებაც ერთ წელიწადში?" როგორ უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ საბჭოთა კავშირში - ეროვნებათა მიხედვით - საქართველოზე უკეთესი ზრდის ტემპი აქვს შვიდ მოკავშირე რესპუბლიკას?.. ("კომ"., 18.1.90).

XIV.

კონსტანტინე გამსახურდია, მაგალითად, დემოგრაფიას უშუალოდ აკავშირებს შრომასთან: "გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ - წერს ის ("რუსთავი", "სამშობლო", ივნისი, 1988 წ.) - ე.წ. ჰუმანიტარული განათლებისაკენ გადაჭარბებულად ლტოლვას. ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ათასობით მეტი ზეინკალი, ფოლადის მწრობი, მჭედელი, ცეცხლისფარეში, ხარატი, ხურო და მლესავი სჭირია, ვიდრე პოეტი და მომღერალი".

XV.

დიდი იმედის მომცემია - და უკვე პრაქტიკულ შედეგებსაც იძლევა დემოგრაფიის სფეროშიც - რუსთაველის საზოგადოება, რომელიც უკვე მასშტაბური, უნივერსალური საზოგადოებაა, რომლის საზრუნავია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული და, რასაც ხაზგასმით ავღნიშნავთ ამ შემთხვევაში, - დემოგრაფიული სინამდვილის ყველა სფერო. ამიტომ, ყოველი ქართველის მოვალეობად უნდა იქცეს საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, რომლის დროს საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა არაქართველებმაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი ამ საქმეში იმით, რომ - როგორც, მაგალითად, სურთ სომხებს სომხეთში და აზერბაიჯანელებს აზერბაიჯანში მათი ეროვნული მეობის შენარჩუნება დემოკრატიულადაც, - საწინააღმდეგო გზას არ უნდა დაადგენს საქართველოში, მით უმეტეს, რომ ქართველმა ერმა ყველა არაქართველი საქართველოში ძმურად მიიღო და ცდილობს მათთან ძმურად ცხოვრებას. ქართველი ერის ამგვარი დიდსულოვნება, ჰუმანიზმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს ბოროტად საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ეროვნებათა თითო-ოროლა წარმომადგენლებმაც კი, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ზემოქართლში თუ მარნეულში, ე.ი. ქვემო ქართლში. რაც შეეხება თითო-ოროლა გზააბნეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზს, მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ საქართველო ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფო იყო ყოველთვის, და ასეთადვე დარჩება, უნდა დარჩეს სამუდამოდ.

XVI.

გასაგებია, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება მეტად რთული და ფაქიზი საკითხია, რომელსაც მეტად ფრთხილად და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების შვილების ინტერესების მხედველობაში მიღებით სჭირდება მოგვარება. ვფიქრობთ, ჩვენ ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ვიცნობთ, მაგრამ - მიხეილ ქურდიანის აღნიშნული სიტყვები რომ გადავაკეთოთ - შუმერებმაც იცოდენ მათი დემოგრაფიული უმწეო მდგომარეობა, მაგრამ მარტო ცოდნამ მათ ვერ უშველა, და გადაშენდენ ცივილიზაციის აკვნის დამწყენი და დამწერლობის შემქმნელნი. ღმერთმა აარიდოს ამგვარი ბედი საქართველოს, ქართველ ერს, მაგრამ ღმერთი ამ ბედს საქართველოს, ქართველ ერს, ულაკოა, ააშორებს, თუ ჩვენ "ხელს ვაკანძრევთ", ე.ი. ვიმოქმედებთ ყოველდღიურად საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

კარლო ინასარიძე
პარიზში, 1990 წლის მაისი

## პ ა რ ტ ი უ ლ ი   ც ხ ო ვ რ ე ბ ა

### ნოე რამიშვილის მკვლელობის 60 წლისთავი

I.

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს, და მოკლულ იქნა, პარიზში, ბოლშევიკების მიერ, 1930 წლის 7 დეკემბერს.

სოფლის სკოლისა და სემინარიის დამთავრების შემდეგ, ის შედის დორპატის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო, მას უნივერსიტეტის დამთავრება არ დასცალდა. ის დაბრუნდა საქართველოში და ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხთა მოძრაობას საქართველოში ბათუმსა და გურიაში. 1903-მ წელს, მისი ხელმძღვანელობით, მოწვეულ იქნა გურიის მშრომელთა ყრილობა; 1904-ს წელს ნოე რამიშვილი დააპატიმრეს ჟანდარმებმა, რომელთაგან შემდეგ მან თავის დააღწევა და გაიქცა როსტოვში, სადაც მან განაგრძო არალეგალური მუშაობა. ნოე ჟორდანიასთან ერთად ის ხელმძღვანელობდა გაზეთს "სოციალ-დემოკრატს".

II.

რაც დრო გადიოდა ნოე რამიშვილი თვალსაჩინო ადგილს იჭერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატა, რომ 1905-თ წელს მან შესძლო მშრომელთა მასების ერთმა-ნეთთან დაკავშირება და ასე გახდა ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვა-ნელი. 1917-ი წლის რუსეთის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის ხანაში ის გახდა მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრის წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემ-დეგ კი ის ხდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავჯდომარე, რომელიც შემდეგ შეცვალა ნოე ჟორდანიამ. ნოე რამიშვილი ნოე ჟორდანიას მთავრობაში იყო შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრი ერთდროულად. ნოე რამიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეშიც.

III.

ნოე რამიშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, საქართველოს ყოველ კუთხეში, მივარდნილ სოფლებშიც კი, მოეწყო ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა მოსახლეობის მომსახურების უწყებანი. ნოე რამიშვილი ცნო-ბილი იყო საქართველოს საზღვრებს გარედაც როგორც დიდი ერუდიციის ადამიანი, წინდახედული პოლიტიკური მოღვაწე და, პირველ ყოვლისა, მეტად დიდი გაქანების ორგანიზატორი და პრინციპული ადამიანი.

IV.

როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო, ლენინის ბრძანებით, დამოუკიდებელი საქართველო, მაშინ ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანიას მთავრობასთან ერთად, საქართველოს დამფუძნებელი კრების დავალებით, შეეხიზნა საფრანგეთს და განაგრძობდა შეუწყვეტელ ბრძოლას საქართველოს სუვერენობის აღდგენისათვის. და სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ბოროტმა ხელმა 1930-ი წლის 7-დ დეკემბერს ნოე რამიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს: პარიზის იტალიის მოედანზე რევოლვერის ტყვიით განგმირულ იქნა ნოე რამიშვილი, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში.

V.

დიდია ნოე რამიშვილის დამსახურება საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე. დამოუკიდებელი საქართველო რომ 1918-21 წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცა ერთერთ ყველაზე უფრო სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ რუსეთის ყოფილ იმპერიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს შორის, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნოე რამიშვილს. "...მასში ბუნებამ გამოკვეთა - წერდა ნოე ჟორდანია ნოე რამიშვილის შესახებ - ადამიანის საკვირველი სანახაობა, სანახაობა იშვიათი, ერთი მთლიანი ქმნილება, მისი შინაგანი და გარეგანი სახეობა სავსებით ჰარმონიულია... ის საუკეთესო გამომხატველი ქართველი ხალხის ნებისყოფას, სიმტკიცეს და აღებული გზის ერთგულებას. მან არ იცოდა ბრძოლაში წაბორძიკება, გამარჯვებაში დაეჭვება, გაჭირვებაში უკანდახევა, უბედურებაში სასოწარკვეთილობა. ყოველგვარ რთულ მდგომარეობიდან ის მუდამ პოულობდა გამოსავალს...ის ფიქრობდა მუდამ საქმეზე. მან არ იცოდა სხვა სიამოვნება, მას არ იტაცებდა ცხოვრების არავითარი სიტკოებ, არ ეძებდა არავითარ ფუფუნებას. მას აწუხებდა ერთადერთი ფიქრი-ქვეყნის ძვებელი, მას ჰქონდა ერთადერთი სიამოვნება : ქვეყნის მსახური".

VI.

ნოე ჟორდანია ნოე რამიშვილის შესახებ შემდეგ წერს: "ქართველმა ერმა პირველად მასში განასახიერა თავისი სურვილი. პირველად მას მიანდო ნაციონალური მთავრობის შედგენა. როცა დედამიწის ერთ-მეექვსედზე ანარქია ბობოქრობდა, როცა მთელი კავკასია ცეცხლის ალში გაეხვია, მხოლოდ საქართველოში სუფევდა სიწყნარე, ნოე რამიშვილი იყო,რომ მეთაურობდა ყოველი მხრიდან შემოსეულ ბრბოთა წინააღმდეგ ბრძოლას. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!მისი საქმენი ისტორიის საგანია...ის მოკვდა პოსტზე, თავაწეული და წმინდა დროშით საქმე მივალი..."

VII.

ნოე რამიშვილი იყო არა მარტო დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ მისი პრაგმატული მოქმედება ემყარებოდა თეორიულ საფუძვლებს, რომელიც მან ჩამოაყალიბა თავის ნარკვევში -"დემოკრატიული სოციალიზმი" -,რომელიც დაიბეჭდა პარიზი 1931 წელს. "ნოე რამიშვილისათვის - წერს ამ წიგნის წინასიტყვაობაში

ნოე ჟორდანია - მწერლობა იყო მხოლოდ იარაღი...პრაქტიკული პოლიტიკის გახაცარებლად". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ამ ნარკვევში ჩვენ ვეცნობით ნოე რამიშვილის აზრებს,რომლებიც ერის რაობის თეორიულ გარკვევასაც შეიცავს. ეხება რა,მაგალითად, ენის საკითხს, ნოე რამიშვილი წერს:

"თანამედროვე ეროვნება არის ისტორიულად შექმნილი,პირველ რიგში საერთო ენის ნიადაგზე აღმოცენებული ადამიანთა ფსიქოლოგიური ერთობა, კავშირი. ერთი ენა ერთი ერი - აი თანამედროვე ეროვნული მოძრაობის მთავარი პრინციპი. შვეიცარია,სადაც სამი ენა ერთი მეორის გვერდით ბატონობს, საერთო კანონს,როგორც გამონაკლისი, ამტკიცებს".

VIII.

ნოე რამიშვილი იყო განსახიერება ქართული მებრძოლი სულის, მტერს რომ გამუდმებით ებრძოდა. რუსეთის ბოლშევიკებს ნოე რამიშვილი ისეთ დაუძინებელ მტრად მიაჩნდათ, რომ მოსკოვიდან შეატყობინებს ქართველ ითო-ორიოდა ბოლშევიკებს -"არ გაიკარით სიახლოვეს ნოე რამიშვილის მომხრეები!"

დამოუკიდებელი საქართველოს მტრებს ის შიშის ზარს სცემდა, და ამიტომაც ნოე რამიშვილი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, როგორც რკინისებური ნერვების მქონე სახელმწიფო მოღვაწე.

აი ამიტომ იყო, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დამპყრობლები, ბოლშევიკები ყოველი ღონით ცდილობდნენ ნოე რამიშვილის ფიზიკურ განადგურებასაც კი.

IX.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი მთელი მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე, შეხმატკბილებულად,ერთად მუშაობდენ, ერთად იღწვოდენ საქართველოს, ქართველი ხალხის ვარაუვალი ინტერესების დაცვისათვის; და ამგვარი თანამშრომლობა მათ კიდევ უფრო გააღრმავეს პოლიტიკურ ლტოლვილობაში, საფრანგეთში, პარიზში, სადაც ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი მთელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას იზიარებდენ დამოუკიდებელი საქართველოს გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების არაერთ გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X.

და ავღნიშნავთ რა ნოე რამიშვილის მკვლელობის 60 წლისთავს, ვაზოლთ მოვიყვანთ ნოე ჟორდანიას სიტყვებს ამ დიდი ქართველი პატრიოტის, დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის შესახებ; ნოე ჟორდანია წერს:
ნოე რამიშვილის "...საქმენი ისტორიის საგანია...ის მოკვდა პოსტზე, თავგანწირული და წმინდა დროშით მიმავალი..." და ასეთი პიროვნება, დავძენთ ჩვენ, მაგალითის მომცემი დარჩება მთელი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობისათვის!..

კარლო ინასარიძე
ლუკილი, 1990 წლის მაისი

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის V ყრილობამ, რომელიც ჩატარდა თბილისში, 1990 წლის 24-25 თებერვალს, აირჩია ცენტრალური კომიტეტი 27 კაცის შემადგენლობით.
საქართველოს სსდპ თავჯდომარედ ყრილობამ აირჩია პროფესორი გურამ მუჩაიძე;
სსდპ თავჯდომარის პირველ მოადგილედ - გურამ აბაშიძე;
სსდპ თავჯდომარის მოადგილეებად - მარინა დაკანოიძე და ვაჟა მუზითიძე;
სსდპ პასუხისმგებელ მდივნად - გიორგი წერეთელი;
სსდპ პრესის ცენტრალური ორგანოს "ერთობის" რედაქტორად - ზურაბ აბაშიძე.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩიტაძის ქ. 6, ოთახი 219.

## სსდპ საზღვარგარეთის ბიუროს წევრები

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის 25 თებერვლის სხდომაზე, საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს წევრებად დაამტკიცა (ქართ.ანბანის მიხედვით):
ბერიშვილი მამია, ინასარიძე კარლო, კახნიაშვილი ჯ., ლომაძე გრიშა, რამიშვილი ნინო, რიჟამაძე ვალენტი, წაქაძე რ..

## "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია

საქართველოს სდპ ცკ 1990 წლის 25 თებერვლის სხდომამ სსდპ საზღვარგარეთის ბიუროს ორგანოს სარედაქციო კოლეგიის წევრებად დაამტკიცა: (ქ.ა.მ.):
ზ. აბაშიძე, მამია ბერიშვილი, ზ.ბილიხოძე, კარლო ინასარიძე, ვალენტი რიჟამაძე.

==========================

ბალანსი

"ჩვენი დროშის" 1990 წლის მაისის 4(117) ნომრისა:
გასავალი: გამრავლება, მეკვრა, პოსტის ხარჯები............სულ 2 521 ფრანკი
შემოწირულება: კარლო ინასარიძე...........................სულ 2 521 ფრანკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლიტერატურა და ხელოვნება

## საქართველოს თავისუფლების მომღერალი

## აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავი

I.

მთელი საქართველო, ქართველი ხალხი აღნიშნავს ჩვენი ეროვნული მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს, 1990 წელს, რაც, გასაგებია, შესაფერი სიფაქიზითა და მთაგონებით აღინიშნება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც. უდავოა, ქართველი ყოველი პოეტი ეროვნული მგოსანია საერთოდ, მაგრამ აკაკი წერეთლის შემთხვევაში, ეს გამოთქმა უფრო მეტია, უფრო მთამბეჭდავია, ვინიდან მისი, განსაკუთრებით ლექსები, მორღებიან დაწერილი მუსიკალურობის საზღვრებს და "სიმღერებად", მუსიკად გვევლინება, რომლის თვალსაჩინო მაგალითებია "სულიკო" თუ "ცისინათელა".

II.

აკაკი წერეთელი მორღება პოეზიის გამოხახვის საბოლოო ახახვის - დაწერილი ლექსის - საზღვრებს და იმდენად იჭრება მუსიკაში, რომ იგი დაწერილი ლექსით აიძულებს ქართველობას სიტყვები მუსიკად აქციოს. ამდენად, აკაკი წერეთელი იმდენად იჭრება ქართველი ადამიანის სულში, რომ იგი "მკვდარ ასოებით" დაწერილ ლექსს "ამღერებს" ჩონგურზე თუ გიტარაზე, რითაც გარღალახულია საზღვარი ლიტერატურას(პოეზიას) და მუსიკას შორის, რითაც - თავის მხრივ - "პირველითგან იყო სიტყვის" საზღვარიც გარღალახულია და "სიმღერად", ე.ი. "საქმედ" არის ქცეული, რაც ყოველი (არა მარტო) სიტყვიერი გამოხახვის, კიდევ მეტი:"სიტყვის შექნის" საფუძველია.

III.

მაგრამ აკაკი წერეთელი კიდევ უფრო შორს მიდის: იგი, განსაკუთრებით, თავისი ლექსებით არა მარტო "აიძულებს" ქართველს "იმღეროს", არამედ ამასთანავე "აიძულებს" უმღეროს, ყველაზე უფრო დიდ საგანძურს ადამიანთა მოდგმისა,- სამშობლოს, ერს, თავისუფლებას თუ სიყვარულს, რომლის დროს იგი ათასგვარ ალეგორიული გამოხახვის ხერხებს მიმართავს, რომ - უცხო ბატონობის პირობებში - თქვას, იქადაგოს ის, რაც ყველაზე ძვირფასია ადამიანისათვის, ადამიანთა მოდგმისათვის, ამ შემთხვევაში, ქართველი ერისათვის. ამ გაგებით, "სულიკოს ძებნა" უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ "საყვარლის ძებნა", ვიწრო გაგებით:იგი "საყვარლის ძებნას" "თავისუფლების ძებნასთან", ეროვნული თავისუფლების ძებნასთან აიგივებს, და ამით ქმნის არა მხოლოდ "მშვენიერ", არამედ "დიად" გამოხახვას.

IV.

აქ გამოხახვა დიადია არა მარტო თავისი"შინაარსოვან-ფორმალური", არამედ "ფორმალურ-შინაარსოვანი" გამოხახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ აკაკის"სამღერებელი ლექსის" შინაარსი-ფორმა-გამოთქვა ერთობაა "შეცნობილი უზრალო-

ბისა", რაც პოეზიაში ყველაზე უფრო რთული გამოსახვის ხერხია, რომ[illegible] აკაკი გენიალური ვაჟას გვერდით შეგვიძლია დავაყენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

საიდან მოდის "რჩეულთა", ამ შემთხვევაში, ქართული პოეზიის "რჩეულთა" ამგვარი წყარო? - გადავხედოთ აკაკის ბიოგრაფიულ მონაცემებს: დაიბადა 1840 წლის 9 ივნისს სოფელ სხვიტორში(საჩხერის რაიონი);გარდაიცვალა იქვე 1915 წლის 26 იანვარს. ბავშვობა სოფელ სავანეში, გლეხის ოჯახში, გაატარა, და ასე ეზიარა ქართველთა მოდგმის საფუძველს ქართულ მიწა-წყალს პირდაპირი გზებით. 1952 წლიდან ქუთაისი გიმნაზიაში სწავლობდა, 1859 წლიდან კი პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე, რომელიც 1863 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, რომელიც გახდა მისი მთელი შემოქმედების და ცხოვრების აკვანი.

VI.

აკაკის ცხოვრება და შემოქმედება იყო საქართველოს ეროვნული და სოციალური ცხოვრების ასახვა, რაც, თუ გნებავთ, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მის ლექსებში -"პოეტი"(1886 წ.) და "ჩანგური" (1871 წ.). აკაკი წერეთელს დიდი დამსახურება მიუძღვის,- დიდ ილიასთან ერთად,- "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსება-საქმიანობაში; ქართული მუდმივი თეატრალური დასისა და დრამატული საზოგადოების შექმნა-მუშაობაში. მისი პოეტური შთაგონების უმთავრესი წყარო, გასაგებია, სამშობლოს ბედ-იღბალი, ჩვენი ხალხის წარსული, აწმყო და მომავალი იყო, რომლის დროს იგი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეს აძლევდა მხატვრულ ფორმას მის შემოქმედებაში, რომელთა შორის,-ზოგიერთები რომ მოვიგონოთ,-აღსანიშნავია "ჩემო თავო,ბედი არ გიწერის"(1871 წ), "ხანჯალს"(1882 წ.), "ამირანი"(1883 წ.),"მუშის ნატვრა"(1890 წ.), და სხვა მრავალი. ისტორიულმა პოემებმა და დრამებმა, როგორც,მაგალითად, - "თორნიკე ერისთავი"(1883 წ.) თუ "პატარა კახი"(1890 წ.), ისე როგორც რომანმა "ბაში-აჩუკი-მ"(1896 წ.) თუ პოემამ "გამზრდელი"(1898 წ.), - დიდი როლი ითამაშა ეროვნული თვითშეგნების შექმნა-აღორძინებაში.

VII.

ამგვარად, აკაკი წერეთლის შემოქმედების ენკადი, წყარო იყო და დარჩა საქართველოს, ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება, და - სხვა საზოგადო მოღვაწეებთან, განსაკუთრებით დიდ ილიასთან ერთად - მოამზადა ნიადაგი საქართველოს განთავისუფლებისათვის, რომლის ჩირაღდანი 1918 წლის 26 მაისი გახდა.

VIII.

და აღვნიშნავთ რა დღეს, 1990 წლის 9 ივნისს, ჩვენი დიდი მომღერალ-პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 150-ე წლისთავს, წინა-პლანზე ვაყენებთ მისი შემოქმედების დედა-ძარღვს, რომელმაც იმდენი ძალა შთაბერა საქართველოს, ქართველ ხალხს, რომ 1918 წლის 26 მაისს "დაკარგული სულიკო"="და[illegible]კა-

რგული თავისუფლება"-"ისევ-ვნახეთ","ისევ-მოვიპოვეთ", თუმცა მტერმა ისევ-მალე მოგვტაცა. დღეს ანალოგიური ამოცანის წინაშე ვიმყოფებით: დაკარგული თავისუფლება ისევ-უნდა-მოვიპოვოთ.

IX.

და აკაკი წერეთლის "ჩანგური"(1871 წ.) თითქოს საქართველოს, ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობის აღწერა და ერთობისაკენ მოწოდება არის: - "...ჩვენი საქართველო, - წერს აკაკი წერეთელი, - ეს არის ჩანგური რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვა...თვითოეულ ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ ცალკე თავის-თავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ, და შეთანხმებით კი ცალკე-თიდ-ხმოვანდებიან......ერთ-ხმობა კი მრავალ-ცალობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა".

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1990 წლის მაისი

## აკაკი წერეთლის ხსოვნას

პოეტო! დღესაც დავეძებთ
სიყვარულის სადღაც დაკარგულს
სულიკო ვერსად ვიპოვეთ
ცეცხლი ედება სულს და გულს...
და შენი ციცინათელაც
სხვისკენ ფრენს კვლავ ნელა-ნელა
მისმა შორს-შორის ნათებამ
მთლად დაგვწვა და დაგვანელა
სისხლი დავღვარეთ რა სისხლი
წმინდათა წმინდა ქართული
სატრფო ვერაგი აღმოჩნდა
ვერ დავიხსენით მამული...
დღესაც სად კლდეზე მიჯაჭვულს
ძალა არ გამოგვლევია,
შენს შემდეგ რამდენი მწარე
რამდენი... დაგვილევია...
ვლესავთ და ვლესავთ სანჯლებს
ჩვენს და მტერს შორის მოციქულს
ჩონგურის ნაცვლად მახვილი
რომ მივაგებოთ მისსა გულს...

ვუცდით და ვუცდით არსად ჩანს
ჯაჭვის გამწყვეტი გმირია
გულწრფელად გადავეხვევით
გინდ იყოს უცხოურია
შენი ძახილი კვლავ გვესმის!!!
მწამს, გამოვახელთ თვალსაო
შენს,და სამშობლოს წინაშე
ჩვენაც მოვიხდით ვალსაო...
შენი ყიჟინა კვლავ გვრაზმავს
პოეტო შეუხედარო
ქართველი ერის შვილებს
დაუღალავო სარდალო...
დღეს კი ვშრომობთ და დავმღერით
ჩონგურზე,ნელა-ნელაო
შენ ხარ ქართული სიმღერა
ჩვენ მომღერლები ყველაო...

სოსო ყორღოლიანი.

ანცინგი-მიუნხენი,7.6.1970-წ.

## ჟურნალ"ჩვენი დროშის"რედაქციას!

გთხოვთ, მომცეთ ნება თქვენი ჟურნალის საშუალებით გადავუხადო მადლობა ქართულ საზოგადოებას,რომლებმაც პატივი დამდეს და მიიღეს მონაწილეობა ჩემი ძმის პავლე ვაშაძის დაკრძალვა-გამომშვიდობებაში.

ღრმა პატივისცემით,

[signature] მიხეილ ვაშაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ქ.ჭიათურის საპატიო მოქალაქე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ რ ე ს ი ს   მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

## საზოგადოებრივი აზრი

### საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამოსვლის კანონის შესახებ

"საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა 18-19 აპრილს სთხოვა 400-მდე თბილისელ რესპონდენტს(50 პროცენტი ქალია, 74 პროცენტი - ქართველია,დარანჩენი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი) ახალმიღებული კანონის შესახებ გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი".
"...მას საერთოდ არ ეთანხმება 68 პროცენტი, ნაწილობრივ ეთანხმება 25 პროცენტი, ხოლო მთლიანად ეთანხმება 7 პროცენტი".
"სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიერ აპრილის დამდეგს მიღებული კა .....კავშირიდან რესპუბლიკების გამოსვლისათვის შექმნილი ხელოვნური წინაღობები იმდენად თვალსაჩინოა, რომ ქართველი დეპუტატების ნაწილმა შესთავაზა ყრილობას პირდაპირ დაერქმიათ მისთვის 'კანონი საბჭოთა კავშირიდან გამოუსვლელობის შესახებ'. ეს სარკასტული წინადადება...ყრილობამ უარყო. მაგრამ თბილისში გამოკითხული რესპონდენტების 89 პროცენტი ეთანხმება კანონის ასეთ სახელწოდებას. სხვათა შორის, ამ აზრს იზიარებს გამოკითხული არაქართველი რესპონდენტების 70 პროცენტი."

გაზეთი"კომუნისტი",1990 წლის 4 მაისი,გვ.4

## კ ა რ ი კ ა ტ უ რ ა

გერმანიის გაზეთ"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგისა" მიხეილ გორბაჩოვის პოლიტიკის შესახებ ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მიმართ:




ის
ი-

"ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი", 18 მაისი, 1990 წელი SZ-Zeichnung: P. Leger

## საზღვარგარეთის ბიურო

"განუახლდეს მანდატი საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს".

"საქართველოს სდპ საზღვარგარეთის ბიუროს განახლებულ მანდატს ძალა აქვს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე".

ამონაწერი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქმიდან, სხდომა № 2. თბილისი, 1990 წლის 25 თებერვალი

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში იქვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალყას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი სამარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

გ თ ხ ო ვ თ,
გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: M. Valentin Rijamadzé
288, rue de Vaugirard
75015 P a r i s - France
"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie